⁴ ცხენის შეწირვაზე ეთნოგრაფიულ ყოფაში დ მის სიმბოლურ მნიშვნელობაზე იბ. ნ.აბაკელია, ცხენის სიმბოლიკისათვის კოლხერ მითო-რიტუალურ სისტემაში, კავკასიურ-ახლოადმოსავლური კრებული, XI, თბ., 2004.

⁵ ს.მაკალათია, სამეცნიეროს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006, გვ. 356.

⁶ ნაბაკელია, დაკრძალვისა და გლოვის წესები სამეცნიეროში, კოლექტიურ მონოგრაფიაში: სამეცნიერო (კოლხეთი, თბიში) არქეოლოგიის, ენამეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრუებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები, თბილისი-ზუგდიდი, 1999, 310-317.

ანალოგიური სიმბოლოები საქართველოს სხვა კუთხეში, კერძოდ აფხაზეთშიც დასტურდება და ცნობილია სხვადასხვა ასჩამაკა (აშიამაკას), ათეუმ აკიალანტარის და სხვა სახელებით (იხ. უფრო ქვემოთ). აოკუმ/აკიალანტარს გოგი მეცნიერი⁷ უნიკალურ, განუმეორებელ ფენომენად თვლის მთელ კავკასიაში. თუმცა სახელწოდებიდან დაწყებული აკიალანტარ/აკიანი /კილანტარი / კელაპტარი აღწერილობით და უუნქციებით დამთავრებული იმეორებს დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებებში გამოყენებულ რიტუალურ ობიექტს კელაპტარს.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი) შემორჩენილი და დადასტურებული მასალა ურთიერთშემავსებელია და წეს-ჩვეულებების უფრო მყაფით სურათს იძლევა.

აფხაზური მასალის მიხედვით, ასჩამაკა წლისთავისთვის აუცილებელ ძღვენს წარმოადგენდა, რომელსაც გარდაცვლილის ნათე-სავი ქალი აკეთებდა.⁸

სანთლების მომზადება იწყებოდა რამოდენიმე დღით აღრე ქლებამდე. დიასახლისი (ქალიშვილი, დისტვილი, დეიდა და ა.შ.) მიაკითხავდა ამ საქმის ოსტატ ქალს, რომელის თითქმის ყველა ოჯახში იძებნებოდა. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ესენი იყვნენ დედათ წესისაგან თავისუფალი, ხანში შექული ქალები (50-ს ვადაცილებულნი). ოსტატი ქალი ყოველგვარი ანაბდაურების გარეშე აკეთებდა ამ სანთლებს. განხსაკუთრებული ყურადღება ექსეოდა ასჩამაკის ბედა ნაწილს. მასზე ამაგრებდენ წრიულად მოღუნულ ტოტებს ან გადაჯვარებინებულ მაკოულებს, რომელსაც ხელებს ეძახდებოდა. სანთლი იდებოდა სპეციალურად გაკეთებულ სამფეხბე, რომელსაც კაცები ამზადებდნენ.

ასჩამაკა (ისევე, როგორც მსხვილი თაფლის სანთლები) (დაასლოებით 70 სანტიმეტრის ან 1 მეტრის სიგრძის) იდებოდა სახუ-

⁷ Малия Е.М., (Сухум) Древо-свечи в поминальной обрядности абхазов // Кавказ: история, культура,, традиции, языки. По материалам Международной научной конференции, посвященной 75-летию Абхазского Института гуманитарных исследований им. Д.И.Гулиа, АНА 28-31 мая 2001 г. Сухум, 2003, с. 240-255; Е.Шиллинг, В Гудаутской Абхазии. Этнография, № 1-2. М.-Л.1926; ნანიალავა, აფხაზური მიტები, რიტუალები, სიმბოლოები (ენციკლოპედია), თბ., 2006 (იქვე ლიტერატურა).

⁸ სხვაობა მეგრულ და აფხაზურ კელაპტრებს შორის მომებშია (კელაპტრის მომის გამტრდა საბჭოთა პერიოდში, მოგვადად, იზრდებოდა დაკრძალვასა და გლოვაში მონაწილე პირით რაოდენობაც და ის პრესტიჟთა უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე ტრადიციასთან) და ის ბოლო დროის ინოვაციად მიმართია.

მრო თოახში, მოსაგონარ მაგიდაბე, სხვა მორთულ სანთლებთან ერთად...⁹

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასჩამაკა თავისი ღირებულებით გათანაბრებული იყო სამსხვერპლო ხართან. საინტერესოა, რომ მუხლიანი სანთელი დამატების სახით შეეძლოთ მოეფანათ სამსხვერპლო ხართან ერთად, მაგრამ მარტო სანთლითაც შეიძლებოდა შემოფარგლა. ასჩამაკას ზემოდან ჩამოაცმევდნენ ცვილისგან დამზადებულ ფრინველს, ხოლო თვითონ სანთელს რთავდენ კანფეტებით, ხილით. მათ შორის ამაგრებდნენ ბაბთებს. ტოტიანი სანთლები შემოჰქონდათ ხართან ერთად, რომელსაც გადაფარებული ჰქონდა შავი ან წითელი ათარჩევი (ნაჭერი). ასჩამაკას ტოტებზე დამაგრებული იყო სანთლები, რომლების ინთებოდა მოგვიანებით ქელების სურაბე. ხარი იწირებოდა მხოლოდ მოწიფელი ადამიანისთვის (ბავშვისთვის და მოხუცისთვის არ იწირებოდა). ის, ვინც სწირავდა, სახლში წასვლისას წაიღებდა თავ-ფეხს (მუხლის ქვემთ), კუჭს და ცხოველის ტყავს.¹⁰

ე.მაღლია ყურადღებას ამახვილებს ხისმაგვარი სანთლების ასჩამაკას კავშირზე შესაწირავ ცხოველებთან. როგორც იყო აღინიშნავს, ხისმაგვარი სანთელი თავისი ღირებულებით უფოლებოდა ხარის ღირებულებას. ასჩამაკათი შესაძლებელი იყო სამსხვერპლო ცხოველის ჩანაცვლება. საინტერესოა, რომ სამსხვერპლო ცხოველსაც აფხაზურად ასჩამაკა ეწოდებოდა.¹¹

რიგუალური მუხლიანი სანთლის მეორე სახესხვაობა იყო "აოკუმი", რომელსაც ეძახდნენ აკიალანტარ აოკუმს.¹² ის ასჩამაკასგან განსხვავდებოდა, იმით, რომ მზადებოდა ახალგაზრდა უშთამო-მავლო მამაკაცის სიკედილის შემთხვევაში.

ასჩამაკასდაგვარად ა-ოკუმი//ა-კიალანტარიც შედგენილი სანთელია, რომლის განი 7-8 საუკუნეს უდრიდა. აიგებოდა აოკუმი გახლებილი ყავრისაგან. ყავრის კონები ერთი მეტრი სიგრძის ერთმანეთზე იდებოდა და მჭიდროდ ეხვეოდა ფართვე ტილო. ამვარი ხესანთლის შიგნით იდებოდა თოფის წამალი დენთი, რომელიც სანთლის წვის დროს უეთქმდებოდა. სანთელს გემოთ გადაჯვარედინებული ტოტები უკეთდებოდა. ტოტებზე კიდებდნენ ტილოებს, თავსაფრებს და ა.შ. ამვარი სანთელი 4 ან 16 ადამიანს მიჰქონდა. მოხა-

⁹ Малиა Е.М. სახს. ნაშრ. გვ240-2555; ნ.ანთელავა, აფხაზური მითები, რიგუალები, სიმბოლოები; ენცილოპედიათბ., 2006.

¹⁰ Малиა Е.М., დასახ.ნაშრ.

¹¹ Малиა Е.М., დასახ.ნაშრ.

¹² ზოგი მეცნიერი აღნიშნულ ტერმინს მეგრულ "ოკუმაფუსთან" (საკმეველთან) აკავშირებს. იხ. ნ. ანთელავა, დასახ.ნაშრ.

გონარი დღის წინა საღამოს სანთელს დებდნენ ებოში მრგვალ ან თოხუეთხა ფიცარნაგბე და ცეცხლს უკიდენენ. სანთელი კაშკაშია ალით იწვოდა და შიგადაშიგ ისმოდა გასროლები მასში შიგნით ჩადებული დენთის გამო.

ა-კიალანტარს ქალის სიკედილის დროსაც ამბადებდნენ, თუ კი ის ოჯახის ბოლო წარმომადგენელი იყო. სამსხვერპლო ცხოველი იყო ასეთ შემთხვევაში უკრი.¹³

ჩემთვის საინტერესო, რომ ა-კი(ა)ლანტარი გამოიყენებოდა შეჯიბრში, რომელშიც მიცვალებულის ცხენიც ანუ თვითონ სულიც მონაწილეობდა. ათკუმი, აკილანტარი იწვებოდა სასაფლაოზე.¹⁴

ე.მალიას აზრით, ასჩამაკი // აკილანტარი და ოსური "ელემი" (ურთხლის ტოტი ან ნაძვის ხე) სამგლოვიარო წეს-ჩვეულებებში "სიცოცხლის ხეს წარმოადგენდა" და დაკავშირებული იყო მარადი-ული ცხოვრების იდეასთან, რწმენასთან, რომ სიცოცხლე საიქიოში გრძელდება.¹⁵

აღნიშნულთან დაკავშირებით მ. ჯანაშვილთან საიტერესო ცნობა დასტურდება:

დაკრძალვის დღეს "ერთერთ მომსვლელს ხელში ხისმაგვარი სანთელი უჭირავს, რომელზეც დამაგრებულია, რაღაც ნაჯრები, რომლებიც ირჩევა ქარის დროს ხის ფოთლების მსგავსად. თუ მსვლელობა დამით მიმდინარეობს, მაშინ ტოტისმაგვარ სანთელზე ამაგრებენ რამოღნიამე სანთელს, ისევე როგორც ხარების რქებზე. სამგლოვიარო პროცესია უალხოვდება სახლს და შედის ებოში. სადაც მათ სხვები ხვდებიან. იწყება ქალებისა დაკაცების ტორილი ცალ-ცალკე. ამის შემდეგ, კლავებ ხარებს და ცხვრებს. მასთან ერთად ყოველი მათგანი სიტყვას აყოლებს: "მსხვერპლად ეწირება შენს სულს" და ა.შ. ქლევების მეორე დღეს, ტარილისა და გარდაცვლილის ცხენის უკან წრეში სიარულის შემდეგ, ეწყობოდა სადილი

¹³ Малиა Е.М., დასახ.ნაშრ.

¹⁴ დაწვარი ხის ტოტები (ხის სიმბოლო) ქვემო სავნეთშიც დაკაფიქსირები 1985 წელს სასაფლაოზე სავნეთის ექსპედიციაში ყოწისას. ამ ხეს ჯიჯბახი ეწოდება. ზოგი მთხრობლის ვერსიით კამარაი და ჯიჯბახი ერთიადიგივეა. კამარაი წარმოადგენდა მოცვალებულის სუფრისოფის სპეციალურად დამზადებულ და სხვადასხვა შესაწირავებით (დაწული ყველი, კანფეტები, ბაბოტები, კვერცხები, ჩურჩხელა, ვამლი, მსხალი, მოხარული ქათამი დასხვ.) მორთულ ხეს ეწოდება. იგი მზადდება დალბობილი ყავარისგან და ნაძვის ტოტისგან, რომელსაც უკეთებდნენ ჩხირებს და მასტე კიდებდნენ ყველაფერს. კამარაის დამზადება იცინ არაპშე, ორმოცებე და წლისთაგზე. 1985 წლის ქვემო სავნეთის ექსპედიციის დღიური, №3. (საკითხობრივ დაკავშირებით ასევე იხ. ნ.აბაკელია, სიცოცხლის ციელობა დაკავშირებული საკრალური ხის სიმბოლიკა ქართულ მთიან-რიოტუალურ სისტემაში, სემიოტიკა, I, თბ., 2007).

¹⁵ Малиა Е.М., დასახ.ნაშრ.

გრძელ მაგიდასთან დია ცის ქვეშ. იქვე იდგმებოდა ზემოთ აღწერილი სანთლები.¹⁶

ამგავრად, წლის თავზე დასტურდება ერთ შემთხვევაში შავად შემთხვევაში მიცვალებულის ცხენი, რომელიც სახლის ბოძება მიმუშლი, მეორე მხრივ, შესაწირავი ხარები, სანთლებით რქებზე და ხარის ფოლფასი და შემცვლელი კელაპტარი სანთლებით.

სამგლოვიარო რიცეულში ჩართული ხესთან//ბოძთან დაბმული ცხენი (რომელიც ამ შემთხვევაში კოსმოლოგიურ სიმბოლო-ნიშანს წარმოადგენდა) ახდენდა სივრცის კონსეკრაციას, ხოლო კონსეკრირებულ სივრცეში ხე//ბოძი სამყაროს სივრცულ მოდელში განსაზღვრავდა ვერტიკალურ პროექციას და აერთიანებდა სხვადასხვა სამყაროებს.

ს. მაკალათიას ცნობით:

გამზრდელებსა და ძიძებს აღნიშნულ დღეს შავად შემთხვევი ბულების "სურდილი ხოჯეფის" მოჰყავდათ. ყოფილა ისეთი შმეთხვევები, როდესაც გამზრდელებსა და მის საგვარეულოს "მორდილის" (გამზრდილის) შეყრაბე თრმოცამდე ხარი მოუყვანიათ.¹⁷

ხარებს რქებზე ანთებული სანთლები ეკეთათ. აქ შემოღის კარგად ცხობილი ხის ტოტებისა და ცხოველის რქის მიმართების საკითხი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაწირი ცხოველის რქებზე ანთებული სანთლები კელაპტარზე ანთებული სანთლების იზოუნქციური ვარიანტია, ხოლო თავ-კისერზე დაკიდებული წაბლის რამდენიმე ასხმაც იგივეზე უნდა მიგვანიშნებდეს. ხარებს ეზოშივე გაუშვებდნენ, რომელთაც ხალხი წაბლს შემოაცლიდა. ხარები იკვლებოდა და შეყრა დღეს ხალხს უმასპინძლდებოდნენ, თუ გარდაცვლილი ქალი იყო, მას შეყრაბე ძროხას დაუკლავდნენ. გარდაცვლილის სახელზე საქონლის დაკვლით ხდებოდა სამზეოდან სულითში/სამოთხეში საქონლის სულის გადაყვანა.

მასალებიდან ისე ჩანს, რომ დაკრძალვისა და გლოვის წესებში ხდება გარდაცვლილის ერთგვარი პერიოდაცია, თუმცა ის არ ხდება კულტის ობიექტი. ამ აპრის ილუსტრაციად მიმაჩნია ის შეჯიბრებები, რომელებიც ჩართულია დაკრძალვისა და გლოვის წესებში.

ნიმნის დატირების შემდეგ (აფხ. ანმან, ივივე ა-ნიშანი), დასავლეთ საქართველოში ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მამაკაცის წლის თავზე იმართებოდა დოღი მარულა, ცხენ-

¹⁶ М.Джанашвили, Абхазия и абхазцы (этнографический очерк), Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества, т.16. Тифл.,1894.

¹⁷ ს.მაკალათია, დასახ. ნაშრ. გვ. 350-59.

მხედართა სრბოლა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ყველა, ვისაც სურდა მიცვალებულის პატივისცემა.¹⁸

დოდში მსაჯელად ირჩევდნენ ერთ საპატიო და მართალ პი-როვნებას, რომელიც განსაზღვრავდა სადოლე ადგილის მანძილს, დაახლოებით ათ-თხუთმეტ კილომეტრამდე. ცხენოსნები დანიშნულ ადგილას მივიდონენ და შემდეგ იქიდან გამოაჭერებდნენ ცხენებს. გამარჯვებულებს ეძლეოდათ "სასყიდელი", საჩუქარი ფულით, საქონლით, აძლევდნენ ფანისამოსს და სხვ. ასაჩუქრებდნენ მეექვსე ცხენოსნამდე.¹⁹ ცხენმხედართა სრბოლის მნიშვნელობას გარკვეულწილად ნათელი შეიძლება მოეფინოს დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული მასალის შეჯერების გზით.

აღმოსავლეთი საქართველოში²⁰ წლის თავზე (ან სხვა ვერსიით დაკრძალვის დღეს) გამართულ დოდში, ადგილობრივი რწმუნების მიხედვით, იგულისხმება გარდაცვლილის სულის მონაწილეობაც, რაბეც დოდში ე.წ. "სულის ცხენის" მონაწილეობა მიუთითებდა (შდრ. ცხენმხედრის შეცვლას ცხენით). მხედრები "სულის ცხენით წინ", რომლის სადაცე გარდაცვლილის დედას ან მის დას ეჭირა, მარცხნიდან მარჯვინ სამჯერ შემოუვლილენ ტალავარს და გააჭერებდნენ. მარშრუტი ნებისმიერი არ იყო. დოდში მონაწილე მხედრები, თუ მამაკაცი იყო გარდაცვლილი ჯერ დედის ძმებში და თავის მოგვარებში წაგიდონენ. თუ ქალი იყო გარდაცვლილი, ჯერ მამის სახლში (მამის მოგვარებში), შემდეგ დედის ძმებში და ქმრეულებში მიდიოდნენ, რაც სავსებით შეესაბამება რწმენა-წარმოდგენებს მგებრების (ნათესავები, რომლებიც ეგებებიან საიქიოში გარდაცვლილს) შესახებ საიქიოში.²¹ აქვე გავიხსენოთ, რომ სამგლოვიარო სუფრაზე, მიცვალებულის შესანდობარსა და ჭირის პატრონის დალოცვის შემდეგ ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში აუცილებლად შესვამდნენ მგებრების შესანდობარს. სამეგრელოში ზემოთ ხევნებულ მარშრუტში "ზინჯი ხატის" (ფუძის ხატის) ჩართვა და გარდაცვლილის ცხენის მონაწილეობა, ასევე, იმაბე მიგვანიშებს, რომ მარშრუტი აქაც შეთხვევთი არ უნდა ყოფილიყო. ჩვენი გამოკვლევის თანახმად გემოთ მოტანილი რიტუალი "ზღურბლის გადალახვის" რიტუალი უნდა ყოფილიყო და მაჩვენებელი იმისა,

¹⁸ დოლის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ნ.აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.

¹⁹ ნ.აბაკელია დასახ. ნაშრომი, 1997, იქვე ლიტერატურა.

²⁰ აღ. ოჩიაური, მიცვალებულის ეუდგი როშებსა და უკანხადუს თემებში, მისალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1940, ტ:3; დ. გიორგაძე, დაქრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987.

²¹ ნ.აბაკელია, დასახ. ნაშრომი, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, 1977.

რომ გარდაცვლილ სულს არა მარტო მგებრები მიაცილებდნენ (ანუ გარდაცვლილ ახლობელთა სულები), არამედ ცოცხლებიც. მარულა წლისთავები (ან დაქრძალვის დღეს) ფაქტობივად, წარმოადენს ახლად გარდაცვლილი სულის საიქიოში მოგზაურობის მარშრუტის ილუსტრაციას სააქაოში.²²

რიტუალური ფორმა ხდება წამყვანი და მნიშვნელოვანი. რიტუალი იმეორებს რწმენა-წარმოდგენებში (მითში) დაცელ მარშრუტს, ხოლო ცოცხლების მიერ გარდაცვლილთა ამგვარი "გაცილება" უზრუნველყოფდა ამ უანასკნელთა სულის მშვიდ დამკვიდრებას საიქიოში, წინაპართა საზოგადოებაში.²³

მარულის შეგძევე სამეცნიერომი იმართებოდა მეორე სახის შეჯიბრი "ყაბახი". ამისათვის ეზოში აირჩევდნენ ყველაზე მაღალ ხეს და მასზე მიამაგრებდნენ გრძელ ჯოხს, რომელსაც თავი ჰქონდა გაჩეხილი და ნიშნის ამოსაღებად შიგ ჩადებული იყო თევზი ან ფიცარი, ზოგან კი ჯოხზე მიცვალებულის ქისასაც ჩამოჰკიდებდნენ. ეს ხე ფორმალურად და შინაარსობრივად ახდენს საკრალური სიერცის ორგანიზაციას. ყაბახის სიმაღლე იყო 1-15 მეტრი. ყაბახის მანძილი თოკით იყო შემოფარგლული და მეთოვეები ამ თოკის გარშემო გამწრივდებოდნენ, ისე რომ გულ-მკერდი თოკვებები უნდა ჰქონოდათ მიბჯენილი და იწყებდნენ თოფების ნიშანში სროლას. ვინც ნიშანს მოაცვედოდნება, მას ეძლეოდა საჩუქარი ფულით, საქონლით ან რამე ნივთით. შემდევ მეთოვენი ესროდნენ "კელაპტრის" ფრინველს და ვინც მას ჩამოაგდებდა, მას აჩუქებდნენ 15-30 მანეთს. სადამო კამბის მიცვალებულის ერთი ვინმე საყვარელი ადამიანი შეჯდებოდა შავად (უფრო ადრე, წითლად და ლურჯად) შემოსილ ცხენბებები და "თარჩიას" გაავთებდა, იწყებოდა თარეში. რამდენადაც სიგვა თარეშს ძარცვის კონფაციაც გააჩნია, მას კამოუდევნებოდნენ სხვები და ცილილბდენ ცხენისთვის შავები შემოეხიათ. შავების შემოფლებით და ბერით აღწერილი შეჯიბრებებით გლოვა მთავრდებოდა. მიცვალებულის ცხენს ან მის ახლობელს აჩუქებდნენ ან გაუშვებდნენ ველად, თავისუფლად.²⁴

რაც შეეხება საფლავები დარგულ ხეს და მასთან მდგარ ან შეწირულ ცხენს იყი სამყაროს ხისა და ცხენის ცნობილ ხატებას იმეორებს. საფლავში ჩაყოლებულ თუ შეწირულ ცხენს აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ ეყოლებოდა ღვთაება-აღრესატი, რამდე-

²² ნ.აბაკელია, დასახ. ნაშრომი, ცილქლური სიმბოლიზმი და დაქრძალვისა დაგლოვის წესები დასაცვლურ-ქართულ ტრადიციაში, ქართველური მექანიზმები, IV, ქუთაისი, 2000, გვ.9-16.

²³ ნ.აბაკელია, დასახ. ნაშრ. 1997; 2000.

²⁴ ნ.აბაკელია, დასახ. ნაშრ. 2000, 9-17.

ნადაც ის აქ გარდაცვლილისთვის თანამგზავრი, ფსიქოპომპი და გადაადგილების საშუალება.

მაგრამ ცხენი მარტო აღნიშნულ კონტექსტში არ გჭვდება. ცხენი არა მარტო სამყაროს ხესთანაა დაკავშირებული, არამედ ჩვენი აჩრით, იგი რიგ შემთხვევაში თვითონაც სამყაროს ხესაც განასახეირებს.²⁵ ამის თვალსაჩინო იღუსფრაციას გვიანანგიკური ხანის ერთ-ერთ ჭვირულ ბალთაზე²⁶ გამოსახული ირმის რქებიანი ცხენი წარმოადგენს. ცხენი²⁷ აქ გაიგვივებულია ხესთან, რაზეც ხის ტოტების იღენტური მისი ირმის რქები მიგვანიშნებს. ცხენის თავზე ირმის რქების, ირმის "გვირგვინის" დადგა ორმაგ ინფორმაციას შეიცავს. ერთის მხრივ იგი განასახიერებს ხეს რომელთანაც მსხვერპლშეწირვა უნდა შესრულდეს და ასევე თვითონ მსხვერლსაც. შესაწირი ცხოველის რქების ოქროთი მოჭვდვის წესი (რომელიც მრავალ ძველ ხალხში, ხოლო დასავლეთ საქართველოში წმ. გიორგის შემოღომის დღესაწაულზეც არის თავის ღრობე დადასტურებული) ან მისი კიდევ სხვაგვარად მარკირება გვრგვინის დაღმის ტოლფასი უნდა იყოს. ადამიანის თუ ცხოველის თავზე მსხვერპლშეწირვის დროს გვირგვინის დადგმა კი მრავალი რელიგიური სისტემისთვის (ძველისთვის თუ ახლისთვის) არის დამახსასიათებელი. სამსხვერპლო ცხენი ხესთან ან ხეცხენი (როგორც ეს აღნიშნულ ბალთაზე) მარკირებას ახდენს სივრცისას და საკრალური სიმბოლიზმის ენაზე სამყაროს ცენტრისა და მისი დერძის, ღროში გამძლე პრინციპს წარმოადგენს, რომელზედაც გადაადგილება არის შესაძლებელი.

კოსმოსის სხვადასხვა დონის, სხვადსხვა სამყაროების შეხვედრის, გადაკვეთის ადგილს და ტრანსცენდენტურ სივრცეს საფლავი წარმოადგენდა, რომელიც პროფანული სივრცისაგან განსხვავებუ-

²⁵ ნაბაკელაძ, ცხენის სიმბოლიკისათვის კოლხურ მითო-რიგულურ სისტემაში, კავკასიურ ახლო-აღმოსავლეური კრებული, თბ., 2004, გვ.153-173.

²⁶ მხედაშელის ამრით, რომელმაც არ ერთი ხაშრომი მიუძღვნა ჭვირული ბალთების შესაწავლას, უძინველობა მნიშვნელობა აქვს ბალთებეჲ გამოისახეულ სემანტიკურ მწერის, რომელშიც შედიან ირემი, ფრინველი, გველი, თევზი, რომელიც საქართველოში არსებობას ჯერ კიდევ აღრესამიწათმოქმედო ჸელტურების წიაღმი იწყებს. ამ პერიოდში ადამიანმ მოხერხა ისეთი უმნიშვნელოვნებს კატეგორიებს გააჩნიბა, როგორც იყო დრო და სივრცე. შექმნა სამყაროს აგებულების კერძიკალური მოძელი და ადამიანებით დასახლეულ ჭვევანა მის სერტრში მოათავსა. აქ გადიოდა ის დერძი, რომელიც უზრუნველყოფდა ვერტიკალურ ხაზზე თრგანიზებულ სამყაროს ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირებას. მხედაშელი, ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები, კრ-ში ენა და კულტურა, 3, 2002, გვ. 87.

²⁷ ცხენგზ, როგორც სიმბოლოზე იხ. ნ.აბაკელაძ, ცხენის სიმბოლიკისათვის კოლხურ მითო-რიგულურ სისტემაში, კავკასიურ ახლო-აღმოსავლეური კრებული, თბ., 2004, გვ.153-173.

ლია თავისი სტრუქტურით.²⁸ ცხენი კი ამ სამყაროებსა და სხვადასხვა სტიქიაში მისტიკური გადაადგილების საშუალებაა. საფლავზე დარგული ხე და მასთან მდგომი ცხენი, ისევე როგორც ცხენი ორმის რქებით ჭვირულ ბალთაბე ნიშანია რაღაც უმაღლესი რეალობისა. მასში ფართო კოსმოლოგიური აზრი დევს, რომელიც კოსმოსის ყველა ღონის გადაკვეთას აღნიშნავს, და შესაბამისად, ერთდროულად სამყაროს "ცენტრის" და "ღერძის" აღმნიშვნელია ანუ საფლაებს, როგორც კოსმიზირებულ სივრცეს თავისი ცენტრი აქვს გარდაცვლილის სახით და ღერძი ხის (ან ცხენი ორმის რქებით), რომელიც ამ უკანასნელის იბომორფული ვარიანტია.²⁹

ხესთან/ბომთან დაბმული ცხენი (რომელსაც მაღალი სემიოტიკური ხარისხი ენიჭება რიტუალის გამო და ამიტომ სიმბოლურ ენაზე იყო სამყაროს ხეს განასახიერებს) არა მარტო უბრალოდ არის დაკავშირებული "arbor mundi"-სთან, არამედ უფრო მეტიც, იგი თვითონ წარმოადგენს სამყაროს ხეს. იგივე ითქმის მოთქროვებულ რქებიან ხარბეც. ამის თვალსაჩინო მაგალითს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანი კლასიკური ხანის ბრინჯაოს ერთ-ერთი ჭვირული ბალთა წარმოადგენს, რომელზეც ირმის რქებიანი ცხენია გამოსახული. ცხენის ორმის რქებით დაგვირგვინება ორმაგი ინფორმაციის მატარებელია. ერთის მხრივ იგი "arbor mundi"-ს ანუ სამყაროს ხეს განასახიერებს, რომელთანაც, როგორც ეტყობა მსხვერპლშეწირვა უნდა განხორციელებულიყო, ხოლო მეორეს მხრივ იგი თვითონ არის სამსხვერპლო ცხოველი.

ამგვარად საკრალური ხე, თუ ადამიანის დაბადებისას ახალშობილის სახელზე ირგვება სააქაოში და ამ ქმედებით საკრალური ცენტრი იქმნება სააქაოში (და მის გახარება-გახმობასთან არის დაკავშირებული ახალობლის ბედი), მისი გარდაცვალებისას ამოითხრება და გადააქვთ საფლავზე, რომელსაც მე ცენტრის გადატანის რიტუალს დავარქებული, რომელიც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კოსმოსის სხვადასხვა ღონის სხვადასხვა სამყაროების შეხვედრის, გადაკვეთის ადგილი და ტრანსცენდენციური სივრცეა.

საფლავზე დარგული ხე ერთდროულად სამყაროს ხისა და სამყაროს ღერძის სიმბოლოთა.

დაკრძალვისა და გლოვის რიტუალში გეხვდება სამყაროს ხისა და სამყაროს ღერძის სხვა ვარიანტებიც, რომლებიც წარმოდგე-

²⁸ M. Eliade, Myths, rites, symbols. A Mircea Eliade Reader, N.Y. 1975. Vol.2.

²⁹ სხვა მითო-რიტუალურ კომპლექსებშე რომლებშიც ცხენი ფიგურირებს იხ. აბაკელია, დასახ. ნაშრ. 2004.

ნილია ერთ შემთხვევაში კელაპტრით ანუ ხე-სანთლით, სხვა შემთხვევაში ხე-ცხენით ან ხე-ხარით; ისევე როგორც ყაბახში შეჯიბრის დროს ხე – ფრინველით.

რელიგიური კომპლექსი: საფლავი-ხე-შეწირული ცხოველი (ცხენი ან ხარი), ან მათი შემცვლელი კელაპტარი თავისთავად უმაღლესი რეალობის ნიშანია, რომელშიც ფართო კოსმოლოგიური აბრი დევს და შესაბამისად, სამყაროს "ცენტრისა" და "სამყაროს დერძის" აღმნიშვნელია ელიადესუელი გაგებით, რაც ნიშნავს, რომ საფლავს, როგორც კოსმიზირებულ სივრცეს თავისი ცენტრი აქვს გარდაცვლილის სახით და ღერძი (ხე-ცხენი, ხე-ირემი, ხე-ხარი, კელაპტარი, ჯიჯბახი) სახით.

Nino Abakelia

SACRED TREE AND ITS ALLOMORPHIC VARIATIONS IN THE MORTUARY AND MOURNING CUSTOMS OF GEORGIA

Burial customs and the rituals associated with them in traditional culture represent mythologized relations between the living and the dead, descendants and their ancestors, between the world of the living and the world of the deceased (the Nether world). In these mythologized customs of the mortuary rituals the sacred tree has its definite place and role.

In Georgian culture as well as in many other cultures the sacred tree is associated with the different phases of human life. But in every concrete case the sacred tree reveals different information.

In this paper a ritual object, called kelaptari (i.e. artificial waxen tree), made by close relatives or nurses of the deceased and brought to the funeral, after forty days or at the annual commemorative ceremonies, is considered to be a variation of the sacred tree.

Relatives of the deceased dressed in mourning clothes, riding horses and on foot moved in procession from the far villages. They carried a big kelaptari in front of them, which was held by the grief-stricken woman (or if it was too heavy, it was carried by several men). Passing villages, lamenting women screamed loudly so that everybody guessed that somebody had died and the procession moved towards the village of the deceased.

The survived data in different parts of Georgia describing the custom are complementary to each other and gives more or less complete and clear picture of it.

According to these data, an artificially made waxen tree (which survived in several names) is considered to be one of the essential offerings for the dead made by a close relative woman.

A special mention must be made, that this offering, according to its value was equaled to a sacrificial bull. It is noteworthy that these candles could be brought together with the sacrificial bull additionally or the mourner could limit herself only with the torch.

According to E. Malia, the name of the tree-like candle - aschamaka was related to the sacrificial animal, which was also called aschamaka. And that in Abkhazian customs it could substitute a sacrificial animal itself.

The second variation of the name of the ritual candle, which was dedicated to a deceased childless man, was a-kilantar aokum.

As for a-kilantari it was made for women as well, but in that case the sacrificial animal would be a cow.

For me, it is of special interest that a-kilantari /kilantari / kelaptari was used in funeral competitions in which the horse or the soul of the deceased also participated. Thus after a year from death, at the ritual gathering of close friends and relatives to commemorate the deceased person, several customs used to be performed: the horse of the deceased covered with a black mourning material was tied to the house pillar; on the other hand, sacrificial bulls with the candles on their horns and tree-torches, equal in value with them, were brought on this day.

The horse tied to the pillar of the house (which in this particular case represented the cosmological symbol and sign) consecrated the space and in this consecrated space the tree/pillar defined the vertical projection of the spatial model and integrated different spheres, realms (levels of the being).

The sacrificial bulls had the lit candles on their horns, which introduces here the well-known relationship between the branches and the horns. The custom makes us think that candles lit on the horns of the sacrificial animal and candles lit on the kelaptari (artificial waxen tree) are iso-functional variants and the several threads of chestnuts hung on the necks of the bulls refer to the same idea. The bulls were untied (set free) in the yard, and people tried to tear the chestnuts from them. The bulls were sacrificed on that day and served the people for dinner. (In the case of a deceased woman cows were sacrificed). According to the local beliefs, the souls of the sacrificed animals were transferred to the Nether land.

As it seems, in the mortuary and mourning rituals a deceased person was in some degree heroized, though he did not become the subject of the cult. For the illustration of this idea, I think, can serve competitions inserted and performed in the mortuary and mourning customs.

After bewailing the sign of the dead (i.e. his/her clothes, etc.) there was a custom of horse racing throughout Georgia (now survived only in the mountainous parts of it) in which the relatives and close friends of the deceased could participate in honor of the departed.

In the horse racing, the participation of the soul of the dead was also implied, which is revealed by the "soul's horse". The riders with the "soul's horse" in front of them, the reins of which were held by the mother or the sister of the deceased would go round the clothes (the sign) of the deceased from the left side (the nether land direction) and would rush in a sudden gallop. The route was particular. The participant riders first visited the brothers of the mother of the departed (if he was a male) and then would go to the other kinfolk. If the deceased was a woman, they would visit first her father's house, then mother's brothers and after this they would go to her husband's relatives.

It is noteworthy that at the commemorative feast a special toast was proposed for the so-called mgebrebi (literally those who meet) i.e. meeting souls after the appraisal of the deceased and his relatives blessings. So that the route was not accidental and unintentional.

According to our investigations the mentioned horse racing is directly associated with the "threshold passing" rituals, which show that the souls of the dead were accompanied not only by the "meeting souls" (mgebrni - i. e. the souls of the close relatives who meet the new souls in the Nether land), but by the living as well. Eventually, the horse racing on the day of funeral or on the annual commemorative celebration after a year from death illustrates the route of the journey of the soul in the Nether world in the world of the living.

The ritual form becomes leading and important. The ritual repeats the route preserved in the religious beliefs (in myths) and (the accompaniment) "seeing off" the soul of the dead in that manner guaranteed the soul of the departed settling in piece in the Nether world, among the ancestral society of the dead.

After the horse racing, another kind of competition was held, called "Kabakhi". For that purpose the highest tree was chosen in the yard to which a long pole was attached, the top of which was split (cut, divided in two parts) and a plate or a plank with a pouch was inserted in it as a target. This tree formally and by its contents organized the sacred space. The length of kabakhi was about 1-15 meters. Those who shot and threw off (gained) the target in the form of bird or pouch, would be rewarded and would receive some money or something valuable from the point of view of the villagers. After that the shooters would target the wooden bird of the "Kelaptari" and the one who shot it would be given money (in the amount

of 15 or 30 rubles). In the evening one of the admirable persons of the deceased would ride the horse which was covered with a black cover (in former times the cover used to be red or blue which also were the mourning colors) and started to gallop. The other participants of the ritual chased him and tried to tear the black cover. After tearing the black cover and performing this ritual the mourning period was over. The horse of the deceased was presented to the relative or was let free in the fields or woods.

As for the planted tree in the tomb and sacrificed horse near to it (which was the older custom), it repeats the picture of the well-known image of the axis mundi (the axis of the world) and the horse.

The sacrificed horse, which was considered to accompany and follow the deceased patron to the nether world could not have a divine addressee, as he, in this particular case, was the companion, psychopomp and the means of transportation and transition of the departed.

But horse symbolism is associated not only with *the tree of the world* (arbor mundi), but in a series of cases (events) itself represents the tree of the world. To my mind, for the visual illustration of it might serve a late antique Georgian bronze openwork buckle, on which a horse is "crowned" with stag's branched horns.

Here the horse is identified with a tree, to which the branched horns refer. "Crowning" the horse with stag's horns reveal double information. On the one hand it represents the tree under which a sacrifice had to be performed and on the other the sacrificial animal itself. The custom of gilding of animal horns (which is attested among many ancient and living peoples; e.g.: at the autumn festival of St. George in Georgia, etc.) or marking it in some other way must be identical to the crowning. Placing a crown on the head of a human being or an animal during the sacrifice is characteristic to many (old and new) religious systems.

The sacrificial horse or horse-tree (as it is on the bronze openwork buckle) marks the space and in the sacred language of symbolism represents the centre and its axis, on which the transition into different spheres is possible.

The tomb, which differed with its structure from the profane space, represented the transcendent space on which different cosmic levels and spheres met and crossed each other. As for the horse, it used to be the means of mystical transcendence in different spheres and elements. The planted tree in the tomb and the horse standing beneath (under) it, as well as the horse with stag's antler on the bronze openwork buckle are the signs of the infinite reality. A deep cosmological idea underlies it, which implies the crossing of all cosmic zones, and consequently, at the same time defines and marks the "centre" and the "axis" of the world i.e. the tomb, as the cosmic

space has its own centre in the face of the deceased and the axis represented by the tree (or the horse with a stag's antlers) which is the isomorphic variant of the last one.

The horse tied to the tree or the pillar by means of the ritual achieves a high semiotic degree and that's why in the symbolic language it is associated with the world tree. It is not merely connected with the arbor mundi, but even more, it itself represents the world tree. The same can be said about the bull with the gilded horns.

Thus if the sacred tree planted immediately after the childbirth implies the creation of the sacred centre in the world of the living (and to its blossoming and withering the fate of the new born is associated) after the death of a human being it was pulled up with its roots and transplanted in the tomb, which I would call the *center shifting ritual*, which constructs the transcendental space where different cosmic levels meet and cross each other. The transplanted tree is at the same time the symbol of the arbor mundi and axis mundi.

In the mortuary and mourning rituals we come across the other variants of arbor mundi and axis mundi, which are represented in one case with the kelaptari (a waxen tree), in the other – with a horse-tree or a bull-tree; in case of the competition called kabakhi it is represented with the tree with a bird on top of it.

The religious complex; tomb – tree – sacrificial animal (horse, bull), or their supplementary waxen tree - kelaptari is in itself the sign of the infinite reality in which a wide cosmological idea is underlined and, consequently, it reveals the symbolism of the "centre" and the "axis of the world" in the sense of M. Eliade. That means that the tomb as a cosmic space has its centre (the deceased) and its axis (the pillar) that can be represented by the allomorphic variations (horse-tree, bull-tree, artificial waxen tree, etc.) of the sacred tree.

ნანა ბახსოლიანი


გვიანეთი ერი სანის ქარხემიშის მონუმენტის ერთი
სიუკეთის ინტერპრეტაციისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა თავდაპირველად საკულტო ხასიათის იყო: იგი მონუმენტურ რელიგიურ დამწერლობას წარმოადგენდა. გვიანხეთურ ხანაში სეკულარიზაციას განიცდის. ჩნდება მიძღვნითი, სამშეხებლო წარწერები, ისტორიული შინაარსის ტექსტები [ხაგარაძე 2000]. მიუხედავად იმისა, რომ ამ დამწერლობით შესრულებული ტექსტები მოკლე, ტრაფარეტული და ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი შინაარსით ხასიათდება, მათი მნიშვნელობა მაინც განუზომდად დიდია. წარწერებს არც თუ იშვიათად თან რელიეფური გამოსახულებანი ახლავს. ამიტომ, მონუმენტური ძეგლები კიდევ უფრო მეტ დირებულებას იძენს ამა თუ იმ პრობლემატური საკითხის დასმის, კვლევა-ძიების ჩატარებისა და შედარებითი ანალიზისათვის.

ამჯერად, ჩემი კვლევის საგანს ჩრდილოეთ სირიაში, გვიანხეთური ხანის ქარხემიშის (დღვე: ჯერაბლუსი) სამეფო ხელისუფლების უზურპატორის – იარიისის (ძვ. წ. VIII საუკუნის 60-40-იანი წლები) წარწერა წარმოადგენს. იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა ციცაბო კლდეზეა ამოკვეთილი. ძეგლი სამეცნიერო ლიტერატურაში ქარხემიშის სამეფო საგვარეულოს ოჯახის რელიეფურ გამოსახულებადაა მიჩნეული [Merrigi 1967: 19]. XX საუკუნის მეორე ნახევარში ამ ძეგლისადმი მიძღვნილი რამდენიმე საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა [Barnett 1953: 91; Mallowan 1972: 76; Hawkins 1972: 87ff.; Hawkins 1979: 157]. აქვე დიდ მადლობას მოვახსენებ პროფ. მასიმო პოეტოს ჩემთვის უახლესი მასალებისა და ინფორმაციის მოწოდებისათვის.

იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა აქ გამოსახული პირების – მამაკაცების თეოფორულ სახელებს გვამცნობს, რომელთაც ერთ შემთხვევაში ღვთაება თარხუნის, უმთავრესად კი ღვთაება თემუბის სახელწოდებები უდევს საფუძვლად: "ეს მაღა-თემუფ(ა), ეს ასთი თარპუ(ა), ეს თარნა-თიშფა(ა), ეს ასაკარ-თიშფა(ა), ეს სანგარა(ა), ეს აპიდ-თიშფა(ა), ეს ჰალპავარა(ა), ეს თუვარსა(ა) საყვარელი მეუღლე... ეს გამოსახულება იარიისისია. ეს ქამანა(ა), ისინი უმცროსი მმები(ა)... მე მიტაცებული? ხელისუფლება... და მე ტამრების უმაღლეს მსახურად ვაქციო... თუმცა იგი უდარღელი ბავშვი..." [Hawkins 1979: 20].

რამდენადაც ამჯერად კვლევის ფოკუსში ქარხემიშის ორთოსტატის ერთი სიუკეფი ექცევა, მონუმენტური ძეგლის აღწერილობაზე დაწვრილებით შევჩერდები.



რელიეფური გამოსახულება რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: წინა, მარცხენა ორთოსტატზე ქამანასი და იარირისია გამოსახული. ამ უკანასკნელს მარცხენა ხელში სამეფო რწმუნების სიგელი მაგრად ჩაუბლუავს, მარჯვენა კი ქამანასის ხელზე აქვს დაღებული. ორთოსტატზე აღბეჭდილი ეს სცენა სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაბრისის თანახმად, იარირისის მიერ ქამანასის შეიღად, მემკვიდრედ გამოცხადების ცერემონიას წარმოადგენს.

მარჯვენა მხარეს, პროფილში ქალბატონი ხელში ბავშვითა და ყელსაბამზე გამობმული ძაღლითაა გამოსახული. შეა ნაწილი ორადაა გაყოფილი: ზემო და ქვემო რეგისტრებად. ზემო რეგისტრზე სამეფოს უმაღლესი პირი – სამი ყმაწვილი ხელში შესაბამისი აფრიბუტებითაა წარმოდგენილი, მათ უკან "უბრალო" (?) ბიჭი მოჰყვება, რომელსაც ხელში ჭოკი უჭირავს. ჭოკზე კი ჩიფი ზის. ყველაზე მარცხენა მხარეს, მთავარი პერსონაჟებისაკენ – ქამანასისა და იარირისკენაა მიმართული.

ქვემთ რეგისტრზე წყვილად დაჯგუფებული ოთხი ბიჭია გამოსახული. თითოეული თამაშის სცენაში წარმოდგება. მარჯვნივ ორი ყმაწვილი ფეხშე დგას და ბზრიალას აფრიალებს, მარცხნია მხარეს კი ორი ყმაწვილი ფეხებმოკეცილ პოზაში "წილს ყრის", "კოჭაობს", სავარაუდო, "კამათლებს" აგორებს.

მრავალი ხალხისათვის "წილის ყრა", "კოჭაობა", "კამათლები" თამაშიცაა და რელიგიური ქმედებაც. იმ შემთხვევაში, თუ ეს რიტუალია, მისი მონაწილეობი დარწმუნებული არიან, რომ მათი ქმედება დვთაებრივი ძალის მიერაა ნაკარნახევი და, ამდენად, დვთაების შემოწანილი წესრიგი ჩვეულებრივი ცხოვრების წესრიგზე მაღლა დგას.

ქარხემიშის ორთოსტატზე გამოსახული "წილის ყრა", "კოჭაობა", "კამათლებით" თამაშის სცენა, ჩემი აბრით, თამაშის ფორმატს სცილდება. მას სრულიად ნათელი სემანტიკური კოდი გააჩნია. საქმე სამეფო ხელისუფლების მომავალი პრეტენდენტების წილის ყრით არჩევას უნდა ეხებოდეს.

ორთოსტატზე გამოსახული სცენის დედააბრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ "იძღლიან" გამარჯვებულად სამეფო ოჯახის წევრებიდან ქამანასია. ის მისი რეგენტის მიერ უკვე ხელდასმულია. სამეფო ოჯახის დანარჩენი წევრები, ქამანასის მმები კი, თავიანთი რიგითობის ადგილს თუ იერარქიას იმ ტაძრებში განისაზღვრავენ, რომელიც მათ "წილის ყრით" ერგებათ.

ამგვარი ინტერპრეტაცია, ვფიქრობ, თავის ადგილს უჩენს "წილის ყრის", "კოჭაობის", "კამათლებით" თამაშის დანიშნულებას – გამოავლინოს გამარჯვებული და პირველთა შორის რიგობითობის პრინციპი დაიცვას.

საკითხის ისტორიისათვის საყურადღებო ინფორმაციის შემცველია ხეთური წერილობითი წყაროები. ერთ-ერთი ტექსტი ამინდის დვთაების გველეშაპთან/გველთან შერკინების მითს შეეხება. იგი წილის ყრის რიტუალურ ცერემონიაზე მოვცითხრობს. საილუსტრაციოდ მომყავს ნაწყვეტი ხეთური ტექსტიდან: §31 (DIV 11-16) "ასე (მიუეგბს მათ) "კურთხეული ქურუმი" – თახფურილი: "როდესაც თქვენ დიორიგის ტახტზე დაბრძანდებით და "კურთხეული ქურუმები" წილს ყრიან, ის "კურთხეული ქურუმი", რომელსაც ცალიანუს (გამოსახულება) ეჭირება ხელში, წყაროზე აღმართულ დიორიგის ტახტზე, (სწორედ) იქ დაჯდება". §2 (A 14-17) "დვთაებები, ყველანი, მოდიან და წილს ყრიან, ყველა (სხვა) დვთაებიდან ქასთამას ცასხაფუნა (ყველაზე) დიდი(ა)" [ტატიშვილი 2001: 45-50].

ბემომყვანილთან ერთად საგულისხმოა ხეთური საკულტო-საინვენტარო ქანრის ტექსტი KUB 17. 35. მასში ხეთური დღესას-

წაულების აღწერილობებს ვხვდებით. ტექსტში განსახილველი საკითხი EZEN pulaš-ის სახელწოდებით წარმოდგება და "წილის ყრის დღესასწაული" ჰქვია. მითითებული წარწერის მოწმობით, "[როდე-საც ჭექა-ქუხილის ღვთაებას წილის ყრის დღესასწაულს] გამართავენ, დაიბანენ. sanga-ქურუმი დაიბანს (და) ღვთაებასაც განბანს. [] დამსხვდარნი წილს ყრიან და ვისთანაც კენჭი დავარდება, ის შეიტანს [მას] [ფაძარში] და ის დადებს საკურთხეველზე" [Taggar-Cohen 2002: 134ff.]. წილის ყრის რიტუალი ახალი ქურუმის ასარჩევად სრულდებოდა. მისი არჩევა ტაძრის პერსონალიდან ან ქურუმთა ოჯახიდან ხდებოდა. მოყვანილი წარწერის მსგავსი კონტექსტები კიდევ რამდენიმე ხეთურ ტექსტში (KUB 60.152, KUB 2. 1, KUB 55. 14) დასტურდება. ასე, მაგალითად, KUB 60. 152 ფრაგმენტულ წარწერაში ახალი sanga-ქურუმი კვლავ წილის ყრის რიტუალთანაა დაკავშირებული. დღესასწაული ქალაქ Zuppara-ში იმართებოდა. დაბიანებული ტექსტიდან მაინც ნათლად ჩანს, რომ აქ ჩამოსული sanga-ქურუმი ღვთაების სიმბოლოს დებულობს. სადღესასწაულო პროცესიაში ესძუ-ქურუმებთან და უხუცესებთან ერთად მომდერალი ქალები და ქალაქის მოსახლეობაც მონაწილეობს. წილის ყრა იმ პირის გამოსავლენად გარდებოდა, რომელიც ქურუმებს ტაძარში მოუხმობდა. ა. კონების მოსამარებით, ეს რიტუალის კიდევ ერთი სახეობაა, რომელიც ტაძრის ახალ ქურუმს ქალაქ Zuppara-ში წარმოადგენს [Taggar-Cohen 2002: 144ff.].

მოყვანილ ფრაგმენტში "წილის ყრის" მიზანი აშკარად იკვეთება – გამოავლინოს და განამწეოს უპრველესი ქურუმი დანიშნულ ან გამორჩეულ ადგილზე.

KUB 55.14-ში წილის ყრის დღესასწაული სხვა საკულტო რიტუალების ჩამონათვალში ზიგურირებს. ხეთურ ტექსტებში დღესასწაულების მრავლობით რიცხვში მოხსენიება იმაზე მიუთითებს, რომ რიტუალი ერთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე სრულდებოდა. რაც შეეხება KUB 2. 1-ს, იგი ორ ქალაქში გამართულ წილის ყრის ცერემონიაზე მოგვითხრობს [Taggar-Cohen 2002: 154ff.]. ნიშანდობლივია, რომ ეს ფაქტი ხაზგასმით მიუთითებს ამ რიტუალის გავრცელების არეალზე.

"წილის ყრის", "კოჭაობის", "კამათლებით" თამაშის რიტუალური წარმოდგენება სხვა, არაერთ ძველ აღმოსავლურ-დასავლურ კულტურაშიც გვხვდება. ასე, მაგალითად, ძველ ინდურ სიტყვაში "დოულამ" შერკინებისა და კამათლით თამაშის მნიშვნელობა ურთიერთმიმართებაში გადადის. თვით სამყარო შიგასა და მის მეუღლეს შორის გაამრებულია როგორც კამათლებით თამაშის

პარტია. წელიწადის ღროვნი "რტუ" ექვსი მამაკაცითაა წარმოდგენილი, რომლებიც ოქროსა და ვერცხლის კამათლებს აგორებენ. ღმერთების შერკინებას საჭადრაკო დაფასთან გერმანული შითოლოვიაც იცნობს. როდესაც სამყაროში წესრიგი დამყარდა, ღმერთები კამათლის სათამაშოდ შეიკრიბნენ, სიჭაბუკეს ნაზიარევი ღმერთები – არები თავის ადრინდელ გაფაცებას – ოქროს სათამაშო დაფეხსაც იბრუნებენ.

გ. ჰელდის თანახმად, "მაპაბპარატას" ძირითადი მოქმედება მეფების – იუდაისტირასა და კაურავას კამათლით თამაშის გარშემოტრიალებს.

საინტერესოა თამაშის გასამართი ადგილი. ეს შეიძლება იყოს უბრალო წრე, "დიუფმან დალაბ", რომელსაც, ეჭვეგარეშეა მაგიური მნიშვნელობა გააჩნია. იგი საგულდაგულდოდა შემოსაბლვრული და თაღლითობის სასცილებლადაც ყველანაირი ზომაა მიღებული. მოთამაშებს არ აქვთ წრიდან გამოსვლის უფლება, ვიღრე ყველა თავის ვალდებულებას არ შეასრულებს. ბოგჯერ თამაშისათვის დროებით, საგანგებოდ ნაკურთხი დარბაზი აიგება. "მაპაბპარატაში" მთელი თავი ეძღვნება პანდუს შვილებისა და მათი მეტოქების თამაშისათვის განკუთხნილი დარბაზის "საბპას" მშენებლობას [ჰაიბინგა 2004: 82-84].

"წილის ყრა", "კოჭათბა", "კამათლებით" თამაში ძველ საბერძნეთში ასევე ფართოდ იყო გავრცელებული. არსებული მონაცემების თანახმად, საბერძნეთში თამაშის ეს სახეობა სარიცხვალო ფუნქციის მატარებლად კი არ გვევლინება, არამედ გართობისა და დასვენების ერთ-ერთ საშუალებად. ამით არა მარტ მამაკაცები, არამედ ქალები და ბავშვებიც კი იყვნენ დაკავებულნი. ასე, მაგალითად, ჰეროდეს თხზულებაში "მასწავლებელი" ბავშვის დედა წეხილს გამოთქამს იმის გამო, რომ მან "კამათლებით" თამაში უკვე ფულზე დაიწყო. აქ საქმე ეხებოდა "თეთრ კამათლებს". იგი ცხოველის ფეხის სქელი ძვლისაგან იყო გამოყრილი. კოჭის ორი მხარე სწორი იყო, მესამე – ამობურცული, მეოთხე კი ჩაბნექილი. მას ყველა მხრიდან პაგარა ფოსოები ჰქონდა გაკეთებული: ჩაბნექილ მხარეს ერთი, ამობურცულზე ექვსი, სწორზე კი, სამი ან ოთხი. კოჭს სპეციალურ წრეში ისროდნენ, შემდეგ დანარჩენ კოჭებსაც აისროდნენ და თვალს ადევნებდნენ კოჭებს თუ რომელ მხარეზე დაეცემოდა. ვისი კოჭებიც ჩაღრმავებულ მხარეზე დაგარდებოდა, გამარჯვებულადაც ის ითვლებოდა. როდესაც ოთხივე კოჭი, კამათლი ერთსა და იმავე ნიშანზე დაჯდებოდა, წარუქატებლად ითვლებოდა. მას ბერძნები "მაღლს" უწოდებდნენ, წარმატების შემთხვევაში – "აფროდიტეს". თამაშში გამარჯვებულს ნადიმის

დროს "თამადად" ირჩევდნენ. ბევრი ბერძნები "კოჭებით", "კამათლებით" კიდევ შემდეგნაირად თამაშობდნენ: რამდენიმე კოჭი" "კამათელს" ააგებდნენ ისე, რომ ყველა კოჭი, კამათელი ხელისგულბე დაცემულიყო, ან მკითხაობდნენ, მოთამაშებ ხელში რამდენი "კოჭი", "კამათელი" დამალა – ლუწი თუ კენტი.

რომაელებიც ბევრი ბერძნების მსგავსად თამაშობდნენ. სათამაშო "კოჭი", "კამათელი" პატარა, ექვსწახნაგოვანი კუბიკის ფორმისა იყო. რომაელებიც, ისევე როგორც ელადის მცხოვრებნი, წარუმატებელ ნასროლს "ძაღლს", ხოლო საუკეთესოს – "ვენერას" უწოდებდნენ.

"კოჭებით", "კამათლებით" თამაში უკვე იმპერიის ხანაში აიკრძალა. იგი მხოლოდ სატურნის დღესასწაულზე – სატურნალიებზე იყო ნებადართული. აკრძალვას სწორედ ისინი არღვევდნენ, ვინც იგი შემოიღო. ამაბე იუვენალიუსი თავის "სატირებში" (XI, 176-178) კრიტიკულად წერდა.

თამაშის ამ სახეობით ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ გაფაცებული (პუბლიუს მუციუს სცენოლა, კატონ უფროსი ცენტორი, კატონ უმცროსი, სციპიონ აფრიკანტიუს უმცროსი, კატილინა, ცეზარი, პომპეუსი, ოქტავიანე ავგუსტუსი, ტიბერიუსი, კალიგულა, კლავდიუსი, ნერონი, ვიტელიუსი, ვესპასიანე, დომიციანე) [Винничук 1988: 288-300]. ამ შემთხვევაში, "კოჭაობა", "კამათლებით" თამაში სახელმწიფოს ძნელი და როტული საქმეებისაგან და ასევე არანაკლებ აწეწილი ოჯახური ცხოვრებისაგან დასვენებისა და გართობის საშუალებას იძლეოდა.

ამგვარად, მოყვანილი მონაცემები, რომლებიც, ფაქტობრივად, პირველადაა თავმოყრილი, სიმცირის მიუხედავად, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ხეთურ და გვიანხეთურ ხანაში, როგორც ეს აშკარად ჩანს ხეთური წერილობითი წყაროებიდან და ქარხემიშის ორთოსტატზე გამოსახული სიუკეტიდან, "წილის ყრა", "კოჭაობა", "კამათლებით" თამაში რიცხალური, საკრალური მნიშვნელობის მოვლენა იყო. იგი გვიანხეთურ ხანაში (ქარხემიშის მაგალითზე) პოლიტიკურ ცხოვრებაშიც კი წესრიგის განმსაზღვრელად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, თბილისი, 2001.
2. ხაგარაძე ნ., ნაგებობების აღმნიშვნელი ლუგიური იეროგლიფები, (მასალები მვ. წ. II-I ათასწლეულების მცირე აზიის ქალაქებისა და სამართლებრივი კულტურული მემკვიდრეობის მიერ გამოყენების შესახებ), თბილისი, 2006.

- ბის ისტორიისათვის), კრებულში: "ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში", თბილისი-ბათუმი, 2000, გვ. 32-35.
3. ჰაიბინგი ი., Homo Ludens კაცი მოთამაშე, თბილისი, 2004.
 4. Barnett R. D., Karatepe, the key to the Hittite Hieroglyphs, AnSt, vol III, 1953.
 5. Hawkins J. D., Bulding inscriptions of Carchemish the Long Waal of sculpture and Great Staircase, AnSt, XXII, 1972
 6. Hawkins J. D., Some historical Problems of Hieroglyphic Luwian inscriptions, AnSt, XXIX, 1979.
 7. Mallowan M. E. L., Carchemish, Reflections on the chronology of the sculptura, AnSt, XXII, 1972.
 8. Merrigi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi I-1a Serie, Roma, 1967.
 9. Taggar-Cohen A., The EZEN pulaš – A Hittite Installation Rite of a New Priest", JANER, 2, Leiden, 2002.
 10. Винничук Л., Люди, Нравы и Обычай древней Греции и Рима, Москва, 1988.

Nana Bakhsoliani

TO THE INTERPRETATION OF ONE PLOT OF A LATE HITTITE TIME KARKHEMISH MONUMENT

On the Karkhemish orthostat seems to be described the ceremony of proclaiming (by Iariris) Kamanas his son and heir.

The scene of "playing dice", "a lucky draw", featured in the lower registre of the middle part of the orthostat in my opinion exceeds the format of a mere game. It looks more like the draw of pretenders for kingship.

The principal idea of the scene is to reveal the fact, that the "lucky" winner among the members of the royal family is Kamanas. He is already chosen by his regent. As for the other members of the royal family – the brothers of Kamanas – they will get their due, according to their turn or hierarchy, in the temples, which they receive through the draw.

თედო დუნდუა

პნეუს პრმპეუსის პროტოეზი და პარმული ნუმიზამიქა

გნეუს პომპეუსი ჩვენი მსჯელობის ცენტრალური ფიგურაა, თუმცა შესავალი ციფატა პლუტარქედან მას არ ეხება, ის კეისრის შესახებაა. "ყველაბე უფრო აშკარა ბიბლსა და კეისრის მოკვლის სურვილს მისი მეფედ გახდომის ქინი იწვევდა. კეისრის უმთავრესი დანაშაული ხალხის თვალში სწორედ მეფობისაკენ სწრაფვა იყო..." (Plut., Caes., 60). "...იმ დღეს ლუპერკალიების დღეობა იყო... სატრიუმფო სამოსელში გამოწყობილი კეისარი საორაფორო ტრიბუნის მახლობლად ოქროს სავარძელში იჯდა და ამ სანახაობას შესცეროდა. წმინდა სრბოლის მონაწილე მორბენელთა მორის ერთ-ერთი ანგონიუსიც იყო. ჩქარა მან ფორუმთან მოირბინა... და ანგონიუსმა დაფნის გვირგვინით მოკაბმული სამეფო დიადემა კეისარს გაუწოდა; ამაზე კანტიკუნცი და ისიც წინასწარ მომზადებული ტაშისცემა გაისმა. კეისარმა გვირგვინი აირიდა; ახლა კი მთელმა ხალხმა დასცხო ტაში. მერე ისევ მიართვა ანგონიუსმა კეისარს გვირგვინი; ტაში ისევ რამდენიმე კაცმა დაუკრა; ხოლო როცა კეისარმა კვლავ აირიდა დიადემა, ტაშის ცემა კვლავ მთელმა ხალხმა აგება. როცა ამგვარი ხერხით ხალხის განწყობა გამომჟღავნებულ იქნა, კეისარი ფეხზე წამოდგა და ბრძანა, გვირგვინი კაპიტოლიუმში წაეღოთ. მცირე ხნის შემდეგ ხალხმა სამეფო დიადემით მოკაბმული კეისრის ქანდაკებები დაინახა. მაშინ სახალხო ტრიბუნები, ფლავიუსი და მარკულუსი, მყისევ მიიღწრენ ამ ქანდაკებებთან და მათი მოკაბმულობანი დახსნეს. მერე, კეისარს რომ პირველად მეფესავით მიესალმნენ, ის პირები დაძებნეს და საპურობილეში წაიყვანეს. ხალხი ტაშის გრიალით მიპყვებოდა უკან ამ სახალხო ტრიბუნებს... სახალხო ტრიბუნთა მოქცევით აღშფოთებელმა კეისარმა მარკულუსსა და მის ამხანაგებს მათი წოდების დირსება აპყარა..." (Plut., Caes., 61).¹

კეისრის ექსპერიმენტი ფუნდამენტური კონსტიტუციური ცვლილების პერსპექტივის შესწავლას ემსახურებოდა. რა განსხვავებაა მონარქს, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მთელი სიცოცხლის მანძილზე აღიარებულ დიქტატორს, თუ პრინცეპს შორის?! ტაციტესთან დაცული იმპერატორ გაღბას სიტყვა ამის ზუსტი პასუხია. "ჩვენ ისე არ ვეწყობით, როგორც ის ხალხები, მეფეები რომ მართავენ. იქ

¹ პლუტარქე. რჩეული პარალელური ბიოგრაფიები. I. ძველბერმნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთი აკ. ურუმაძემ. თბ. 1957, 223-224.

ძალაუფლება ერთი ოჯახის ხელშია, დანარჩენი კი მისი მონები არიან. შენ (მიმართავს პიტონს, პრინცეპსობის კანდიდატს – თ. დ.) კი ის ხალხი უნდა მართო, ვინც ვერ იგეებს ვერც ნამდვილ მონობას, და ვერც ნამდვილ თავისუფლებას (Tac., Hist., I, 16)² (თარგმანი ჩვენია – თ. დ.).

შემდეგი ექსპერიმენტი წუმიბმატიკურია. კეისარი მონეტაზე საკუთარ პორტრეტს ათავსებს, როგორც ნებისმიერი ელინისტი მონარქი.



აქამდე კი აი, რა ხდებოდა: საერთო- სახელმწიფო სიმბოლიკა, სფაბილურობა და კონსერვატიზმი რესპუბლიკური სამონეტო ტიპოლოგიის მახასიათებლებია. ძვ. წ. 130 წ.-დან გამოსახულებებში ინდივიდუალური შერიხები იჭრება. ეს იმ triumviri monetales დამსახურებაა, ყოველწლიურად რომ იცვლებოდნენ. ზოგჯერ ფულის მოჭრა სხვა მაგისტრატის, ან საგანგებო უფლებებით აღჭურვილი სარდლის კომპეტენციაა. პერსონალური ტიპების გენეზისმა და საერთო ცენტრისამ ავტოკრატიის კენტავრული მოვლენები და ძლიერი პიროვნებები წარმოაჩინა. მაგ. ძვ. წ. 101 წ. მოჭრილ მონეტაზე გაისა მარიუსია ეტლზე, როგორც ტრიუმფატორი;



სულაც სიცოცხლეშივე მსგავსადაა გამოსახული.

² Корнелий Тацит. Историки Античности. Т. II. Древний Рим. М. 1989, 197.



მაგრამ ეს ჯერ პორტრეტი არ არის. უახლოესი წინაპრების პორტრეტი ჩნდება ძვ. წ. 54 წ.-დან. გაიუს იულიუს კეისრის თანადროულ სამონეტო პორტრეტს კი სენატის სპეციალური დადგენილება ედო საფუძვლად. ამ სქემიდან საერთოდ ამოვარდნილია ფლამინინუსის პორტრეტი საბერძნეთში მოჭრილ თქროს მონეტაზე.³



ეს ადრე მოხდა და რესპუბლიკაც ამ დროს ძლიერია.

ე. ი. კეიისარი პირველი რომაელია, სიცოცხლეშივე მონეტაზე რომ გამოსახუს (ძვ. წ. 44 წ.). ასე თვლიდა ყველა რომში, ასეთია ისტორიოგრაფიული პოზიციაც.

თუმცა ეს, მაინცდამაინც, ჭეშმარიტებას არ შეეფერება. ცოტა უფრო ადრე, კერძოდ ძვ. წ. 52/51 წწ., რომიდან შორის, კოლხეთში მოჭრილ დრაქმაზე გნეუს პომპეუსია გამოსახული.

შებლი – მარჯვნივ მიმართული პომპეუსის თავის გამოსახულება სხივებიან დიადემაში.

ბურგი – სავარძელში მჯდომი ქალღმერთი ტიხე და წარწერა, APIΣΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ BI.⁴

³ Chr. Howgego. Ancient History from Coins. London and New York. 1995, 67-69.

⁴ T. Dundua. Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Tb. 1999, 10.



კოლხეთის დინასტი არისტარქე პომპეუსის კრეატურა და მისი აღმოსავლური რეორგანიზაციის ხაწილია. ყოველივე ამას აღვილი ჰქონდა მითრიდატელი ომების შემდგომ. ბვ. წ. 63 წელს მას კოლხეთი ჩააბარეს (App. Mithr. 114). ერთი შეხედვით, რა შეაშია ეს დრაქმა რომაულ ნუმიზატიკასთან?! ის არისტარქეს სამონეტო რეგალის რეალიზაციაა და მმართველობის წლებიც – 12 (ბვ. წ. 52/51 წელი) – მისია. დრაქმა, თითქოს, რომაული კონიუნქტურის მიღმაა, მიუხედავად იმისა, რომ არისტარქე პომპეუსის კლიენტია.

მაგრამ, მოდით, სხვა კუთხით შევხედით ყველაფერ ამას. ვინ არის არისტარქე? 'Ο ἐπὶ τῆς βασιλείας — მეფისნაცვალი. რომელი მეფის, კოლხეთს ხომ მეფე არ ჰყავს?! მაშინ, გამოდის, რომ რესპუბლიკის. წარმოიდგინეთ, რა რეაქცია მოპყვებოდა სენატში პომპეუსის დეიფიცირებულ (rex et deus) იღესტრაციას! სხვა საკითხია, უნახავთ კი რომაელებს ეს ფული; მართლაც, ემისია მცირემასშტაბიანია – ჩვენამდე მხოლოდ 6 ეგზემპლარმა მოაღწია.

ვის ეკუთვნის მონეტის დიმანი, არისტარქეს, რომელმაც, უბრალოდ, არ იყის რესპუბლიკის ტრადიცია კონკრეტულ სფეროში, თუ მას ყველაფერი გარედან უკარნახეს?! ხომ არ არის ეს დრაქმა პომპეუსის ექსპერიმენტი?! მოქმედებს რა საკუთარი კლიენტის ხელით, ის ცდილობს გაარკვიოს მეტოპოლისის პოლიტიკურ-კონსტიტუციური სიმპათიები.

შესაძლოა ყველაფერი ასეც იყო. კრასუსი მკვდარია, კეისარი კი გაღიაში მომბას. ეს სახელოვანი გენერალი მარტო რომში. სიმპტომატურია ისიც, რომ ფარსალეს ბრძოლის წინ პომპეუსს საკუთარი მომხრეები, ალბათ, უფრო დაცინვით, აგამემნონს და მეფეთა მეფეს ეძახდნენ (Plut., Pomp., 67). ან რა უნდა გვიკვირდეს, როცა კეისრის სიკედილის შემდგომ ტირანის მკვლელმა ბრუტუსმა საკუთარი პორტრეტი მოათავსა მონეტაზე.⁵

⁵ D. R. Sear. Roman Coins and Their Values. 4th edition. 1997, 84 № 382.



რეპუბლიკა დიდი ხნის მკვდარი იყო.

Tedo Dundua

THE PORTRAY OF GNAEUS POMPEJUS MAGNUS AND THE GEORGIAN NUMISMATICS

For the Graeco-Roman republics there were the gods to justify a legitimacy of a coin. With the decay towards autocracy the first persons started to be portrayed.

Julius Caesar became the first living individual to be portrayed in Rome, and it was done by special senatorial decree.

Was he really the first Roman to be honoured this way?

The case of Flamininus with his head on the gold coins struck in Greece is beyond the interest. It happened too long before and the republic was too strong.

But what about Gnaeus Pompejus? That's exactly him on the obverse of the light drachm struck in Colchis in 52/51 B. C.

Obv. Head of Gnaeus Pompejus in solar diadem right.

Rev. Tyche seated, ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ ΒΙ.

დვთაებები მოიხსენიება, როგორც ბერძნული, ასევე ირანული სახ-ელწოდებებით. ამის მკაფიო მაგალითია, ძველ კომაგენეში, ნიმრუდ დაღბე, ძვ. წ. I საუკუნის შეა ხანების ადგილობრივ მეფეთა დვთაე-ბების ორმაგი (ბერძნულ-სპარსული) სახელწოდებების, მაგ. ზეგ-სი/ორომაბდები, აპოლონი/მითორა და სხვ. გამოვლენის ფაქტი³².

თუ რა სახის კულტი იყო სინამდვილეში გამეფებული წინაქრის-ტიანულ ქართლში კარგად არის ასახული წმინდა ნინოს სიტყვებში, როდესაც იყი ახასიათებს არმაზის კულტის სადიდებლად არმაზის-ები ასეულ ქართლის მაღალ წოდებასა და მორწმუნებებს, რომ ისინი: "...ქათა და ძელთა, სპილენძსა და რეალსა განჭედილსა დმერთად თაყუანის-ცემდებს, და ესენი იცოდეს ყოვლისა შემოქმედად" (ქც, I, 90).

ამრიგად, ცხადზე ცხადი ხდება, არმაზი არ არის აპურამაბდა და ცეცხლთაყვანისმცემლობაზე რაიმე მინიშნებაც კი არა გვაქვს მი-სადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, ამდენად არც მაზდეანობის სამე-ფო კულტად ქცევაზე შეიძლება საუბარი იმდროინდელი ქართლის დედაქალაქში; ეს მით უფრო საცნაურია, რომ "წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის" ავტორმა კარგად იცის ქართლში ცეცხლთაყ-ვანისმცემლების არსებობის შესახებ. პირველად ქართლში შემო-სულ წმ. ნინოსთან დაკავშირებით იყი შენიშნავდა, რომ "...მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბ-ნისი, სადა-იგი იხილა ერთ უცხოთა თეხლთა დმერთთა მსახური; რამეთუ ცეცხლსა (ხაზი ჩემია, – გ. ქ.), ქვათა და ძელთა დმერთად თაყუანის-ცემდებს" (ქც, I, 87).

"წმ. ნინოს ცხოვრებაში", ნინოს მცხეთაში ჩამოსვლისთანავე მის მიერ ცეცხლთაყვანისმცემელთა რიტუალის ნახვა და მეორე დღეს შემდგარი არმაზის დღესასწაული, ნ. მარის შეხელულებით, ორდ-ლიან მაზდეანურ დღესასწაულს წარმოადგენდა. ამასთან დაკავში-რებით, მ. წერეთელი შენიშნავდა, რომ ეს ორი სხვადასვა მოვლე-ნაა და მათ ერთმანეთთან არაფერი არა აქვთ საერთო. მისი დაკ-ვირვებით, სინამდვილეში აღწერილია მხოლოდ ერთი არმაზის დღესასწაული, ხოლო მაზდეანთა მიერ ჩატარებული რიტუალი წმ. ნინომ გზად, შემთხვევით იხილა; უფრო მეტიც ეს ორი მოვლენა მ. წერეთელის განცხადებით, შაგბერდული ნუსხის თრ სხვადასხვა თავშია მოქცეული, არმაზის დღესასწაულის აღწერით ახალი თავი (გ) იწყებოდა³³. "...და მივიწიენით ქალაქად მცხეთად, წიაღით მო-გუთას კიდსა მედა. დავდეგით მუნ და ვხედევდით ცეცხლისა მსახ-

³² Bailey & Yarshater 1983, 866f.

³³ Tseretheli 1935, 34-35, შდრ. თაკაშვილი 750.

ურსა მას ერსა და მოგუებასა და ცთომასა მათსა ზედა ვტოლდე, წარწყმედისა მათისათვეს და უცხოებასაცა ჩემსა ვეგლოვდი³⁴ და შემდეგ უკვე ახალი თავიდან არის ახალი დღე აღწერილი: "ხვალი-საგან იყო ქმა თხრისამ და საყურისამ და გამოვიდოდა ერი ურისა, ვითარცა უკავილოსანი...".³⁵

ამავე დროს აუცილებელია ითქვას, რომ ცეცხლთაყვანისმცემ-ლობა ქართლში კერპითაყვანისმცემლობაზე ბევრად უფრო გა-მდლე გამოდგა და შესაძლოა ესეს არის ქართველი მემატიანეების მიერ მის წინააღმდეგ გამოხატული პათოსის მიზები. ამ მოძღვრების ასეთი მდგრადობა არც უნდა იყოს მოულოდნელი, იგი გარე-დან, ირანიდან დებულობდა სასიცოცხლო ძალებს და ბიბანგის კეისრის პერაკელეს მიერ ირანის დამარცხებამდე და შემდეგ არაბების მიერ ამ რელიგიის ფაქტობრივ ამოძირკვამდე ქრისტიანობას ამიერკავკასიაში დიდ საფრთხეს უქმნიდა. ამ საკითხთან მიმართებაში საყურადღებოა მირიან მეფის მიერ სიცოცხლის დამლექს თა-ვისი მის, ბაქარისადმი დანაგოვარი სიტყვები: "და სადა პოვნე ვნე-ბანი იგი ცეცხლისანი კერძნი, ცეცხლითა დაწუებ, და ხაცარი შეასუ რომელნი მათ ეციდნებ" (ქვ. I, 130). სავარაუდოდ ეს სიტყვები რე-მინისცენციაა ბიბლიურის: "ხატები კერძებისა მათისამ დასწუა ცეც-ხლითა" (I, დან. 3:2), ოღონე მირიანის სიტყვები უფრო ექსპრესუ-ლია, აქ საუბარია ცეცხლისა და მისი აფრიბუების ცეცხლითვე გა-ნადგურებაბე.

"მეფეთა ცხოვრებაში" სავსებით ცხადად არის გამოხატული, ქართველების სპარსელებთან რელიგიური დაპირისპირებისა და მათთან აღრევის საწინააღმდეგო ტენდენცია. მაგიანებ შემოგვინახა ქართული არისოფარატიის დამოკიდებულება სპარსეთის მეფის მის (მომავალი მეფე მირიანი) ქართლის მეფედ მოვლენისა და ქართ-ლის სამეფო ოჯახის ერთადერთი წარმომადგენლის, მეფის ასულის აბეშურას მეუღლედ გახდომის მიმართ: "ვითხოვოთ მისგან [სპარსთა მეფისგან – გ.ქ.] დამჭირვა სჯულსა ზედა მამათა ჩუქნია-სა, და ვითხოვოთ ჩუქნ თანა არა აღრევა სპარსთა და წარჩინებუ-ლად პყრობა ჩუქნი. ნუ უკუ შეიწყნაროს ვედრება ესე ჩუქნი, და ყოს ესე ყოველი ჩუქნ ზედა და უკეთუ სჯულსა მამათა ჩუქნიასა მიგვლებდეს, და ჩუქნ ზედა სპარსთა წარჩინებულ პყოფებ, და ნა-თესავსა მეფეთა ჩუქნიასა მოსწყუედდეს, მაშინ სიედილი უგ-ჯობეს არს თავთა ჩუქნიათვეს ვიდრე მონახვასა ესევითარისასა.

³⁴ Такайшвили 750.

³⁵ Такайшвили 750-751.

დაგსხნეთ თავნი ჩუენი ციხეთა და ქალაქთა შინა და მოგსწყდეთ ყოველი" (I, 63).

ამ ამონარიდანაც აშკარა ხდება, რომ წინაქრისტიანულ ეპოქაში ქართველთა "სჯული მამათა" განსხვავებული იყო მაზდეანობისა-გან და მისთვის ეს უკანასკნელი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა, ამაზევე მეტყველებს ქართული აგიოგრაფიული თხზულებებიდან ზემომოტანილი არა ერთი სხვა ციტატა.

აღსანიშნავია, რომ არც გარეგნულად ჰგავდა არმაბის კერპი აპურამაბდას გამოსახულებებს. მ. წერეთელი დაუშვებლად მიიჩნევს, ძველი ქართული მწერლობის არმაბის მეგარადიანი და მახვილიანი კერპის იდენტიფიცირებას აპურამაბდასთან, რომლის გამოსახულებაც ბისუტუნის კლდიდან ფრთიან მზის დისკობედა მჯდომარე და ხელო გირლანდა უცყრია³⁶. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არმაბს აპურამაბდასთან სახელის გარდა არაფერი აქეს საერთო³⁷. ივ. ჯავახიშვილიც არმაბს აპურამაბდასთან მირითადად მაინც სახელწოდების გამო აკავშირებდა³⁸.

ნ. მარი, ისევე როგორც შემდეგ ლ. მელიქსეთ-ბეგი, თვლიდა, რომ არმაბის სახელი აპურამაბდას გაქართველებული ფორმაა: Armaz = სომხური Aramazd = სპარსული Ormuzd (Öhrmazd) = Ahura-Mazda³⁹. იმის გამო, რომ "წმ. ნინოს ცხოვრების" შაგბერდის ნუსხაშია "არმაბდ", ხოლო ჭელიშურში მცდარად "არმაბდ", ლ. მელიქ-სეთ-ბეგი თვლიდა, რომ "არმაბდ" შუალედური ფორმაა სომხ. არმაბდიდან ქართ. არმაბამდე, ანუ უნდა ყოფილიყო არამაბდ-არმაბდ მსგავსად სხვა მაგალითებისა, არგავაბდ-არგაბ, ამაბასპ-ამბასპ⁴⁰.

არმაბსა და აპურამაბდას შორის სხვაც რომ აღმოჩნდეს საერთო, მაინც პირველ რიგში გასათვალისწინებული იქნება ის, რომ ამ ორ ღვთაებას შორის მსგავსება არ არის სისტემური ხასიათის, წინააღმდეგ არმაბის კავშირისა იუპიტერთან და სხვა მეხთამტყორცნელ ღვთაებებთან. მეხთამტყორცნელი ბევსის კულტისათვის მთა აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა, ისევე როგორც ერთ-ერთი მისი სახეობისათვის იუპიტერ ღოლიხენუსისათვის, რომლის ხე-თურ/ხურიტული ფესვები კარგად არის ცნობილი.

³⁶ Tseretheli 1935, 33, 64. ჯ. რასელის განცხადებით, ალექსანდრე მაკელონელის შემდგომი ხანის აპურამაბდას გამოსახულებები იძენენ მამაკაცურ, მხედრულ თვისებებს (Rassell 2003, 154), თუმცა ეს აღბათ უფრო მართებულია ამ ღვთაების სასანიანთა ხანის გამოსახულებების მიმართ.

³⁷ Tseretheli 1935, 36.

³⁸ ჯავახიშვილი 1979, 145.

³⁹ Mapp 1902, 4; მელიქსეტ-ბეკოვ 1938, 13.

⁴⁰ მელიქსეტ-ბეკოვ 1938, 13-14, შენ. 2.

როგორც არ უნდა გადაწყვდეს საბოლოოდ არმაზისა და აპურა-მაზდას ურთიერთმიმართების საკითხი, აღრეული ხანებიდანვე მაზეანობის არსებობა აღმოსავლეთ საქართველოში ეჭეს არ უნდა იწვევდეს – გარდა აგორაფიული თხზულებების მონაცემებისა, ამას მოწმობს არმაზის სანახების ტოპონიმიკის თავისებურებანი, მაფერიალური კულტურის არაერთი მონაცემი; განსაკუთრებით მხედველობაში მისაძები ხოვლე, ასევე ციხიაგორა (კავთისხევთან), სადაც შესაძლოა არსებობდა აქემენიდური ხანის საკულტო ადგილები. სხვა საკითხია, თუ რა ხასიათის უნდა ყოფილიყო მაზეანობის გავრცელება ამ ტერიტორიაზე. ელინისტურ ხანაში სპარსული კულტის შემოტანა საქართველოში უკვე ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა. დ. მელიქშეთ-ბეგის მიხედვით, მტკვარარაგვის ხერთვისამდე, მდ. მტკვართან უნდა ყოფილიყო აქემენიანთა ბაგონობის ჩრდილოეთი საზღვარი⁴¹.

ა. ბოლტუნოვის ამრით, სავსებით უსაფუძვლოა ვარაუდი აქემენიანთა ხანაში საქართველოში მაზეანობის, როგორც გაბატონებული რელიგიური კულტის არსებობის შესახებ. სამაგიეროდ, იგი თვლის, რომ იბერიის მაღალი წოდება მჭიდროდ იყო დაკავშირებული გვიანაჯემენიდური-ადრეელინისტური ხანის მცირე აბიის სინკრონულ, კულტურულ სამყაროსთან და რომ ამასთანავე არმაზის კულტი აგარებდა აქემენიდური და ელინისტური მცირე აზიისათვის დამახასიათებელი სინკრეტიზმის ანაბეჭდს; ხოლო მაზეანობის აქემენიზმის უკავშირებებს სასანიანთა ირანისა და ბიბანგიის ურთიერთბრძოლას⁴².

იბერიის სამეფოს პანთეონი, მართლაც, სინკრეტული ხასიათის ღვთაებებისაგან შედგებოდა, იგი იმთავითვე მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს გვიანაჯემენიდური-ადრეელინისტური ხანის წინააბიურადმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სინკრეტული ხასიათის კულტურულ სამყაროსთან და შესაბამისად არც ის უნდა იყოს მოულოდნელი, რომ არმაზის კულტიც მკაფიოდ ავლენს თავის ამბივალენტურ ხასიათს. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ საბერძნეთში მდებარე, სტრატონის ე.წ. მთის ღვთაებაც, ბერძნების მიერ სტრატონის ბერძნებად სახელდებული, სპარსელთა მიერ აპურამაზდასთან იყო გაიგივებული, ხოლო სარდესის აპურამაზდას ტაძარი აგებული იყო კანონმდებელი ბერძნის სახელმწერე⁴³. უკვე თვით სახელწოდება "იუპიტერ ორომაზდესი" (Jupiter Oromazdēs) ცხადყოფს, რომ

⁴¹ Меликset-Беков 1938, 15.

⁴² Болтунова 1949, 235, 239-240.

⁴³ ი. Canby 1987, 714; McEvilley 2002, 13.

მცირე აზიაში ადგილი უნდა ჰქონოდა იუპიტერისა თუ ბევსის გაი-
გივებას აჰურამაზდასთან; ამის არაერთი საბუთი მთიპოვება ძველ
ანაგოლიასა თუ ირანში. სპარსული რელიგიური ნომენკლატურით
თუ იუპიტერი (იგივე ზეფისი) აჰურამაზდაა, აპოლონი და არტემიდე
მითორასა და ანაპიტას შეესაბამებიან. თუმცა, შეიძლება ითქვას,
რომ ღვთაებათა ეს გაიგივება რეალურ სინკრეატიზმამდე არ არის
მისული; საქმე გვაქს ელინისტური სამყაროსთვის დამახსიათე-
ბელ უენომენთან, აქემენიდური და ბერძნული წარმოდგენების
შერწყმასთან, რაც, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, გარეგნული თუ
ტერმინოლოგიური დაახლოების დონეს არ სცდებოდა.

მ. წერეთელის შეხედულებით, იმის გათვალისწინებით, რომ მაზ-
დეანობამ სომხეთში ფაქტიურად ამოძირკვა ადგილობრივი წარ-
მართული კულტები, სავარაუდო ხდება, რომ მასვე დიდი დადი უნ-
და დახსვა ძველ ქართულ რელიგიურ წარმოდგენებები და შესაბა-
მისად, შესაძლოა ქართველებსაც გამოეყენებინათ ცეცხლთაყვა-
ნისმცემელთა უბენაესი ღმერთის აჰურამაზდას სახელი თავისი
მთავარი ღვთაებისათვის, ოღონდ შეცვლილი ფორმით – არმაზი,
როგორც ამას უწრო ადრე ო. ფონ ვეგენდონკიც ვარაუდობდა. მ.
წერეთლის აბრით, აღნიშნული გარემოება სულაც არ ნიშნავს, რომ
ამის გამო ქართველებს უნდა ეღიარებინათ აჰურამაზდა, ან რომ
აჰურამაზდათი უნდა ჩანაცვლებულიყო მათი ძველი მთავარი
ღვთაება⁴⁴. როგორც ბემოთ უკვე ითქვა, მოვსეს ხორენაცის
ტექსტთან დაკავშირებით, სომხური ღვთაების "არამაზდის" სახელი
დაპირისპირებულია აჰურამაზდას სახელთან, "ორმიზდთან", რაც
განპირობებული უნდა ყოფილიყო ამ ორ ღვთაებას შორის არსე-
ბული მნიშვნელოვანი შინაარსობრივი და გარეგნული სხვაობით.

მიუხედავად აქემენიანთა ხანის სომხეთში მაზდეანობის აშკარა
გაბატონების ფაქტისა⁴⁵, აյ მას მაინც თავისებური სახე უნდა მიე-
ღო; მაშინ როდესაც აქემენიანთა მეფეებისათვის მიუღებელი იყო
ცხოველთა მსვერპლშეწირვა, სომხები, ქსენოფონგის ცნობით, მზის
ღვთაებას ცხენებს სწირავდნენ (Xen., *Anab.*, IV, V, 35). ეს გარემოე-
ბა, ასხნილია აქემენიანთათვის დამახსიათებელი რელიგიური
ტოლერანტობით, ისინი არ ცდილობენ ხოლმე დაქვემდებარებული
ხალხების ღვთაებათა სახსენებელის აღმოფხვრასა და თავისი
რწმენის ძალდაგანებით გავრცელებას; ისინი ისტრაფოდნენ და
ახერხებდნენ კიდევაც ადგილობრივი კულტების საკუთარი ძა-
ლაუფლების დასაყრდენად გამოყენებას⁴⁶. აქემენიანთა რელიგიური

⁴⁴ Tseretheli 1935, 32.

⁴⁵ Russell 1987, 14, 47.

⁴⁶ Redgate 1999, 61.

შემწყნარებლობა სომხეთშე არანაკლებ, თუ არა უფრო მეტად, უნდა გავრცელებულიყო იბერიაზე, სადაც ადგილობრივ უზნაეს ღვთაებას, არმაბის, როგორც ვნახეთ, სახელწოდების გარდა არაფერი ექცო ირანული.

არმაბის კულტი რეალურად რომ არსებობდა და არ იყო მწიგნობრული გზით შექმნილი ფიქცია, ცხადი ხდება კლასიკური ხანის ავტორთა მიერ, ამ ღვთაების სახელის მატარებელი ციხე-სიმაგრის, არმაბის მოხსენიების გამო. იგი სხვადასხვა ვარიაციებით არის ნახსენები სტრატეგიის (XI, 29, 4), პლინიუსის (VI, 29), კლაუდიუს პტოლემაიოსის (V, 11, 3; VIII, 19, 4) თხბულებებში. არმაბის არმაბის კულტის ძირითადად ცენტრს წარმოადგენდა იბერიაში. აშკარაა, რომ არმაბის კულტის ჩამოყალიბება ძირითადად დაკავშირებული იყო ელინისტური ხანის საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღმოცენებასთან და იგი არ იყო გარედან თავს მოხვეული, ხოლო მისი სახელწოდების მსგავსება აპურამაბდას სახელთან აქემენიანთა ხანიდან გადმოსულ მემკვიდრეობად უნდა იყოს მიჩნეული. არმაბის კულტის განვითარებაში გამოიყოფა სხვადასხვა ეტაპები, დაკავშირებელი ქვეყანაში არსებულ კულტურულ-პოლიტიკურ რეალიებთან.

ს. რეპის მიერ უკანასკნელ ხანებში გაკეთებული განცხადებით, არმაბი სინკრეტული ღვთაებაა, რომელიც წარმოადგენს აღგილობრივი ქართული, ირანული და ანატოლიური ელემენტების ნაერთს. ამავე ღროს იგი გამორიცხავს არმაბისა და აპურამაბდას გაიგივების მცდელობებს. მას შედარებით უფრო გასაბიარებლად მიაჩნია გ. მელიქიშვილის აზრი, არმაბისა და გადენის სიახლოვის შესახებ ანატოლიურ ღვთაებებთან, არმაბისა და სანთაშ/სანდონთან, განსაკუთრებით იმ გარემოების გამო, რომ არმა მთვარის ღვთაებას წარმოადგენდა, ხოლო ივ. ჯავახიშვილი წინაქრისტიანული ხანის ქართველთათვის უმთავარეს ღვთაებად მთვარეს თვლიდა, რომლის კულტიც უფრო გვიან შეერწყა აღგილობრივ წარმოდგენას წმიდა გიორგის შესახებ⁴⁷.

ს. მაკალათით და პ. კეკელიძე არმაბში მითრას ხედავდნენ⁴⁸. ამ საკითხთან დაკავშირებით, მ. წერეთელს მიაჩნდა, რომ მითრას სპარსული კულტი ოდესმე მართლაც თუ იყო ქართლის ოფიციალური რელიგია, მაშინ გამორიცხული იქნებოდა ის მკვეთრად უპყოფითი დამოკიდებულება ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმართ, რასაც ძველი ქართული წერილობითი ძეგლები ავლენენ; ამავე

⁴⁷ Rapp 2003, 278.

⁴⁸ მაკალათია 1927, 189; კეკელიძე 1945, 350შმდ. შდრ., ვაწაძე 2006, 285-291.

დროს გასათვალისწინებელია ამ ორი ღვთაების (არმაზისა და მი-
თრას) ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათი⁴⁹.

ლ. შელიქსეთ-ბეგის თანახმად, არმაზი – სომხერი არამაზდისა
და სპარსული აჟურამაზდას მსგავსად – მზის ღვთაებაა და მის
გვერდით ბადენს, ისეთივე ადგილი უკავია, როგორიც მითრას აჟუ-
რამაზდას გვერდით⁵⁰. თუმცა, როგორც ცნობილია, არმაზის გვერ-
დით არა ბადენი, არმაზე გაცი და გა იყვნენ განლაგებულნი, ხოლო
ბადენი არმაზცის მოპირდაპირე მთაბე, მტკვრისა და არაგვის
ხერთვისის მეორე მხარეს მდებარე "ბადენის მთაბე" იყო აღმარ-
თული. საზოგადოდ არმაზისა და ბადენის ურთიერთმიმართება
ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხია ქართულ
ისტორიოგრაფიაში და ეს ძირითად სათანადო მასალების სიმ-
წირით არის გამოწვეული.

უცვი მოსავლისა და ნაყოფიერების ღვთაება ბადენი, როგორც
ჩანს, მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ღვთაების, იუპიტერის
მამის, რომაული სატურნის (ბერძნული მითოლოგიის კრონოსის)
ქართული ნაირსახეობა უნდა ყოფილიყო. ამ ორი ღვთაების ერთ-
მანეთთან გაიგივებას, არც მათი სახელწოდებების (ბადენი, სატურ-
ნი) ფონეტიკური მონაცემები უნდა უმლიდეს ხელს.

ბადენის კულტის ქართლში დამკვიდრება ფარნაჯომ მეფეს მიე-
წერება: „ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა
შენება, და ამან აღაშენა ციხე ბადენი და შექმნა კერპი სახელით
ბადენ, და ამართა ბადენს“ (ქც, I, 29:1-2). თეომურაბ ბატონიშვილის
ცნობით, ბადენი ანუ ბადნენ – აპოლონია: "მეფემამ 4 ფარნაჯომ
აღაშენა ციხე ბადენისა და აღმართა კერპი ბადენად წოდებული,
ესე არს წვიმისა და ნაყოფთა აღმომცენებელი"⁵¹.

ბადენს, ნ. მარი და ო. ფონ ვებენბდო ია, მაზდეანურ იაბადანთან (=Yazata) აკავშირებდნენ – კეთილი სულების, ანგელოზთა და სა-
ბოგადოდ სიკეთის განსახიერებასთან⁵². თუმცა, ბადენი, რომლისთ-
ვისაც, ისევე როგორც არმაზისათვის, მსხვერპლთა შეწირვა ხდე-
ბოდგ⁵³ არ შეიძლება ყოფილიყო იაბადანი; მ. წერეთლის შეხედუ-

⁴⁹ Tseretheli 1935, 45.

⁵⁰ Меликset-Беков 1938, 39.

⁵¹ Такайшвили 1906-1912, 663.

⁵² იხ., Mapp 1902, 7; von Wesendonk 1924.

⁵³ "ხდოდეს ღმერთია მითია არმაზს და ბადენს, და აღუთქმიდეს მათ
შესაწირავთა..." (ქც, I, 85:13-14), იხ., აგრეთვე, "ასურელ მამათა ცხოვრების" ცნობა,
რომ იოაბე ბედანენების ბედა ბადენზე მისვლის ხანძის იქ აღილი ჰქონია
მსხვერპლთა შეწირვას: "...ეშმაქნი ფრიად დამკდრებულ იყვნეს და პმსახურებდეს
კუმღლითა ნამთევთამთა" (იხ., ასურელ მამათა ცხოვრება, იღ. აბულაძის
გამოცემა, თბ., 1955, გვ. 27f.).

ლებით, ის შემჩარავი ადამიანთა მსხვერპლშეწირვები, რომლებსაც ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ადგილი ჰქონია ქართლში, შეუთავსებელია მაზდაიშმთან, თუნდაც მისი არსებობის გვიან სტადიაზე, როდესაც სხვადასხვა მხარეში ადგილობრივ კულტებთან შერწყმის შედეგად ამ რელიგიურმა სისტემამ თავისი პირვანდელი სახე დაკარგა⁵⁴. მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ პირმშოთა არმაზისადმი შეწირვა არ იყო უცხო იუპიტერისა და ზევსის კულტისათვის; პლატონისა (რესპუბლიკა, 565d-e) და პაფსანიასის (საბერძნეთის აღწერილობა, 8.2.3) ცნობის მიხედვით, არკადიში, ლიკაონის მთაზე ლიკაონის ზევსს ადამიანებს და კურძოდ ბავშვებს სწირავდნენ ხოლმე მსხვერპლად, ანუ ადგილი ჰქონია ე.წ. რელიგიურ კანიბალიზმს.

წინაქრისტიანული ხანის ამიერკავკასიაში ცეცხლთაყვანისმცემლობის არადომინანგურობა კერძთაყვანისმცემლობასთან შედარებით და ამ უკანასკნელის თვისობრივი სიახლოეს რომის იმპერიაში გავრცელებულ კულტებთან, რაც, გარკვეულწილად, რომის პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენით იყო განპირობებული, მკვიდრ საფუძველს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში – სომხეთსა და საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვებისათვის. როგორც ჩანს, ადგილობრივი ღვთაებები, ორივე ამ ამიერკავკასიულ ქვეყანაში, რომაულ ღვთაებებთან მიმსგამებული ხასიათისა უნდა ყოფილიყვნენ, საქართველოში უფრო მეტად, სომხეთში შედარებით ნაკლებად, იქ ბევრად უფრო მძლავრი ირანული ზეგავლენის გამო.

ქრისტიანობა ქართლში მნიშვნელოვნებად, თუ გაიმარჯვებდა, თუ ადგილი არ ექნებოდა რომთან ინგენსიურ, მრავალმხრივ კავშირებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. საბოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან დაწყებული, თუ არა უფრო აღრეული ხანებიდან, კერძოდ, ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც აქემენიანთა სახლმწიფო თავისი განვითარების კრიზისულ ხანაში შევიდა და ახ. წ. IV საუკუნის 60-იან წლებამდე, ქართლი მეგნაკლებად თავისუფალი იყო ირანის ძლიერი პოლიტიკური ზეგავლენისაგან. ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისი იყო ახ. წ. III საუკუნის მეორე ხახვარი, ადრესასანიანთა ხანის სპარსეთის მძლავრობის ხანა, რომელიც 298 წ. ნიბიძისის ზავით დამთავრდა და რომლის თანახმადაც წინაქრისტიანული ეპოქის ქართლი ისევ რომის ერთპიროვნული და მძლავრი ზეგავლენის ქვეშ მოექცა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის ქრისტიანული არჩევანი და განუხრელი განვითარება,

⁵⁴ Tseretheli 1935, 64.

მიუხედავად ჯერ სასანიანთა ირანისა და შემდეგ მუსლიმური სამყაროს მნელად გასაძლები ბეჭოლისა.

როგორც ირკვევა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რომაული სამხედრო ნაწილების ყოფნა არ იყო ხანმოკლე მოვლენა, აღარაფერი რომ ვთქვათ ამიერკავკასიის დასავლეთი ნაწილზე, რომელიც პერმანენტულად რომაელთა ძალაუფლების ქვეშ რჩებოდა. თუმცა იბერიაში, კოლხეთისაგან განსხვავებით, რომელიც რომის იმპერიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგვნდა, რომაულ სამხედრო ერთეულებს მხოლოდ იბერიის ხელისუფალთა ნებასურვილით (თუნდაც ფორმალურით) შეეძლოთ ყოფნა.

ამიერკავკასიის მნიშვნელობას რომის სამხედრო სტრატეგიული გეგმებისათვის, მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, ისიც მოწმობს, რომ ახ. წ. 95 წ. დაწერილ სტატიუსის (45-96 წწ.) პოემაში "სილვა" კასპიის კარიბჭე წარმოდგენილია კაპადოკიის არმიის მოქმედების ბუნებრივ არეალად (*Silv. 4, 4, 63f.*)⁵⁵. ყურადღებას იძყრობს, წინაქრისტიანული ხანის ამიერკავკასიაში გამოვლენილი ბერძნული და ლათინური ეპიგრაფიკული ძეგლების სიუხვე და მათში ასახული ანთროპონიმიების ბერძნულ-რომაული ხასიათი. ბოგიერთ შემთხვევაში ეს წარწერები რომაელთა სამხედრო ნაწილების ამიერკავკასიაში განლაგების ფაქტის ამსახველია⁵⁶.

ლათინური და ბერძნული წარწერების გამოვლენის ფაქტები საკუთრივ იბერიაში და იბერიასა და კასპიის ბდვას შორის მდებარე მხარეში, სავარაუდო დაკავშირებული უნდა იყოს რომაელთა და იბერიელთა საერთო სტრატეგიულ ინტერესებთან, კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ ამ არეალში განლაგებული უდელფეხილები. იბერიელთა სამფლობელოების აღმოსავლეთის მიმართულებით გავრცელება, რაც ამავე დროს აღმოსავლელი მეტოქების ხარჯზე მათი პლიტიკური ძალაუფლების ექსპანსიის გარანტიას იძლეოდა, რა თქმა უნდა, რომის იმპერიის ინტერესებშიც შედიოდა. ამის გამო, რომაელთა მონაწილეობა რომაელი იმპერატორის "კლიენტის", იბერიის მეფის ლაშქრობაში პართელთა მოკავშირე, ალბანელების წინააღმდეგ, მოსალოდნელი იქნებოდა⁵⁷.

არმაბციხები უკანასკნელ ხანებში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ეპიგრაფიკულმა მასალამ დამატებით გაგაუნო მეფე ამაზასპის ეგოსმოძღვრის ანაგრენესის, აგრეთვე დელფ-

⁵⁵ Bosworth 1977, 227.

⁵⁶ იბ., მაგ., ქავთარაძე 2003, 124-133; Kavtaradze 2001, 211-219.

⁵⁷ Меликишвили 1959, 351გმდ.

აღ დრაკონტისისა და მსახურთუხუცესის ანიონის სახელები⁵⁸. სვეტიცხოვლის ეზოში, ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს 2001 წელს აღმოჩენილი აკლდამის (სამარხი 14) გათხრის შედეგად აღმოჩნდა გემა დედოფლის ულპიას გამოსახულებითა და ბერძნული წარწერით, აგრეთვე პენალი მეფე უსტამოსისა და ეუგენიოსის სახელით⁵⁹.

როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ რომაელებისა და იბერიელების ახლო თანამშრომლობას, დაფუძნებულს კავკასიაში მათ საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე, არამედ ხდებოდა ბოგიერთი რომაელის ჭეშმარიტი ინტეგრაცია იბერიულ საბოგადოებაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახ. წ. II საუკუნის იბერიის სამეფოს ეზოსმოძღვრის პებლიკიოს აგრიპას პიროვნება⁶⁰. ა. ბოსვორსის შენიშვნით, იყი ვერ იქნებოდა იბერიული დიდებული, რომელმაც რომაელი მოქალაქეობა და შესაბამისად ახალი სახელი მიიღო. მოქალაქეობის მინიჭება კლიენტი-სახელმწიფოს გამორჩეული წევრებისათვის ხდებოდა იმპერატორის მიერ ბოძებით და მსგავს შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ რომაელი მოქალაქეობის მიმღებს ეტარებინა იმპერიული ნომენი, რასაც პებლიკიოს აგრიპას შემთხვევაში ვერ გხედავთ, თუმცა აგრიპას ძე, იოდმანგანი უკვე სავსებით "გაიბერიელებული" უნდა ყოფილიყო⁶¹.

იბერია არ წარმოადგენდა იმდენად ძლევამოსილ სახელმწიფოს, რომ სრულიად დამოუკიდებლად შესძლებოდა თავისი პოლიტიკური მიზნების ხორციელება – სხვადასხვა ქვეყნების განსხვავებული ინტერესები ერთმანეთს სწორედ აქ, კავკასიონშე გადაშავალი უმთავრესი უდელტეხილის უშეალოდ სამხრეთით მდებარე ცენტრალურ ამიერკავკასიაში კვეთდა. რომაელებსა და იბერიულებს, ერთიდაიმავე *orbis terarrum*-ის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა, დაფუძნებული საბიარო სტრატეგიულ ინტერესებზე, მოითხოვდა იბერიულ საბოგადოებაში რომაელთა სამხედრო კონფიგურაციის ინტეგრაციას – კაპადოკიასა და ამირკავკასიაში განთავსებული რომაელთა სამხედრო ძალები მათი საერთო გეგმების განხორციელების გარანტებს წარმოადგენდნენ.

ყოველივე ბემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, შეიძლება ვიგარაულოთ, რომ ძეველთაგანვე მირითადად სინკრეტული ბუნების

⁵⁸ სავარაუდოა, ეს მეფე ამაბასპ I (ახ. წ. II ს. პირველი ნახევარი) ყოფილიყო, ვინაიდნ, ამაბასპ II (ახ. წ. III ს. შუახანები) გამოიჩინეოდა მკვეთრი პროირანული ორიენტაციით.

⁵⁹ იბ., მაგ., ქაფთარაძე 2008, 114.

⁶⁰ წერეთლი 1942, 16; ყაუხჩიშვილი 1976, 246.

⁶¹ Bosworth 1977, 231.

მქონე დათავისუბისაგან შემდგარი იბერიის სამეფოს რელიგიური პანთეონი, ამიერკავკასიაში რომის იმპერიის ღომინირების ხანაში კიდევ უფრო მეტად იქნებოდა დაღდასმული ბერმულ-რომული რელიგიური სისტემისათვის დამახასიათებელი თვისებებებით. ამრიგად, ცენტრალური ამიერკავკასიის მოვლენებში რომაელთა ინტენსიურ და მრავალმხრივ მონაწილეობას, საგრძნობი კვალი უნდა დაემზნია ადგილობრივ სულიერ სამყაროზეც, კერძოდ, რელიგიურ წარმოდგენებსა და კულტებზე.

იბერიაში, ისევე როგორც რომის იმპერიაში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, ბუნებრივია კიდევ უფრო განამტკიცია და ამ თრ ქვეყანას შორის წინაჯრისტიანული ხანიდან არსებულ მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ სიახლოებებს, რაც, უფრო გვიან, ბალავრად დაედო ქართლისა (=საქართველოს) და ბიბანგის მრავალსაუკუნოვან და მრავალმხრივ ურთიერთობასა და სულიერ სიახლოებეს.

ბიბლიოგრაფია

აბდალაძე 1984 = მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბილისი, 1984.

აბულაძე 1953 = ილ. აბულაძე. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა. თბილისი, 1953.

გველესიანი 2003 = გ. გველესიანი. არმაზის კერპის კულტურულ-ისტორიული ასპექტები. არმაზის კულტის დეფინიციისათვის. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 2003.

გაწაძე 2006 = გ. ვაწაძე. გაცი და გაიმი, - საისტორიო ძიებანი (ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება აფხაზეთის ორგანიზაცია), № 8-9, 2006, გვ. 275-293.

კეკელიძე 1945 = კ. კეკელიძე. ქრისტიანობა და მითრაიმი. წგნ.: კ. კეკელიძე. ეფიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II. თბილისი 1945, გვ. 350-351.

კეკელიძე 1955 = კ. კეკელიძე. ანგიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში, წგნ.: კ. კეკელიძე. ეფიუდები ძველი ქართული ლიტერატურის

ისტორიიდან, გ. III. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1955, გვ. 56.

კეპელიძე 1956 = კ. კეპელიძე. ითრუჯანი (ცდა მისი ეტიმოლოგის გარკვევისა), წგნ.: კ. კეპელიძე. ეტიუდები ძველი ქართული დილერატურის ისტორიიდან, გ. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1956, გვ. 266.

ლეონიძე 1922 = გ. ლეონიძე. ქართული მესსიანიზმი, - გამ. "ბახტრიონი," № 2, 1922.

მაკალათია 1927 = ს. მაკალათია. ღვთაება მითოას კულტი საქართველოში, - საქართველოს მუზეუმის მოამბე, III. ტფილისი, 1927, გვ. 179-194.

ქავთარაძე 2003 = გ. ქავთარაძე. იბერიის სამეფოს "არსებობის არსი" ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით, - მნათობი, № 7-8, 2003 წ., გვ. 94-154.

ქავთარაძე 2008 = გ. ქავთარაძე. კავკასია და "კართაგენელები", - იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრეგული კერითდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, № 4, 2008, გვ. 112-121, 208-210.

ყაუხჩიშვილი 1976 = თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976.

ყაუხჩიშვილი 1955 = ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, I. თბილისი: სახელგამი, 1955.

წერეთელი 1942 = გ. წერეთელი. არმაბის ბილინგვა. თბილისი, 1942.

ჯაგახიშვილი 1979 = ივ. ჯავახიშვილი. ქართველების წარმართობა, წგნ.: ივ. ჯავახიშვილი. თბილისი თორმეტ ტომად, ფოთი I. თბილისი, 1979.

Болтунова 1949 = А. И. Болтунова. К вопросу об Армази, – *Вестник Древней Истории*, № 2, 1949, сс. 228-240.

Марр 1902 = Н. Марр. Боги языческой Грузии по древне-грузинским источникам, – Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, том XIV, Вып. II-III, 1902.

Меликишвили 1959 = Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959.

Меликсет-Беков 1938 = Л. Меликсет-Беков. Армазни. Историко-археологический очерк, – Материалы по истории Грузии и Кавказа, выпуск II. Тбилиси, 1938.

- Такайшвили 1906-1912 = Е. Такайшвили. *Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения»*, том II, вып. 1-4. Издание управления Кавказского учебного округа. Тифлис: Типография К. П. Козловского, 1906-1912.
- Bailey & Yarshater 1983 = H. Bailey & E. Yarshater. *The Cambridge History of Iran*, vol. 3: The Seleucid, Parthian and Sassanian Periods. London: Cambridge University Press, 1983.
- Bosworth 1977 = A. B. Bosworth. Arrian and the Alani, - *Harvard Studies in Classical Philology*, vol. 81, 1977, pp. 217-255.
- Canby 1987 = J. V. Canby (Rev.) R. Donceel & R. Lebrun. Archéologie et religions de l'Anatolie ancienne. Mélanges en l'honneur du professeur Paul Naster, – *Bibliotheca Orientalis*, Jaargang XLVI, № 3/4, Mei-Juli 1987, pp. 712-720.
- Cumont 1931 = Fr. Cumont. *Die orientalischen Religionen im Roemischen Heidentum*. Leipzig, 1931.
- Halfmann 1986 = H. Halfmann. Die Alanen und die römische Ostpolitik unter Vespasian. – *Epigraphica Anatolica*, Zeitschrift für Epigraphik und historische Geographie Anatoliens, Heft 8, 1986.
- Kavtaradze 2001 = G. L. Kavtaradze. Georgian Chronicles and the raison d'être of the Iberian Kingdom (Caucasica II), = *Orbis Terrarum, Journal of Historical Geography of the Ancient World* 6, 2000. Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2001, pp. 177-237.
- McEvilley 2002 = T. McEvilley. *The Shape of Ancient Thought: Comparative Studies in Greek and Indian Philosophies*. New York: Allworth, 2002.
- Rapp 1998 = St. H. Rapp (Ed.). *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation*. Vol. II. Anatolian and Caucasian Studies. Delmar, New York: Caravan Books, 1998.
- Rapp 2003 = St. H. Rapp, jr. *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Context*. Corpus scriptorum christianorum orientalium; Subsidia. Tomus 113. Lovanii: Peeters, 2003.
- Redgate 1999 = A. E. Redgate. *The Armenians*. Oxford: Blackwell, 1999.
- Russell 1987 = J. R. Russell. *Zoroastrianism in Armenia*. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1987.
- Schwertheim 1991 = E. Schwertheim. Iupiter Dolichenus, der Zeus von Doliche und der kommageneische Königskult, in: *Studien zum antiken Kleinasiens*: Friedrich Karl Dörner zum 80. Geburtstag gewidmet. Asia Minor Studien, Bd. 3. Bonn: Habelt, 1991..

- Speidel 1978 = M. P. Speidel. *The Religion of Iuppiter Dolichenus in the Roman Army*. Leiden: E. J. Brill, 1978.
- Speidel 1980 = M. P. Speidel. *Jupiter Dolichenus. Der Himmelsgott auf dem Stier*. Stuttgart, 1980.
- Thomson 1996 = R. W. Thomson. *Rewriting Caucasian History. The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles*. The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation. Translated with Introduction and Commentary by R. W. Thomson. Oxford: Clarendon Press, 1996.
- Toumanoff 1947 = C. Toumanoff. The Oldest Manuscript of the Georgian Annals: The Queen Anne Codex (QA), 1479-1495. – *Traditio*, V. Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion. New York, 1947.
- Tseretheli 1935 = M. Tseretheli. The Asianic (Asia Minor) Elements in National Georgian Paganism, – *Georgica, Journal of Georgian and Caucasian Studies*, vol. I, no. 1, London, 1935.
- von Wesendonk 1924 = O. G. von Wesendonk. *Ueber georgisches Heidentum*. Leipzig, 1924.

Giorgi L. Kavtaradze

TO THE ESSENCE OF DEITIES OF PAGAN IBERIA

The ancient Pantheon of the Iberian Kingdom consisted from deities of the syncretic character. This Pantheon was from the beginning connected with the syncretic cultural world of the Post-Achaemenian-Early Hellenistic Eastern Mediterranean area and was afterwards enriched with the religious notions characteristic for the Roman empire.

From the viewpoint of the Roman-Iberian relations the character of the supreme deity of Iberia, *Armazi*, who, though obviously of Near Eastern provenance, reveals some traits typical of the most important god of the Roman empire - *Juppiter Optimus Maximus Dolichenus* should be taken into account. *Iuppiter Dolichenus*, was the „preserver of the whole world”, the main supporter of the Roman rule and Roman emperor and, at the same time, the promoter of the Roman power extending it to the East.

The gold and silver images to the right and left hand of *Armazi*, *Gac'i* and *Ga*, perhaps representations of solar and lunar deities, have parallels in *Apollo Citharoedus* and *Diana Lucifera*, deities of the Dolichenian pantheon. It was suggested that *Diana* was the lunar partner of a solar *Apollo* and that they had a permanent precise doctrinal position in the theology of *Iuppiter Dolichenus*. The distinctly portrayed subordinate position of the

deities of sun and moon to *Iuppiter Dolichenus* is to be detected on the bronze slab from Doliche where both these deities are placed beneath the feet of *Iuppiter Dolichenus* who was surrounded by stars. One of the most important deities of Iberia – *Zaden*, was an Iberian version of Roman *Saturn*.

It seems, that the intensity of the Roman involvement in Central Transcaucasia could put its imprint on locally existing religious cults.

მანანა ხიდაშელი

შ0და ქართლის საცხოვრისი გვიანდებრივი აღმიანის საცხოვრისი განიხილა არა მხოლოდ როგორც მისი საცხოვრებელი ადგილი, არამედ როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურული რეალია, არეფაქტი, პოლისებანტიკური მნიშვნელობის მქონე სიმბოლო. ყველაზე სრულად ამ სიმბოლოს მნიშვნელობა აღრესამიწათმოქმედო კულტურებშია გამოვლენილი. ამ კულტურების გავრცელების არეალში საცხოვრისი, ერთიანობად აღმიანის საცხოვრებელიც იყო, საკულტო მოქმედების ადგილსაც წარმოადგინდა. აქვე, იაგაკის ქვეშ იკრძალებოდნენ მიცვალებულები. საცხოვრისში სრულად იყო წარმოდგენილი მთელი სამყარო, რომელიც ვერტიკალურ ხაზები იყო ორგანიზებული. საცხოვრისის ამგვარი გაამრება განაპირობებდა სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის – სიციუსხლის, სიკვდილისა და კულტის არა მხოლოდ სრულ ერთიანობას, არამედ მათი ურთიერთშემოქმედებისა და ერთმანეთში ინტეგრაციის შეგრძნებას.

მტკვარ-არაქსის კულტურაში რიტუალები კერასთან სრულდებოდა. მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა კერას, აქ დანიებულ ცეცხლს, დედაბოძს, კერასთან არსებულ შემადლებას, სადაც სარიტუალო საგნები იყო დალაგებული. კერას ქალური ბუნება ჰქონდა, იგი მთელ სამყაროს მოიცავდა – დადამიწას, ქეესკნელსა და ბეცას. კერის ზესადგარები მამაკაცურ ძალას განასახიერებდნენ. ამ მოსაზრებას ე.წ. ნალისებრი ზესადგარები უჭერენ მხარს. ზოგჯერ ისინი ფალოსიან მამაკაცების კერპებს წარმოადგინდნენ, რომლებიც ანაყოფიერებდნენ კერას, რის შედეგადაც თავიდან იწყებოდა სიცოცხლე.

განახლებული სამყაროს მთავარ სიმბოლოს წარმოადგენდა სამყაროული ხე, რომლის გამოსახულება კერის სადგარებში მარგნებოდა. გარდა ამისა, განახლებული კოსმოსის სიმბოლოს წარმოადგენდა დედაბოძი, რომელიც საცხოვრისის მაორგანიზებელი ძირითადი კომპონენტი იყო.

ამგვარად, არქაული საცხოვრისი კოსმოსის სტრუქტურას იმეორებდა, სრულად გადმოგვცემდა სამყაროს სურათს, აფიქსირებდა სამყაროს ცენტრს, სადაც იქმნებოდა საკრალურთან შეხების, მასთან ურთიერთობის სამყაროს შექმნის შესაძლებლობა (1. 76-78. 2. 70-71) (იქვეა მითითებული ლიტერატურა).

სამწეხაროდ, ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ როგორი იყო შეა ბრინჯაოს ხანაში მცხოვრები ადამიანის საცხოვრებელი სახლი. ამ პერიოდის ადამიანთა სულიერ კულტურაზე, ძირითადად დაკრძალვის რიგუალების ანალიზის შედეგად შეიძლება საუბარი.

გვიანბრინჯაოს ხანაში, დაახლოებით ძვ. წ. XV საუკუნიდან, შიდა ქართლის კულტურის განვითარებაში, ახალი ეფაპი იწყება. აქ გავრცელებული კულტურა საქმაოდ ერთგვაროვანია და მთელი რიგი საერთო ნიშნებით ხასიათდება. საინტერესოა, რომ სწორედ ამ კულტურაში ვლინდება საერთო კანონბომიერებათა მაფარებელი განვითარების გარკვეული ხაზი, რომელიც ტიპოლოგიურად საქართველოში გავრცელებული აღრესამიწათმოქმედო კულტურასთან ავლენს გარკვეულ კავშირს, თითქოს ნაწილობრივ აგრძელებს იქ დანერგილ ტრადიციებს, მაგრამ, ამასთან ერთად აშკარად გამოვლენილი საკუთარი თავისებურებებით ხასიათდება და სამოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურს ასახავს.

გვიანბრინჯაოს ხანაში, შიდა ქართლის მოსახლეობა, ისევე როგორც წინა პერიოდში, საცხოვრებლად ისევ გორას ირჩევდა. მათ გორასაცხოვრისებს უწოდებენ.¹

გვიანბრინჯაო-ადრენკინის ხანაში, შიდა ქართლი ინტენსიურად იყო დასახლებული. გორასამოსახლოების უმეტესობა განლაგებული იყო იმ ზოლზე, რომელიც გასდევს ქართლის ვაკიდან კავკასიონისაკენ შეფენილ გორაკებს, მთის ნაწილში გარდამავალ ხაზე (4. 195).

განსაკუთრებით კარგად არის ცნობილი შიდა ქართლის ისეთი გორასაცხოვრისები როგორიც არის ხოვლევორა, ცხინვალის ნაცარგორა, ყათლანისხევის გორა, თხელიგორები, ნარეკვავის გორები, მცხეთაგორა (სამთავრო I) და სხვ.

გორასაცხოვრისების განვითარებაში ერთი საერთო კანონბომიერება შეინიშნება. დაახლოებით ძვ. წ. XV-XIII საუკუნეებში მოსახლეობა გორის თხემზე სახლდება, რომელიც საგანგებო თხრილებით იყო დაცული. თანდათან მოსახლეობა სფორცებს გორას და მის ძირში განაგრძობს ცხოვრებას. მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს ხოვლევორას ნამოსახლარი. აქ გამოყოფილია რვა პორიგონგი (VIII-I), რომელიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ. წ. XV-IV

¹ ეს ტერმინი აკად. ნ. ბერძენიშვილმა დაამკვიდრა. მისი ამრით, "გორა", სოციალურ ტერმინის "გვარს" უკავშირდებოდა და საბოგადოების სოციალური განვითარების გარკვეულ საფეხურს ასახავდა. სწორედ "გორებზე" იქნებოდა ის საფუძველი, სადანაც შემდეგ განვითარდნენ უძველესი "დაბები", "ქალაქები", "ციხები" და "სალოცვები" (3. 153-155).

საუკუნეებს მოიცავს. ეს ფაქტი იმის დასტურად არის მიჩნეული, რომ ამ ვრცელი ისტორიული მონაკვეთის მანძილზე მოსახლეობა აქ უწყვეტად ცხოვრობდა (5. 80-82).

ანალოგიური მდგომარეობა ნარეკვავისა და თრელიგორების გორასაცხოვრისებზეც არის დადასტურებული.

შიდა ქართლის გორასამოსახლოებში, მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ყველგან ერთი ტიპის საცხოვრისი იყო გამოყენებული. ბუნებრივი გორები ხშირად ტერასებად იყო დაყოფილი. დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც საცხოვრისის ბაზი ზედა ტერასაზე განლაგებული სახლის ეზოს წარმოადგენდა. სპეციალურად გამაგრებულ ტერასებზე ყველგან ერთი ტიპის საცხოვრისი იდგა. ეს იყო წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის შენობა – კედლები იმ დონეზე, სადამდისაც შენობა მიწაში იყო ჩაჭრილი, ქვითა და ტალახით იყო ნაგები. კედლები თიხით იყო შელესილი. კედლის გასწვრივ აღმოჩენილი სვეტის ნაშთები იმაზე მიუთითებს, რომ ბანური გადახურვა ხის სვეტებზე იყო დაყრდნობილი. დაბალი ტიხრით, შენობა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მარცხენა ნაწილი საკუთრივ საცხოვრებელს წარმოადგენდა, ხოლო მარჯვენა – საქონლის სადგომს. სახლს წინ დერეფანი ქონდა, სადაც ხშირად სარჩოს შესანახი ყუთუბი იდგა. კედლებში, ღუმელის წინ, კარი იყო გაჭრილი. მცხოვარის ნამოსახლარის ერთ-ერთ შენობაში, ღუმლის თავზე პატარა სარკმელი იყო გაჭრილი (6. 505-506) სარკმლების არსებობას კ. მელითაური ხოვლეგორაზეც ვარაუდობს. მისი აბრით, ოთახში ღუმელის არსებობა ბანში არსებულ ერდობეც მიგვანიშნება (7).

შიდა ქართლის საცხოვრებელი ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის იმ პერიოდის ადამიანის ყოფით კულტურაზე. შენობის მარცხენა ოთახი საცხოვრებელს წარმოადგენდა. მარცხენა კუთხეში კ. წ. ხოვლური ტიპის ღუმელი იდგა. იგი აღიმითა და რიყის ქვით იყო ნაგები. მის სახურავს გუმბათისებური ფორმა ჰქონდა. ღუმელი ორ საფეხურიანი იყო. ზედა, შედარებით ღიღი ზომის ფილა ცომის დასადებ ადგილს წარმოადგენდა. აქვე, პატარა ჭურჭლით საკვების მომზადებაც შეიძლებოდა. ღუმელის ქვედა საფეხური ცეცხლის ასანთებად გამოიყენებოდა. აქვე იყო ნაცრის სახვრეფი ხვრელიც. მისი სიმაღლე კარგ წნევას ქმნიდა და ცეცხლის ალს საცხობ ნაწილში განდევნიდა. ამ ტიპის ღუმელის არსებობა შიდა ქართლის ყველა საცხოვრებელშია დადასტურებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ხოვლური ტიპის ღუმელი, შიდა ქართლში, ელინისტურ ხანაშიც განაგრძობს არსებობას (8.25).

ნარეკვავის გორაბე, რამდენიმე საცხოვრებელში, ღუმლის გვერდით, ორსაფეხურიანი თარო იყო გამართული, რომელზეც ჭურჭელი იყო დალაგებული. გარდა ამისა ერთ-ერთ საცხოვრებელში აღმოჩნდა ქვითა და ალიბით ნაგები მერხი. თაროები ხოვლებორის საცხოვრისშიც იქნა დაფიქსირებული. ძვ. წ. XIII ს. დათარიდებულ ერთ-ერთ საცხოვრებელში კარი იყო გაჭრილი. კარის ორივე მხარეს სათავესოები იყო გამართული. ერთ-ერთ სათავესოში დიდი რაოდენობით ჭურჭელი იყო დალაგებული. ასევე ცალკე იყო გამოყოფილი, ხელსაფეხვავებისა და ფქვილის შესანახი ადგილები.

საინტერესო სურათია წარმოლგენილი მცხეთაგორიაბე აღმოჩენილ ერთ-ერთ შენობაში. საცხოვრებლის მარცხნა კუთხეში ღუმელი იდგა, მარჯვენაში – საკურთხეველი. იატაკი ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული. კედელში ნიშა იყო ამოჭრილი. ოთახის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თაროები იყო გამართული. უკანა კედლის გასწვრივ განლაგებულ დაბალ მერხებ რამდენიმე ლამპარი იდგა. სადაც ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო (6. 505-506).

როგორც ჩანს, შიდა ქართლის საცხოვრისები ინდივიდუალური, მცირე ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. საცხოვრებლისგან ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი საქონლის სადგომი, რაც იმაბე მიუთითებს, რომ საქონელიც ოჯახის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

საგანგებოდ მინდა შევეხო ხოვლეგორაბე აღმოჩენილ ერთ უნიკალურ ძეგლს, "სასახლეს", რომელშიც, როგორც ჩანს, თემის დაწინაურებული ოჯახი სახლობდა. ძეგლი ძვ. წ. VI ს. არის დათარიდებული (7). ამ პერიოდში ხოვლეგორა მოსახლეობის მიერ უკეთ მიტოვებული იყო და გორის ძირში იყო დასახლებული. იმის შემდეგ გორამ ამქარად გამოხატული საფორტიფიკაციო დანიშნულება შეიძინა. გორას გარს მიუყვებოდა ქვის განიერი კედლის ოთხი რიგი. კედლებს შორის რამდენიმე სადგომი იქნა აღმოჩენილი, მათ შორის აღსანიშნავია მრგვალი ნაგებობა, რომელიც კოშკად არის მიჩნეული.

საფორტიპიკაციო გალავნის შიგნით აღმოჩნდა უაღრესად საინტერესო დიდი ბომის შენობა. იგი ქვითა და ალიბით იყო ნაგები. ჩრდილოეთის მხრიდან მას ქონდა ვიწრო და გრძელი გასასვლელი, რომლის ბოლოში ბაქანი იყო მოფილაქებული. შესასვლელთან იდგა კერა. აქედან შეიძლებოდა მოხევდრა, უფრო დაბალი. იატაკის მქონე 12 კვ. მ. ტალანტი. აქედან მოხვდებოდი დიდ დარბაზში, რომლის ფართობი 61 კვ. მ. იყო. დარბაზიდან მესამე, 27 კვ. მ. ოთახში შეიძლებოდა შესვლა. დარბაზს დასავლეთიდან ეკვროდა იბოლიორებული, 47 კვ. მ. ფართობის მქონე ოთახი, საიდანაც, საჭირო შემთხვევაში მრგვალ კოშკში შეიძლებოდა მოხ-

ვედრა. ამ ოთახში იდგა კერა, პურის საცხობი ღუმელი, მაგიდა, ქვის ფილებით მოპირკეთებული გრძელი ტახტი. მეორე კედლის გასწვრივ გაკეთებული იყო თარო, იქვე იდგა სკამი. იატაკი ლასტით იყო მოგებული. კუთხეში, იატაკში ჩადგმული იყო წითლად გამომწვარი ქვევრი, რომლის ყელი რელიეფურად შესრულებული სარტყელით იყო შემკული (7).

თუ კი ზემოაღწერილ შენობას, რომლის ფართობი 147 კვ.მ. შეადგენდა, შიდა ქართლის უფრო ადრეული, ან მის თანადროული საცხოვრისებს შევადარებო, თვალშისაცემ განსხვავებას დავინახავთ. იმდროისათვის ეს გრანანტიბული ნაგებობა, შეუძლებელია რიგითი მეთემეს საკუთრება ყოფილიყო. ის არც ტაძარს წარმოადგენდა. ჩემი აზრით, ეს "სასახლე" თემის დაწინაურებული ოჯახის, მამასახლისის საცხოვრებელი იყო. იგი საგანგებოდ დაცულ შენობაში ცხოვრობდა და აქედან აკონტროლებდა მის კუთვნილ ტერიტორიის (9. 144-145).

ბევრი განხილული მასალა, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ შიდა ქართლის გორასაცხოვრისებზე ერთი ტიპის საცხოვრებელი სახლები იყო გავრცელებული. დიდ მსგავსებას იჩენს აგრეთვე აქ მოსახლე საბოგადოების ყოფითი კულტურა და რწმენა-წარმოდგენებიც. ამ მოსაზრებას ადასტურებს საცხოვრებლებში აღმოჩენილი საკურთხევლების, სამსხვერპლოებისა და შესრულებული რიტუალების მსგავსებაც.

როგორც უკვე აღნიშნე, შიდა ქართლის რიგითი მეთემის საცხოვრებელი შინაურ სამლოცველოსაც წარმოადგენდა. საცხოვრებელში ყოველთვის იდგა საკურთხეველი, სამსხვერპლო, დიდი რაოდენობით იყო დალაგებული საკულტო დანიშნულების საგნები და ხშირად რიტუალის შესრულების კვალიც იყო შემოჩენილი.²

სანამ საკურთხევლების რაობისა და შესრულების რიტუალებს შევეხებოდე, მინდა აღვნიშნო, რომ როგორც აღრესამი-წათმოქმედო კულტურებში, ისე გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანაში, ადამიანის გორაზე დასახლებას მსგავსი სუბიექტური თუ ობიექტური მიმებები განსაბღვრავდა. ადამიანის წარმოდგენით, იგი ქაოსის მუდმივ გარემოცვაში ცხოვრობდა. ქაოსის სრული განად-

² შიდა ქართლისაგან განსხვავებით, ამ პერიოდის კახეთის რეგიონში გავრცელებულ საცხოვრებლებში არ გახვდება საკურთხევლები. შენობაში კულტის შესრულების ადგილიც არ ყოფილა სამოცოფილი. კახეთში, სამოსახლოსაგან გამოყოფილი, ცალკე არსებული სამლოცველოები, აქ უკვე გვაინბრინჯაოს ხანიდან ფუნქციონირებდნენ. გარდა ამისა, კახეთისათვის ჟეხთა ღუმელებიც აქ გავრცელებული იყო კერა და პურის საცხობი თონე (10. 40-45).

გურება შეუძლებელი იყო. მისი უარყოფითი ძალები პერიოდულად ემუქრებოდნენ კოსმოსის წესრიგს. ქარიშხალი, წყალდიდობა, ომიანობა, ხანბარი, ავადმყოფობა, გაიაზრებოდა, როგორც ქაოსის შემოტევა, რაც ქაოსისა და კოსმოსის ახალი ბრძოლის დასაწყისის მაუწყებელი იყო (11. 219). ამ საფრთხისაგან დაცვა ყველაზე უკეთ მთაბეჭდი, გორაბეჭდი შეიძლებოდა, რადგან ადამიანთა წარმოდგენით, მთა შესაქმის შედეგად შექმნილ კოსმოსს განასახიერებდა, სამყაროს ცენტრში მდებარეობდა და ამდენად, ადამიანის უსაფრთხოებას უზრუნველყოდა (12. 164-170). პრაქტიკულ საქმიანობაში კი სოციუმი, თავის დასახლებას თხრილებით ამაგრებდა.

ადამიანის ცნობიერებაში მოქმედებდნენ ისეთი ურთიერთიდაპირისპირებული, მაგრამ, ამავე ღროს, ერთიანი თპოზიციები, როგორიც იყო ქაოსი – კოსმოსი, სიკვდილი – სიცოცხლე, ბოროტი – კეთილი, ბნელი – ნათელი და სხვ. მათ შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ ეს ბრძოლა არაფერს ცვლიდა – სიკვდილი ყოველთვის სიცოცხლეს შობდა, ისევე როგორც სიცოცხლე განაპირობებდა სიკვდილს. სიცოცხლე, სიკვდილი, კეთილი, ბოროტო, ნათელი, ბნელი – ერთგვაროვანი მოვლენები იყო, მხოლოდ სხვა-დასხვა სტატუსში წარმოდგენილი (2, 31-32).

შეიძლება ითქვას, რომ გორაბეჭდი მცხოვრები სოციუმი არსებობდა და უენცეიონირებდა ორი საწინააღმდევო პოლუსის, სხვადასხვა რანგისა და ხარისხის ცოცხალი არსებების, სულების, საგნებისა თუ მოვლენების დაპირისპირების პირობებში. ამ წინააღმდევობათა მოწესრიგება განაპირობებდა ცხოვრებისათვის აუცილებელი წესრიგის არსებობას. ამ დაპირისპირების მოხსნას სოციუმი რიგულების შესრულებით ახერხებდა.

რიგუალის შესრულებით სოციუმი მუდმივად უკავშირდებოდა თავის საკრალურ სამყაროს, ახდენდა მის რეაქტუალიზაციას და სამყაროს შექმნის, მისი მარადიული განახლების ილუბიას ქმნიდა. არქაული რიგუალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს მსხვერპლშეწირვა წარმოადგენდა. მსხვერპლად სწირავდნენ ცხოველებს, მის სისხლს, რომელიც ერთდროულად სიკვდილის ნიშანს წარმოადგენდა და სიცოცხლისათვისაც აუცილებელი იყო. მსხვერპლშეწირვის აუცილებელ ელემენტს ცხვველის რქაც წარმოადგენდა. რქა ღვთაების სიძლიერეს განაპირობებდა და ფალიურ სიმბოლოსაც წარმოადგენდა (14. 152). საცხოვრისებში რქიანი საკურთხევლების სიმრავლე, რქის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ამ რიგუალებში აქტიურად იყო ჩართული ცეცხლი. მ. ელიადე სწერს, რომ ცეცხლის ანთება და მისი ჩაქრობა უკვე არსებულის

განადგურებას გულისხმობდა. ამ ქმედების მიზანი იყო იმ ახალი ფორმებისათვის ადგილის გამონთავისულება, რომლებიც შესაქმეში იღებდნენ დასაბამს. რიტუალის სტრუქტურა გულისხმობდა "სიკე-დილს", "აღორძინებას", "ახალ დაბადებას" და "ახალ ადამიანს". ამის გამო, რიტუალებში მიცვალებულების თანამონაწილეობაც იგულისხმებოდა (13. 65-67). გარდა ამისა, არქაული ადამიანის რწმენით, ცეცხლი სამყაროს პირველი და უმთავრესი ელემენტი იყო, რომელიც უშუალოდ სამთავროს ცენტრთან იყო დაკავშირებული (14. 152).

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის სამოსახლოებში, კერასთან აღმოჩენილია ჭურჭლის დამწვარი ნაგებები, ნახშირის სქელი ფე-ნები, რომლებიც შეიცავდა ცხოველთა დამწვარ ძვლებსა და ჭურ-ჭლის ნაგებებს (15. 104-106).

საინტერესოა, რომ გვიანძრინჯაო-აღრუკინის ხანის ყათლა-ნისხევის სამლოცველოს სენაკებში აღმოჩენილია საკმაოდ ღრმა ორმოები, რომლებიც ნაცრით, ნახშირითა და ცხოველთა დამწვარი ძვლებით იყო ამოცსებული წმინდა ცეცხლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ყოფაში გამოყენებული ლამპრები, რომლებშიც წმინდა ცეცხლი ენთო.

გვიანძრინჯაო-აღრურ კინის ხანის საცხოვრებლებში, საკურთხე-ველთან შესრულებულ რიტუალებში, ცეცხლს, როგორც ჩანს, მარ-თლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

ნარეკვავის ნამოსახლარმე, შენობათა ონტერიერში თერთმეტი საკურთხეველი იქნა აღმოჩენილი. მათ შორის ორი ტიპი გამოირ-ჩევა – ნახევარწრიული და ოთხკუთხედი. ნახევარწრიული სა-კურთხეველი სადაა, ბოგჯერ მას თიხის დაბალი სარტყელი აქვს შემოვლებული. ხშირად მას რქისებური შვერილები ჰქონდა მიძერ-წილი. ამ ტიპის საკურთხევლები აღმოჩენილია ცხინვალის ნაცარ-გორაზე და ყათლანისხევში რქისებური შვერილებით ოთხკუთხედი საკურთხევლებიც იყო შემკული. დაფიქსირდა ისეთი ნიმუშებიც, როდესაც საკურთხევლის წინა შხარე ალიბის სამი "სვეგისაგაბ" შედგებოდა. გარშემო მას სარტყელი შემოუყვებოდა, ხოლო ცენტრში ქოთანი იყო ჩაძერწილი. კედელზე ოთხი რქისებური შვე-რილი იყო დამაგრებული. ბოგჯერ ოთხკუთხა საკურთხეველი დუ-მელის საცეცხლურზე იყო დადგმული. აქ წმინდა ცეცხლი ენთო, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, ღუმლის საცხობ განყოფილებაში საწე-სო კვერების იმიტაციები იყო დალაგებული (8. 27-29).

საკრალური სამყაროს უაღრესად საინტერესო სურათია წარ-მოდგენილი ცხინვალის ნაცარგორის ერთ-ერთ საცხოვრებელში. აქ აღმოჩენილი იყო სამი საკურთხეველი და სამსხვერპლო. ოთახის

აღმოსავლეთ კუთხეში "რქებიანი საკურთხეველი" იდგა. იგი კედელზე იყო მიძღვილი. საკურთხევლის ჩაბნექილ ბედაპირზე მოთავსებული იყო ნალის მოყვანილობის პატარა კერა, რომელიც წმინდა ნაცრით იყო ამოვსებული. კერა შემკული იყო ორი კოპით, რომლებიც ხარის რქების სქემატურ გამოსახულებად არის მიჩნეული. საკურთხევლის უკან, კედელზე მიძღვილი იყო ხარის თავის გამოსახულება, საკურთხეველის ჩრდილო კუთხეში – სვასტიკა, ხოლო აღმოსავლეთ კუთხეში – ორი ჯამისებური ჭრაქი, იქიდან გადმოდვრილი სითხე საკურთხეველთან გაჭრილ დარში მოედინებოდა. იქვე იდგა თიხისგან გამოძერწილი ხარის სამი ქანდაკება, ხოლო მეოთხე, მომით ყველაზე დიდი, სამსხვერპლოსთან იყო დაყენებული.

მეორე საკურთხეველი ოთახის ჩრდილო კუთხეში იყო მოთავსებული. მას სუფთა ნაცრით ამოვსებული კერა ჭქონდა მიძღვილი. კერა ოთხკუთხედი ფორმის ჭრაქით იყო შემკული.

ამავე ოთახში ბაგებიანი სამსხვერპლოც იყო განლაგებული. იგი ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა. მეორე განყოფილების ცეტრში აღმართული იყო თიხის ოთხკუთხედი სვეტი, რომლის სიღრუვეში აღმოჩნდა დანახშირებული ხე. იქვე, ხარის ქანდაკების ნატეხები ეყარა. სამსხვერპლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან მცირე ზომის ორმო იყო გათხრილი, რომლის კედლები კენჭებით იყო ამოშენებული. ორმოში ნახშირი იყო ჩაყრილი. იქვე მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის სადენი ფოსო იყო გაჭრილი (16. 255-258).

აშკარაა, რომ ჩვენს წინაშე წარმოდგენილია იმდროინდელი ადამიანის ცნობიერებაში გააბრებული, საკრალური, იდეალური სამყაროს ხატი. ცხადი ხდება, რომ რიცხალების შესრულების შედეგად, მარცხდებოდა ქაოსი; მყარდებოდა წესრიგი, იმარჯვებდა კოსმოსი, რომლის განსახიერებას სამსხვერპლოში აღმოჩენილი სვეტი, თუ სამყაროული ხე წარმოადგენდა.

აქ უშეალოდ იგრძნობოდა საკმაოდ მტკიცე კავშირი სამყაროს იმ აღმასთან, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებულ ტომებისთვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ გვიანბრინჯაო-ადრეურ კინის ხანაში, საკრალური სამყაროს გააბრებად და შესრულებული რიცხალები საგრძნობლად იყო გართულებული და მათში ადამიანის ცხოვრებისთვის აუცილებელი ყველა ძალა იყო ჩართული. იგრძნობა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობდა სამყაროს ანთროპომორფიზაციისა და პერსონიფიკაციის პროცესი, რაც განხოგადოებული იდეების ადამიანის ან ცხოველთა სახეში გამოხატვას გულისხმობდა. გარდა ამისა, ადამიანური თვისებები

ბუნების მოვლენებზე, ციურ მნათობებზე თუ დვთაებებზე გადაიტანებოდა. ხოვლებორაბე, ე. წ. "მზიან ნაგებობაში", საკურთხევლის წინ დადებული იყო თიხის მომზრდილი დისკო, რომელსაც თიხისაგან გამოძერწილი რვა სხივი ამკობდა. საკურთხეველი ბაქანზე იყო დადგმული. იქვე ეყარა ვერძის თავის თხის ქანდაკება, რომლებიც საკურთხეველის ნაწილებად არის მიჩნეული.

ყათლანისხევში, კედელზე ეკიდა ქალღვთაების პორელიეფი. საცხოვრისებში განლაგებული საკურთხევლების წინ დიდი რაოდენობით იყო დალაგებული ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები, ხელსაფქავები, სანაყები, ურმის თვლის მოღელები, დანები, მეტალურგიასთან დაკავშირებული ხელსაწყოები. როგორც ჩანს, სპეციალური რიცხალების შესრულებით მათი საკრალიბაცია ხდებოდა, რის შედეგად დასაშვები ხდებოდა მათი პრაქტიკული გამოყენება.

აშკარაა, რომ დაწყებული იყო ცალკეულ დვთაებათა მითის მთლიანობიდან გამოყოფისა და მათი აღზევების პროცესი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დვთაებები ჯერ კიდევ ბუნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ, ამასთან ერთად ცოცხალ არსებათა ნიშნებს იძენდნენ, ადამიანთან გარკვეულ ურთიერთობებს ამყარებდნენ და სამყაროში წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ. განვითარების პროცესში დისტანცია ადამიანებსა და დვთაებებს შორის თანდათან იზრდებოდა. დვთაებები კარგავდნენ რეალურობასა და ბებუნებრივ სამყაროს უკავშირდებოდნენ. მაგრამ ადამიანის მსოფლადქმის უძველესი, მეტაფიზიკური პლასტები განაგრძობდნენ არსებობას და რიცხალების დეტალებში ვლინდებოდნენ. ვინაიდან, სწორედ რიტეალი იყო ინდივიდის კოლექტიურ მეხსიერებასთან თანაბიარების საშუალება. რიცხალი ერთდროულად იყო მეხსიერება, მოქმედება და მითი. გარდა ამისა, რიცხალი სოციუმში მოქმედი საბოგადოებრივი ქცევის განსაზღვრის ფუნქციასაც ატარებდა, რომელიც არქაულ ხანაში მტკიცედ იყო რეგლამენტირებული (17. 648-652).

აშკარაა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში კულტურის განვითარების ახალი ციკლი იწყება, მკვიდრდება კულტურის ახალი წარმონაქმნი, რომელიც ითვისებს წინა კულტურისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ელემენტებს. მაგრამ ის კულტურის ახალი მთლიანობას წარმოადგენს, მას აქვთ საკუთარი სახე, ახალი შესაძლებლობები და განვითარების ახალი, უფრო ძლიერი პერსპექტივები.

ლიტერატურა:

1. მ. ხიდაშელი, არაქული სამოსახლოები და საცხოვრისი, როგორც კულტურის ნიშანი. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, თბ., 2002.
2. მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001.
3. ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960.
4. დ. მუსხელიშვილი, გ. ცქინიშვილი, შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. I, თბ., 1960.
5. დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.
6. გ. დ. გიუნაშვილი, კ. მელითაური, ჯилье рубежа II-I тысячелетий до н. э. в Самтавро, სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 96, № 2, 1979.
7. კ. მელითაური, ხოვლეგორელთა მშენებლობის ტექნიკა, ხელნაწერი.
8. რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე, ნარეკვავის ნამოსახლარი და სამართვანი, თბ., 1993.
9. მ. ხიდაშელი, ხოვლეგორას ნამოსახლარი, ანალები, № 3, 2008.
10. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., "მეცნიერება", 1966.
11. J. Fontenrose, Phiton, London, 1980.
12. მ. ბერიაშვილი, მთა, როგორც მითოსური წესრიგის დამყარების ფენომენი და აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის შესაბამისი ძეგლები. "გარეჯი". კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VII, თბ., 1988.
13. М. Элиаде, Миф о вечном возвращении, М., 2002.
14. Н. М. Маковский, Сравнительный словарь мифологической символики в индоевропейских языках. Образ мира и миры образов. М., 1996.
15. მ. ხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბ., 2005.
16. გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, "მიმომხილველი", ტ. II, 1951.
17. Ю. М. Лотман, О динамике культуры. Семиосфера, СПб., 2001.

Manana Khidasheli

DWELLINGS OF INNER KARTLI IN THE LATE BRONZE-EARLY IRON AGE

In culturology the dwelling of ancient man is considered not only as the place of his habitation, but also as the significant cultural realia, artifact, a polysemantic symbol. The meaning of this symbol is disclosed most fully in the early farming cultures. The dwelling was simultaneously the place where man lived as well as the place of the performance of the cult. The dead were also buried here, under the floor. Rituals were performed at the hearth. The hearth had the female nature, the embodiment of the male power were stands of the hearth, which represented male idols. They fecundated the hearth and, as a result, life began anew. The symbol of the renewed world was the central pillar and the tree, fastened in the hearth stands.

In the Late Bronze Age a new stage began in the development of the culture of Inner Kartli. The culture widespread here was homogeneous. At that period the territory was intensively settled. Khovlegora, Tskhinvali Natsargora, Qatnaliskhevi hill, Narekvavi hill, etc. are especially well-known hill settlements of that period.

One common regularity is observable in the development of hill settlements. Circa the 15th-13rd cc. BC the population settled at the summit of the hill, which was protected by special trenches. Gradually the population left the hill and moved to its foot.

In the hill settlements of Inner Kartli dwellings of a single type occurred. This was a rectangular building. The flat roof was supported by wooden pillars. A low partition divided the house in two sections. The left part was the human dwelling, and the right one – the cattle stall. A door was made in front of the stove. The house had a corridor in front of it. Sometimes a small window was found on top of the stove.

The dwelling provides interesting information concerning the everyday life culture of man of that period. A stove was placed in the left corner of the dwelling room. Often shelves were made next to the stove. Sometimes benches were also found at the back wall. On them were placed the lamps Lamps, whose fire was lit without putting out. There was an altar in each room.

An extremely interesting "palace", belonging to the 6th c. B.C. was discovered at the foot of Khovlegora. It was located inside the fortification wall. The area of the building was 147 sq.m. It consisted of four rooms. A 47sq.m. room, leading to a round tower, is of interest. In the room there was a stove, a hearth, a long coach faced with stone slabs, a shelf along the wall,

and a chair, too, nearby. The floor was made of plaited canes. This "palace" must have belonged to the advanced family of the community, the headman.

The dwelling of an ordinary member of the community at the same time represented a prayer house. Near the altar, a place where sacrifice was offered, animal sculptures and other objects of the ritual purpose were always found. Fire and blood of sacrificial animals were actively included in the ritual.

An interesting picture of the sacral world is represented in one of the dwellings of Tskhinvali Natsargora. Three altars and places of offering sacrifice were found there. A small horseshoe-shaped hearth stood on the "horned" altar. The representation of a bull's head and a swastika were attached at the back. Three sculptures of bulls stood nearby. A pillar was erected at the centre of the semicircular altar, in the hollow of which charred wood was discovered.

Here the close relationship is observable with the perception of the world characteristic of the tribes bearing the Kura-Araxes culture. However, it is also obvious that in the Late Bronze-Early Iron Age the interpretation of the universe and performed rituals were complicated considerably in Inner Kartli. The process of the anthropomorphization and personification of the universe was under way. The separation of individual deities from the myth unity had already begun. Although these deities were integral parts of nature, along with this, they acquired features of living beings and tried to observe the order in the universe.

It is evident that in the Late Bronze Age a new cycle of the development of culture began in Inner Kartli, a new cultural formation became established, which acquired certain elements characteristic of the previous culture, but it represented a new cultural unity, it had its own form and new, stronger prospects of development.

გახფანგ ლიჩელი, ნოდარ ფოფორაძე

ოქტომბერი 2020 წლის 1 კვაპრილის სამარხები

არქეოლოგიური სამუშაოები აწყურში 1988 წლიდან მიმდინარეობს. მიკელეულია ძვ. წ. V – ახ. წ. I საუკუნეების ერცელი ნამთსახლარი და სხვადასხვა პერიოდის (ძვ. წ. VI-ახ. წ. I-II სს.) სამარხები [ლიჩელი 2001: 57; Licheli 1999a: 32; 1999b: 113; 1999c: 101-107; 2004: 218-225].

2001 წლის აწყურის ტერიტორიაზე პირველად იჩინა თავი შუაბრინჯაოს ხანის მასალამ.

სამუშაოები მიმდინარეობდა 2001 წლის ივლისში. თხრილის ფართობი შემცირდული იყო ვენახის რიგებით (ნ. გასიგაშვილის ეტო). ამიტომ თავიდანვე გაიჭრა ერთი კვადრატი (4.5 X 4.6 მ.), რომელიც ოთხ ნაწილად გაიყო.

ქვაყრილი თხრილის მთელს ფართობზე გაიწმინდა. რაიმე კანონბომიერება ქვების განლაგებაში არ შეინიშნება. იგი შედგება ძირითადად ერთიდაიგივე ზომის 25-30 სმ-ს სიგანის ყვერდების მქონე ნაგლეჯი ქვებისაგან, რომლის ყველაზე მაღალი ნიშნული ნულოვანი წერტილიდან 12 მ-ის სიღრმეზეა. ქვაყრილი დაბიანებულია შუა ნაწილში, გაცილებით ინტენსიური ჩანს სამხრეთი ნაწილი. გაწმენდის შემდეგ გამოიკვეთა ქვაყრილის (ჯავშნის?) კონფიგურაცია – წრიული, რომლის $d=3.8$ მ-ია.

ქვაყრილის მთლიანად აღების შემდეგ გაიწმინდა ერთმანეთში არეული ადამიანის ჩონჩხის ნაწილები. იმის გამო, რომ მისი ცენტრალური ნაწილი ძლიერ იყო დაზიანებული, ისინი კონცენტრირებული ჩანს თხრილის სამხრეთ და დასავლეთი კედლის გასწვრივ. ძვლოვან მასაში გვხვდება კერამიკის ფრაგმენტები (შავკეციანი ტოლჩების, კოჭობების ნაწილები). არეულ მასაში ჩანს ხუთი თავის ქალა. ძვლოვანი მასა განუენილია საკმაოდ დიდ ფართობზე – 289 (NS მიმართულებით) X 253 (E W მიმართულებით). ამ მასის განლაგება ნულოვანი წერტილიდან ასეთია:

სამხრეთ ნაწილი 162 სმ-ის სიღრმეზე, ჩრდილოეთი – 153 სმ-ის, ხოლო ცენტრალური – 165 სმ-ის სიღრმეზე. ამავე დონეზე ჩნდება გაფეხილი ბრინჯაოს სატევრებისა და დისკოსებრთავიანი საკინძების ნაწილები.

სამხრეთ ნაწილში ძვლების აღების შემდეგ, ნულოვანი წერტილიდან 2.09 მ-ის სიღრმეზე, ცალყურა ტოლების გვერდით, ბრინჯაოს დისკოსებრთავიან საკინძები ერთად, აღმოჩნდა ოქროს თრიანგული (კონცენტრული წრეები) დისკო (d=4,5სმ). მისი კიდეები

გადაკეცილია, ხოლო უკანა მხარეს ბრინჯაოს თხელი ფირფიტის კვალი შეიმჩნევა. აშკარაა, რომ ოქროს ფირფიტი ბრინჯაოსაბე იყო გადაკრული. შეინიშნება ორი ნახვრები კიდეში, ტანსაცმელზე დასაკიდებლად. დისკოს გვერდით შავკეციანი კერამიკის ფრაგმენტები და ნაწილებია. აქვე, ფირფიტისაგან 20 სმ-ის დასაცლეთით დევს სფერულობავიანი საკინძი, ხოლო მის ჩრდილოეთით 0.5 მ-ის მოშორებით კი ყუნწიანი სატევარი.

თხრილის აღმოსავლეთ კიდეში გაიწმინდა სატევარი, რომელიც ბემოდან ადევს ბრინჯაოს სამაჯურს. ხოლო (A1- B 1) კვადრატების ბლვარზე, ნულოვანი წერტილიდან 1.93 მ-ის ღონებზე გაიწმინდა დიდი ბომბის დისკოსებურთავიანი საკინძი, ხატისუდელი, რომლის ქვეშ ჩანს სარდიონის მცირე ბომბის მმივები, რომლებიც შერეულია ოქროს თხელფირფიტოვან, მიღაკისებრი ფორმის ორნამენტირებულ გარსაკრავებთან.

ამავე ღონებზე A1 კვადრატში გაიწმინდა ბალბე ფხვიერი, მოყავისფრო მიწის ბოლი, რომლის სიგანე 3.5 სმ.-ია. იგი 20 გრადუსითაა გადახრილი SN მიმართულებიდან და მისი სიგრძე დაბხლოებით 1.8 მ-ია. მისი მიწის დანარჩენი ნაწილისაგან აშკარად განსხვავებული კონსისტენცია და ფერი მაფიქრებინებს, რომ აქ ორგანული ხსიათის ნაშთთან შეიძლება გვქონდეს საქმე. SW კუთხეში დევს დიდი დისკოსებრთავიანი საკინძი, ხატისუდელი, სარდიონის მმივები, აგრეთვე ოქროს გარსაკრავები, მმივები (სიღრმე ნულოვანი წერტილიდან 1.85 მ). ამავე ღონებზე დისკოსებრთავიან საკინძთან გაიწმინდა ყუნწიანი სატევარი, რომელსაც თრი მანქვალი აქვს შემორჩენილი. საინტერესოა, რომ აქვე ჩნდება ბრინჯაოს დისკოს ფრაგმენტი, რომელთა მხატვრული სახე თქროს ცალების ანალიგიურია – კონცენტრული წრები, ხოლო შეა აღვიდებე – ომფალოსი. რითაა გამოწვეული ასეთი სპეციფიკური ნივთების აქ კონცენტრაცია? მით უფრო, რომ ოვალური დისკოს გვერდით WE, 0.6 მ-ის მოშორებით გაიწმინდა – თითქმის დაშლილი – კიდევ თრი ბრინჯაოს დისკო, კვლავ კონცენტრული წრებით (ყველა დისკო ერთი ბომბისა: d=4.5 სმ. ასეთივე წრებითაა შემკული SW კუთხეში (ამავე კვადრატში) საკინძების ქვეშ (ესაა 5 პირამიდულთავიანი და 1 დისკოსებრთავიანი საკინძი) გაწმენდილი კიდევ ერთი თქროს დისკოც, რომლის გარშემო რამოდენიმე მმივია. აშკარაა, რომ ეს არ შეიძლება იყოს ქვედა კიდურების განლაგების არე, თუ ცხადია, მმივებისა და ხატისუდლის არსებობის ფაქტს გავითვალისწინებთ. მაშასადამე, თუ ეს ნივთები in situ მდგომარეობაშია, საფარაუდოა, რომ ისინი მკერდის ან ყელის ნაწილში იყო თავგმოყრილი. მაგრამ ნამდვილად in situ მდგომარეობაში გაიწმინდა (A 1 კვ., კამერის

წინა ნაწილი) 17 ქუსლამოღარული ისრისპირი (16 ობსიდიანი, 1 კაჟის), რომლებიც ერთად იყო თავმოყრილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კამერის იაგაკბე – სამხრეთით – გაიწმინდა ასევე მუქი შეფერილობის თხელი ფენა, რომლის ზომაა 2,4 მ X 2,4 მ და რომლის დასავლეთით, კამერის კედელთან იდრ ადამიანის ორი თავის ქალა და მსხვილფეხა პირუ-ტყვის კიდურის ნაწილი.

კერამიკა ამ დონეზე კონცენტრირებულია სამ ჯგუფად – A1, B 2 და B2 კვადრატებში. ტიპოლოგიურად სამივე ჯგუფში ნაირგვარი ჭურჭელია შერეული და რაიმე გრადაცია არ ხერდება. თუმცა მათი უმეტეს შემთხვევაში in situ დაფიქსირება მაფიქრებინებს, რომ ბოლო მიცვალებულის დასაკრძალვად კამერის მხოლოდ ცენტრალური და ჩრდილო ნახევარი გაათავისუფლეს. ამასთან, იგივე სიტუაცია, შესაძლოა, იმისი მანიშნებელიცაა, რომ რომელიმე ამ ჯგუფთაგან – საფიქრებელია, B 2-A 2 კვადრატის კერამიკა (მაგალითად, კოპებიანი კოჭები № 6/61; ხუთურიანი ქოთანი № 6/40) ეკუთვნოდა უკანასკნელ მიცვალებულს, ისევე როგორც კამერის დასავლეთ ნაწილში დადასტურებული ლითონის (ოქროს) ნივთები.

ამგვარად, კამერის იაგაკი ნულოვანი წერტილიდან 2 მ-ის სიღრმეზე ნიველირებული. რაც შეეხება დრომოსს, მისი ნათელი კვალი არა ჩანს, თუმცა კამერის სამხრეთ ნაწილში ჩანს ქვის რიგი, რომელიც შესაძლოა შემთხვევლელთან იყო დაკავშირებული.

სამარხეული კომპლექსი მთლიანად ერთ კულტურულ არეალში ექცევა და ძვ. წ. XVI საუკუნეს, შესაძლოა მის პირველ ნახევარს განეკუთვნება, რადგან ა. რამიშვილის კლასიფიკაციის მიხედვით ამ სამარხის ინტენსიური აფარებს როგორც შეა ბრინჯაოს ხანის მიწურულის (ძვ.წ. XVII), ისე გარდამავალი პერიოდის I ეტაპის (ძვ.წ. XVI ს-ის პირველი ნახევარი) ნიშნებს (რამიშვილი 2004: 41-196).

საბოგადოდ, როგორც ცნობილია, შეაბრინჯაოს ხანა, განსაკუთრებით კი მისი საწყისი ეტაპი, საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თრიალეთის კულტურა) გამოირჩევა ოქროს ნაკეთობათა არა მხოლოდ სიმრავლით, არამედ დახვეწილი ფორმებითა და იშვიათი სინატიფით (გოგაძე 1972: 74-94; უკურიძე 2001: 117-122), რომლებიც სრულიად გარკვეულ კაგშირს ასახავნ გარე სამყაროსთან. აწყურის № 1 ქვაყრილიანი სამარხი ამ პერიოდის სულ უკანასკნელ, ფინალურ ეტაპს განეკუთვნება, როდესაც სამარხებში ძვირფასი ლითონი თითქმის საერთოდ ქრება. ამდენად, აյ მოპოვებული ოქროს ნაწარმი, პირველ რიგში, უაღრესად საინტერესოა წარმომავლობის თვალსაზრისით.

სწორედ ამიტომაც ამ მრავალფეროვანი და მდიდარი მასალი-დან შეირჩა ამ მასალისაგან დამბადებული სამკაული, რომელთაც ვიზუალურ დათვალიერებასთან ერთად, ჩაუტარდათ დეტალური ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზი.

ნაკეთობების ზუსტი ქიმიური შედგენილობა განისაზღვრა სამ-კაულის სხვადასხვა ფრაგმენტის სხვადასხვა წერტილში, მისი 1 მიკრო მეტრის ფართზე, როგორც საპარადო და უკანა მხარეს, ასევე მისი ცალკეული დეტალების განივევეთში ანუ სიღრმეში. წარმოდგენილი მეთოდი უმნიშვნელოდაც კი არ აბიანებს საანალი-ზო ნივთს, შეგვიძლია განვსაზღვროთ ნებისმიერი ლითონის შემც-ველობა 0,05%-დან 100%-მდე, შეტყუდულია მხოლოდ ნიმუშის გო-მები, ბოგჯერ განსაზღვრული წერტილის გედაპირის დეფექტები (უსწორმასწორო გედაპირი, დაკანგული უბნები, მიკრო ბბარები და სხვა) იწვევს ცდომილებას, რის გამოც გამოიერთი წერტილის საერ-თო ქიმიური შედგენილობა 100%-ზე დაბალია. ანალიზი ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გემოლოგიისა და მინე-რალურ ნივთიერებათა კელევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკურ ცენტრში მიკრორენტგენსპექტრალური ანალიზ-ტორით (CAMEBAX MIKROBEA).

საიუვილერით ხელოვნების ნიმუშთა ქიმიურ-ტექნოლოგიურ ანა-ლიზს დღემდე დიდი ყურადღება არ ექცეოდა. აღნიშნული ხარვეზის თუნდაც ნაწილობრივ აღმოფხვრის მცდელობად შეიძლება ჩაით-ვალოს წინამდებარე ნაშრომი.

შესწავლილი ოქროს ნივთები წარმოდგენილია დისკოებით, მძი-ვებით და გარსაპრავებით.

დისკო № 1 თხელფირფიტოვანია, გამოფიფრული, შეაგული ნახევარსფერსფერო-სტერი, მის გარშემო ოთხი ამობნექილი ქე-დისებური კონცენტრირებული რგოლია. უმუსტობანი არ შეიმჩნევა, კიდეები შეიგნითა ჩაეკეცილი.

დისკოს დიამეტრი 47,3-34,6მმ-ა (დაბიანებული მხრის), ფირფიტის სისქე 0,15მმ, წონა 0,846გრ.

დისკო ნაწილობრივ დაბიანებულია ერთ მხარეს დახლოებით 1/4 ნაწილზე (სამ წრიულ რგოლზე) მოტეხილი აქვს ოქროს ფრაგმენტი, ადგილ-ადგილ გახვრებილია, უკანა მხარეს არის ბრინჯაოს მასა-ლის დაქანგულლი თხელი ფენის ფრაგმენტი.

დისკოს ქიმიური შედგენილობა ორივე ბედაპირზე და ფირფიტის განივევეთში (სიღრმეში) ერთნაირია. ოქროს შედგენილობა საკ-მაოდ დაბალია: au 72-76 %; ag 20-18 %; cu 3-4%.

დისკო № 2 ისეთივე ფირმის, შედარებით მცირე დიამეტრის, უფრო დაბიანებულია. ცენტრში ნახევარსფერო ჩაჭყლეტილია, მის

გარშემო ოთხი წრიული ამობურცული 9ქედის ფორმის) რგოლია და სამი მცირე ბომის ბურცობებიანი კონცენტრირებული რგოლი. კიდევები საკმაოდ დაჭყლეტილია, ზედაპირი ადგილ-ადგილ გახელი აქვს მოგლეჯილი ნაწილი. ღიამეტრი 33,5X34,6; ფირფიტის სისქე 0,1მ; წონა 0,84ნგრ; ისიც ტვიფრითად დამზადებული, ფერი ყვითელი მომწვანო ელფერით.

II დისკოს ქიმიური შედგენილობა საპარადო და უკანა მხარეს ერთნაირი აქვს: Au 83-85%; ვერცხლი 10-14%; სპილენძი 1-2%. მასში ოქროს შემცველობა მაღალია ვიდრე წინა დისკოში.

III დისკო წინა ორის ანალოგიური ფორმისაა, ძირითადად დაუბიანებელია, ცენტრალური ამობურცული ნახევარსფეროს გარშემო არის ოთხი წრიული ქედისებური ამობურცული რგოლი და სამი გავარსისებული ამობურცული კონცენტრირებული რგოლი. მედალითი დამზადებულია ტვიფრით, სავარაუდო ჯერ იტვიფრებოდა ძირითადი ფორმა თავისი კონცენტრირებული რგოლებით და შემდეგ ხდებოდა გავარით შემკობა.

ამ დისკოს ქიმიური შედგენილობა საპარადო და უკანა მხარეს არაერთგვაროვანია. საპარადო მხარეს ოქრო შედარებით მაღალი შემცველობით ხასიათდება: Au 84-93%; Ag 5-8%; Cu 1%-მდე. უკანა მხარეს – Au 76-84%; Ag 9-21%; Cu 2%-მდე. დისკოს საპარადო და უკანა მხარის ქიმიური შედგენილობა შეიძლება იყოს გამოწვეული საპარადო მხარის ოქროს შემცველობის ბუნებრივი გამდიდრებით, რაც გამოწვეულია ვერცხლის და სპილენძის დაუნგვით დისკოს (რამდენიმე მიკრონის სისქეზე) და მათი მოცილება ღროთა განმავლობაში. ამის მტკიცებაც, ჩვენი აზრით, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გვექნება საქმიარისი მასალა სხვა მსგავსი და განსხვავებული საიუვილერით სამკაულზე სხვადასხვა პერიოდისა და რეგიონის სამართვებიდან.

რიკულისებური მძივები წარმოადგენებს ღრუ ცილინდრებს, შეკრულ თქროს თხელი ფერცლებით. ისინი თავის მხრივ შედგებიან კასრისებური და ამობურცული კონცენტრირებული რგოლებისაგან. კასრისებურ ფორმებს ორ ურთიერთსაპირისირო მხარეს აქვს ნახევრები თოთხ წყვილად. ამობურცულ კონცენტრულ რგოლებს აქვთ ნაჭდევები. თითოეული მძივის თავი და ბოლო დახურულია, ნაპირშემოკეცილი ოქროს ფირფიტის ქუდით. მძივები დამზადებულია თხელი თქროს ფირფიტისაგან გამოჭედვით და მომრგვალებით. ფერცლის ნაპირთა მირჩილების შედეგად დარჩენილია ნაწილური. მძივების დიამეტრი საშუალო 5,3მმ-ია, სიგრძე 21,4მმ, ოქროს ფირფიტის 0,07მმ, მძივის შედგენილობა: ოქრო 88-94%; ვერცხლი 4-8%; სპილენძი 1,4%-მდე.

მძიების ქიმიური შედგენილობა პრაქტიკულად პასუხობს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული თვითნაბადი თქროს მარცვლების ქიმიურ შედგენილობას. შესაძლებელია ისინი მზადებოდნენ თვითნაბადი თქროს უმნიშვნელო გადამუშავების შედეგად.

დაბიანებული მძიების (გარსაკრავების?) ფრაგმენტები წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმის მცირე ზომის დეტალების სახით. აღსანიშნავია, რომ გთვიქრო დაბიანებულ მძიების საპარადო და შიდა მხარეს აქვთ განსხვავებული ქიმიური შედგენილობა. საპარადო მხარეს: Au 73-88%; Ag 10-22,31%; Cu 0,93-1,58%; შიდა მხარეს; Au 60-63%; Ag 22,73-33,32%; Cu 0,93-2,41%.

დაბიანებული თქროს ნაკეთობების ნარჩენი ფრაგმენტებით თქროს სამკაულის სახეობა არ დგინდება, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ისინი მძიების, ან გარსაკრავების ნაწილებია.

მათი ქიმიური შედგენილობა ძირითადად თქროს დაბალი სინჯითაა წარმოდგენილი. თქრო 53-73%.

ამდენად, შესწავლილი თქროს საიუველირო სამკაული ქიმიური შედგენილობის მხრივ პირობითად სამ ჯგუფად იყოფა: მაღალი სინჯის თქროს ნაკეთობაზი (თქროს შემცველობა 88-94%), რომელთა ქიმიური შედგენილობაც პრაქტიკულად ეთანადება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თვითნაბადი თქროს მარცვლების ქიმიურ შედგენილობას; სამუდლო სინჯის თქროს ნაკეთობები (თქროს შემცველობა 72-84%) და დაბალი სინჯის თქროს ნაკეთობები (თქროს შემცველობა 60-63%). თქროს ფირფიფის საპარადო და შიდა მხარის მნიშვნელოვანი განსხვავებული ქიმიური შედგენილობა შეიძლება აისხნას ორი სხვადასხვა ფირფიფის ერთობლიობით, რადგანაც ღროის განმავლობაში ზედაპირის თქროს შემცველობის გამდიდრება დაქანგული და გამოთავისუფლებული ვერცხლის და სპილენძის მასის გამოტანით ფირფიფის ზედაპირიდან ასეთი მაშტაბით და ასეთი ხარისხით შეუძლებელია, ხოლო მცირე განსხვავება შესაძლებელია თქროს ნაკეთობის ზედაპირის ბუნებრივი გამდიდრებით აისხნას.

სამკაულის დამზადების მრავალმხრივი ტექნიკა-ტექნოლოგიური პარამეტრები თვალნათლივ ადასტურებს საოქრომჭედლო ხელოვნების საკმაოდ მაღალ დონეს შეაბრინაოს ხანის მიწურულისათვისაც. ხოლო მათი ქიმიური შედგენილობა და მისი თანხვედრა თვითნაბადი თქროს მარცვლების შედგენილობასთან უნდა მიუთითებდეს თქროს ამ სამკაულის ადგილობრივ დამზადების ფაქტზე.

თავისთავად კი, რაც შეეხება თვით თქროს ნაკეთობათა შეაბრინაოს ხანის მიწურულის სამარხში აღმოჩენის ფაქტს, იგი უდა-

ვოდ იმსახურებს ყურადღებას. კარგადაა ცნობილი, რომ ძვ.წ. XVII-XVI სს-ბი არის შუაბრინჯაოს მაღალგანვითარებული კულტურის დაკნინებისა და ჩაქრობის პერიოდი. ჩვეულებრივ, ამ ხანის სამარხები არ გამოიწჩევა სიმდიდრით, თუმცა ჩვენ არც ამ სამარხს მივაკუთვნებთ მდიდრულთა კატეგორიას ოქროს ნაკეთობათა რაოდენობის მიხედვით. მაგრამ ამ მხრივ მანიც საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამარხი უხვად შეიცავდა როგორც ბრინჯაოს ნივთებს (სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს სატევრები, მასრაგახსნილი შუბისპირი, სხვადასხვა ტიპის – პირამიდულ და დისკოსებრ თავიანი – საკინძები, აგრეთვე სარდიონის ბურთულისებრი შმივით დაბოლოებული საკინძი, ხაგისულები, ფიწალი – ყველაზე აღრეული აქამდე ცნობილებს შორის, სამაჯურები, ბრინჯაოს ფირფფისებრი სამაგრები, ბრინჯაოს ერთნახევარი ხვიები, ბრინჯაოს რგოლები, კონცენტრული რელიეფური წრეებით შემკული ბრინჯაოს დისკო, ბრინჯაოს ნახევარსფერული ფირფიტები, ძაღლის ბრინჯაოს ქანდაკება), ისე კერამიკულ ნაწარმს (ბადიები, დერგები, რომელთა შორის გვხვდება როგორც რელიეფური – მაგალითად, ადამიანის სახის გამოსახულება – ისე ნაპრიალები ორნამენტით შემკული ცალები, "კანთაროსისებრი" თასები, რელიეფური ორნამენტით შემკლული ქოთნები და სხვა), გიშრისა და სარდიონის მივები და ობსიდიანისა და კაჟის ჭუსლამოდარულ ისრისპირები.

ეს კომპლექსი კიდევ უფრო საინტერესოა იმის გამო, რომ ამავე ხანისა და ტიპის № 2 სამარხში აღმოჩნდა ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობის ინვენტარი, მათ შორის კერამიკული ნაწარმი, რომელიც სრულიად განსხვავდება № 1-საგან.

ბიბლიოგრაფია:

1. გოგაძე ე. 1972 – თრიალეთური ყურდანული კულტურის პერიოდიბაცია და გენებისი, თბილისი.
2. ლიხელი ვ. 2001 – კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები, თბილისი.
3. რამიშვილი ა., 2004 – ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში, თბილისი.
4. უფროიძე მ. 2001 – თრიალეთური კულტურის ოქრომჭედლობის ნაწარმის ერთი ტიპის კვლევისათვის. კრ. "კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები". თბილისი.

5. Licheli V. 1999a, - St. Andrew in Samtskhe-archaeological proof?. In: Ancient Christianity in the Caucasus. Iberica Caucasică. Vol. 1. London.
6. Licheli V. 1999b., – Une ville des VIIe –Ier siecles. In: Religions du Pont – Euxin, Paris.
7. Licheli V. 1999c, – The Black Sea – Vani – Samtskhe: the Spreading Route of Black-glazed Pottery. In: La Mer noire Zone de Contacts. Paris.
8. Licheli V. 2004 – A burial with a stone Embankment at Atskuri. In: Journal of Georgian Archaeology, # 1, Tbilisi.


ფაბულების აღწერილობა:

1. აწყურის სამარხის გათხრები. გეგმა;
2. კერაქმიკული ნაწარმი სამარხიდან, ძვ.წ. XVI საუკუნე;
3. ფიჭალი და ლითონის ნაცარმის ნაწილი სმარხიდან, ძვ.წ. XVI საუკუნე;
4. ოქროს დისკოები და მძივების გარსაკრავები სამარხიდან, ძვ.წ. XVI საუკუნე.


Vakhtang Licheli, Nodar Phophoradze


GOLD SAMPLES FROM ATSKURI BURIAL



Atskuri burial is located in Akhaltsikhe District, on the left bank of the Mtkvari River. The anatomical analysis of the human bones indicates that 63 individuals were buried in the grave. Some of the deceased were buried with gold. The analyses of gold found in the grave reveals a local production of items.



0 50 100 nm







ირინე მელიქიშვილი

06400 ვრცელულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრები
გიორგი მელიქიშვილის ნაშრომებში

ქართველურ-ინდოევროპული საერთო ლექსიკის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. გამოვლენილია მრავალი ლექსიკური შეხვედრა წინარე ენათა დონეზე – ანუ ისეთი ლექსიკური ერთეულების თანხვედრა, რომლებიც რეკონსტრუირებულია როგორც საერთო-ქართველურ, ისე საერთო-ინდოევროპულ დონეზე. ეს შეხვედრები აფიქსალურ მორფებსაც მოიცავს (პირისა და ბრუნვის ნიშნებს), ხოლო საერთო ძირების უდიდესი ნაწილი ძირითად ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნება: აქ შემოდის ნაცვალსახელური და გმხნური ძირები. ასეთი საერთო მასალა გენეტური კავშირის მიმანიშნებელია, რადგან პირის ნაცვალსახელთა და ფლექსიურ ელემენტთა სესხება ჩვეულებრივ არ ხდება, ასევე ძალგე იშვიათია ძირითადი ლექსიკური ფონდის გმხნური ერთეულების სესხება (ი. მელიქიშვილი, 2002).

გარდა ამ რიგის ქართველურ-ინდოევროპული შეხვედრებისა, არას შეხველრები, რომლებიც უძველეს კონტაქტებს შეიძლება მიეწეროს. ამდენად, ქართველურ-ინდოევროპული საერთო მასალა დიფერენცირებულ მიღებობას საჭიროებს – სისტემურმა კვლევამ უნდა მოგვცეს შესაძლებლობა განვითაროთ ერთმანეთისაგან ა)გენეტური ერთობის ამსახველი მასალა, ბ)ფუძე ენათა დონის კონტაქტები, და გ)კონტაქტები, რომლებიც საერთო-ქართველურს ჰქონდა ჟევე გადიფერენცირებულ სხვადასხვა ინდოევროპულ ენობრივ წრესთან.

კარგად არის ცნობილი, რომ ქართველსა და სხვა ქართველურ ენებში არსებობს იდენტიფიცირებადი ლექსიკური ფენები, რომლებიც ქართველური ტომების ისტორიულ ურთიერთობას ასახავს ინდოევროპულ ენათა მატარებელ სახვადასხვა ტომებთან და ერებთან – ბერძნებთან, სპარსელებთან, სომხებთან, სკითთან, სარმატებთან, ალანებთან, თრაკიელებთან (კიმერიელებთან) და ხეთურ-ლუვიური ჯგუფის ენებთან.

გიორგი მელიქიშვილი მიუთითებდა, რომ არსებობს საერთო ლექსიკური მასალა, რომლის დაკავშირებაც ვერ ხერხდება იმ ხალხებთან, რომლებთანაც, რამდენადაც ცნობილია, ქართველ ტომებს ურთიერთობა ჰქონდათ ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ წარსულში. მან თავის ნაშრომში "საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის"

(გ. მელიქიშვილი, 1965), ყურადღება სწორედ ასეთ მასალაზე გაა-მახვილა და მისი ინტერპრეტაცია სცადა. ამ საკითხებს მიუძღვნა მან ამ ნაშრომის ბოლო თავი: "ქართველური ენების ინდოევრო-პული სუბსტრატის (სუპერსტრატის) საკითხი და უცნობი წარმო-მავლობის ინდოევროპული ლექსიკა ქართველურ ენებში. "მტკვარ-არაქსის" კულტურის მატარებელთა ეთნიკური ვინაობის საკითხი" (გვ. 203-246).

გიორგი მელიქიშვილმა თავი მოუყარა საქმაოდ დიდი რაოდე-ნობის ქართველურ-ინდოევროპულ ლექსიკურ შესვერებს, რო-მელთა მიკუთვნებაც, მისი შეფასებით, ვერ ხეხდება ვერც ერთ იმ ენასთან თუ ენობრივ წრესთან, რომლებთანაც ქართველურ ენებს ისტორიულად ცნობილი კონტაქტები ჰქონდათ. იგი წერს: "რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ყველა დასახელებული ლექ-სიკური შეხვედრა ქართველურისა ინდოევროპულთან ერთი წყა-როდან მომდინარეობს და ერთ ეპოქაში უნდა იყოს შემოსული ქართველურ ენათა წიაღში. მათში შესაძლებელია მოხერხდეს სხვადასხვა ქრონოლოგიური და ენობრივი ფენების გამოყოფა. შა-გრამ უცილობელი სიძველე ყოველ შემთხვევაში ამ ნასესხობათა ერთი ნაწილისა და, მეორე მხრით, ის გარემოება, რომ ძნელია მათი წარმოშობის წყაროდ უკანასკნელი 3–4 ათასწლეულის მან-ძილზე სამხრეთის ინდოევროპულ მასივთან კონტაქტი მივიჩნიოთ (აქაური ინდოევროპული ენებიდან – არიული, სომხური, თრაკიულ-ფრიგიული, ხეთურ-ლუვიური – არ ჩანს მომდინარე აღნიშნული "უცნობი წარმოშობლის ლექსიკა"), შესაძლებელს ხდის ინდოე-ვროპულთან ქართველური ენების ამ უძველესი კონტაქტის ასპარე-ზად ამიერკავკასია, ანდა კიდევ უფრო ჩრდილოეთით ძღებარე ქვეყნები ვივარაულოთ. ამიტომაც ბუნებრივად იბადება აბრი ძველი ამიერკავკასიური "მტკვარ-არაქსის" კულტურის მატარებელთა შე-საძლო ინდოევროპული წარმოშობის შესახებ, რომელიც შემდეგში ასიმილირებულ იქნებ (ენის ოვალსაბრისით) წინააზიური ტიპის ენების მატარებელთა, კერძოდ ქართველურ ტომთა მიერ, რომელ-თათვისაც აღნიშნულმა ინდოევროპულმა მოსახლეობამ სუბსტრა-ტის როლი შესარულა" (გ. მელიქიშვილი, 1965, გვ. 244).

"მტკვარ-არაქსის" კულტურა, არქეოლოგიური მონაცემების მოწმობით, იყო ძვ. წ. III-II ათასწლეულების აღრე ბრინჯაოს ხანის სამიწათმოქმედო კულტურა. ეს უნდა ყოფილიყო მეტად ახლო მო-ნათესავე ტომების კულტურა, რომელიც ფართო ტერიტორიაზე ერ-თ რომელიდაც ცენტრიდან უნდა გავრცელებულიყო. გ. მელიქიშ-ვილის აზრით, "ამ კულტურის მატარებელ ტომთა ეთნიკური ვინაო-ბის დასადგენად საჭიროა ვეძებოთ მისი ნაკვალევი იქ, სადაც მას

ჩვენამდე შეეძლო მოედწია. ასეთი ნაკვალევი შეიძლება ჩანდეს ამ მხარეთა ფოპონიმიკაში, ჰიდრონიმიკაში; შეიძლება ჩანდეს იგი აგრეთვე იმ ხალხთა ენებში, რომელიც შემდეგში ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და რომელთაც უნდა შერწყმოდა "მტკვარ-არაქსის" კულტურის მატარებელი მოსახლეობა" (დასახ. ნაშრ. გვ. 203).

"მტკვარ-არაქსის" კულტურის მატარებელ ტომთა ეთნიკური იდენტიფიკაციის პროცესში ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ქართველურ-ინდოევროპული საერთო ლექსიკის კვლევის პრობლემა დღესაც უაღრესად აქტუალურია. ორივე მიმართულებით ბევრი ახალი ფაქტის მოძიება მოხერხდა, შაგრამ საკითხთა გადაწყვეტილა საგან მაინც საკმაოდ მორსა ვართ. ჩვენი მიზანია გიორგი მელიქიშვილის მიერ თავმოყრილი ქართველურ-ინდოევროპული საერთო მასალის განხილვა, შემდგომში გამოვლენილი ფაქტებით გამდიდრება და ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელების პერსპექტიულობის ჩვენება.

გასული საუკუნის 60-იანი წლები ქართველური ენათმეცნიერებისათვის ახალი იდეებით გამდიდრების, ახალი თვალსაზრისების, კვლევა-ძიების ახალი მეთოდების შემოგანის პერიოდია. საყურადღებოა, რომ ქართველურ-ინდოევროპულ მიმართებათა კვლევის აღორძინება (ბოპის, ბროსეს და სხვათა შრომების შემდეგ) სწორედ ამ პერიოდში ხდება, და ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ პრობლემატიკას თანმიმდევრულად და სისტემურად შეეხო, იყო გიორგი მელიქიშვილი. შემდეგში ამ საკითხს იკვლევდნენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (გამყრელიძე, ივანოვი, 1984), გ. კლიმოვი (კლიმოვი, 1994), ამ მიმართულებით ჩვენც შევეცადეთ კვლევის ჩატარებას (მელიქიშვილი, 2002). საინტერესოა, რომ გ. მელიქიშვილი, რომლის ენათმეცნიერული გამოკვლევები, შეიძლება ითქვას, ისტორიულ გამოკვლევებზე არანაკლებ დირებულია (იხ. თუნდაც მისი ურარტული ენის გრამატიკა და მრავალი ეტიმოლოგიური გამოკვლევა; სადოქტორო დისერტაციის დაცვისას მისი ოპონენტების საერთო აზრი იყო, რომ იგი ისევე იმსახურებდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს, როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისას), გვევლინება ქართველურ-ინდოევროპულ მიმართებათა კვლევის განმახლებლად 60-იან წლებში.

ამ საკითხს იგი სისტემურად და დიდი სიფრთხილით მიუდგა – დაამუშავა ამ საკითხზე არსებული მთელი ლიტერატურა, გაცხრილა და გამოყო უცილობლად დირებული მასალა (იგი წერს, რომ გაცილებით დიდი მასალის წარმოდგენა იყო შესაძლებელი, მაგრამ მან დატოვა მხოლოდ სრულიად სანდო დაკავშირებები), გამოავლინა

ახალი შესაბამისობები, დააჯგუფა ისინი სემანტიკურ ჯგუფებად და მოგვცა მათი ინტერპრეტაცია.

ქართველურ-ინდოევროპული საერთო მასალების წყაროა ფ. ბოპის (1947), ა. გლეივს (1902), მ. ჯანაშვილის (1902), ნ. მარის (1915, 1920), მ. წერეთლის (1924), კ. ტაგლიავინის (1926), ჰ. ფოგტის (1938), ვ. პოლაკის (1946), ვ. გეორგიევის (1958), რ. ლაფონის (1934), ლ. ვ. ეონენდერგის (1959), გ. კლიმოვის (1962, 1964) და სხვათა შრომები.

სემანტიკური წრეები, რომლებსაც გიორგი მელიქიშვილი განიხილავს, არის ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, ლანდშაფტი, რიცხვითი სახელები, სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა, ამას გარდა, უძველესი გმნური ფუძეები.

წარმოვადგენთ სანიმუშოდ ცხოველთა სემანტიკურ ველს, ხოლო დანარჩენი სემანტიკური ჯგუფებისათვის ჩამონათვალით დაგვამაყოფილდებით.

1. *თიკანი/ციკანი*, საერთო-ქართვ. *დაჭ- [ქართ. თხა: მეგრ-ლაბ. თხა : სვ. დაჭ-გლ]. შდრ. ი-ე *dik-, digh-; [ბერძნ. diza, ორაკ. diza, სომხ. tik, ძვ. საქს. ticcen, ძვ. გეორგ. zickin, გერმ. Ziege]. ინდოევროპული ძირი დადასტურებულია ბერძნულში, ორაკიულში, სომხურსა და გერმანიკულ ენებში. თიკანი/ციკანი ფორმები დიდ სიახლოებს იჩენენ გერმანიკულ ფორმებთან, ხოლო საერთო-ქართველური ფორმა ახლოს დგას საერთო-ინდოევროპულ ფორმასთან. ქართველურ-ინდოევროპული შეპირისპირება ეკუთვნის გ. მელიქიშვილს (1965, გვ. 209-210). მ. წერეთელი ქართულ ფორმებს აკავშირებდა შუმერულ siqqa, sikka, sigga-სთან (წერეთელი, 1959, გვ. 96).

2. *ღორი [ქართ. ღორ-ი : მეგრ. ღაბ. ღეჯ-] შდრ. ი-ე *ghorios; ეიხენბერგი მითითებს ქართული სიტყვის ბერძნულ xoiros-სთან სიახლოვებზე (ეიხენბერგი, გვ.74). გ. მელიქიშვილი ბერძნულიდან სესხებას გამორიცხავს, რადგან ბერძნული ჯ ქართულში ქღ გადმოდის. იგი მიუთითებს გერმანიკულ *ghorē- ფორმაბევ (გვ. 210).

3. *ტილ- [ქართ. ტილ : მეგრ-ლაბ. ტო : სვ. ტიშ-]. ჰ. ფოგტი აკავშირებს ი-ე *tin/til-თან [ბერძნ. tilos, ოქს. tla, ლიტვ. utele, ლატვ. tyras, გალ. tail, ბრეტ. teil].

4. *კვენ- [ქართ. კვერნა : მეგრ. კვინორ- : ლაბ. კვენურ- : სვ. კუენ-] გ. კლიმოვი ამ ფუძესთან აკავშირებს ი-ე *kunia-ს, რომელიც ბალტურ-სლავურ ენებშია დადასტურებული (კლიმოვი, 1964, გვ.110).

5. *კაკაბ- [ქართ. კაკაბ-ი : მეგრ. კოკობ-ე] შდრ. ბერძნ. kakka-ba, ხეთ. kakkapa.

6. *ოფოფ- [ქართ. ოფოფ-ი : მეგრ. ოფოფ-ი] შდრ. საერთო-ინდოევროპული *epop-/opop- (გვ. 218).

7. *რქა [მეგრ. ქა/რქა, ჭან. ქრა/ქია] – ინდოევროპული პარა-ლელები: ბერძნ. *keras*, გერმ. *Horn*, რუს. *rog*, ლიტვ. *ragas*, ლატვ. *rags*, ძვ. პრუს. *ragis*.

8. ირჯმი შდრ. ფინური *hirvi* "ცხენ-ირჯმი", რომელიც გერმანიკული ენებიდან შეთვისებულად მიაჩნიათ. (გვ. 215).

9. ბოჩოლა გ. მელიქიშვილს შესაძლებლად მიაჩნია *ბო(b)-ჩვილ-ა ფორმიდან გამოვიყანოთ და ბოს(b)- ო-ე *g^uou-ხარ/ძროხის აღმნიშვნელ ძირთან დავაკავშიროთ, რომლის რეფ-ლექსები ლაბიალური ფონეტით არიან წარმოდგენილი: ბერძნ. *bous*, ლათ. *bōs*, *bovis* (გვ. 217). გ. მელიქიშვილი ამ ელემენტთან აკავშირებს სიტყვა ბოსელ-საც (გვ. 216).

10. ძუკნა შლის ასე: ძუკნა და კნა-ს აკავშირებს *kuen არქეტიპიდან მომდინარე ერთულებთან: ლათ. *canis*, ბერძნ. *kyōn*, კელტ. *cu*, *con*.

11. ყორანი დადასტურებულია ძველ ქართულ ძეგლებში. ა. გლეევ მიუთითებს ბალტურ-სლავურ პარალელებზე: რუს. *voron*, ლიტვ. *várnas*, ძვ. პრუს. *warnis*, ლიტვ. *varnas*; ო. გამყრელიძე და ვ. ივანოვი საერთო-ინდოევროპულში აღადგენენ *kor-n ფორმას (გა-მყრელიძე, ივანოვი, გვ. 540), რომელიც კიდევ უფრო ახლოს დგას ქართულ ფორმასთან.

12. კრაბანა გ. მელიქიშვილს მოჰყავს ამ ლექსების რუსული, ლიტვური, ლატვიური, ძველი პრუსიული, ძვ. ზემოგერმანული, ლა-თინური პარალელები. საერთო-ინდოევროპულში აღდგება *k^hrs-en (გამყრელიძე, ივანოვი, გვ. 535).

აქვე მოჰყავს ლექსები კატა და ლომი, რომლებსაც ინდოევროპულ ენათა ფარგლებს გარეთ ფართო გავრცელების გამო „მე-დიტერანულ“, „პროტო-ინდოევროპულ“ ლექსიკას უწოდებენ (მელიქიშვილი, 1965, გვ. 212-213).

ცხოველთა სემანტიკური ველიდან ამ პარალელებს შესაძლებელია დავუმატოთ:

1. *კუდ-/კუდ [ქართ. კუდ- : მეგრ.ლაბ. კუდელ : სვ. ჰაკვად]; – ლათ. *cauda* "კუდი" (გამყრელიძე, ივანოვი, გვ. 880).

2. *უერძ- [ქართ. ვერძ-ი : მეგრ. ერჯ-] – ო-ე. *ñers (კლიმოვი, 1994, gv. 108).

3. *თელ- "გოჭი" [ქართ. თელ- : მეგრ. თუ : ლაბ. თილა] – ო-ე. *tal- "ახალგაზრდა ცხოველი" (კლიმოვი, 1994, 114).

4. **ubb-* "სამსხვერპლო ხარი" [ქართ. უბბ- : სვ. უბბჲავ] – ი.-ე. **uks-* [ძვ. ინდ. *uksa* ავ. *uxšan-*, ტოქ. *B okso*, ძვ. ზემოგერმ. *ohso*, ძვ. ისლ. *oxi*] (კლიმოვი, 1994, 64-67).

5. **uggð-ug-* "გომბეშო" – ი. ე. **gʷʰebhu-* (კლიმოვი, 1994, 110).

6. **kēr-* [ქართ. წერო : მეგრ. ჭარო] – ი. ე. ***kér-* (კლიმოვი, 1994, 162).

7. **χαღ-ლ* [ქართ. ძაღ-ლ- : მეგრ. ლაბ. ჯოღ-ორ- : სვ. უღღ-/უღღ-] – შდრ. ინგლ. *dog*, საშ. ინგლ. *dog*, *dogge*, ანგ. საქს. *docga*, *dogga*, გერმ. *dogge*, ძვ. ნორვეგიული *dugga*; უნდა მომდინარეობდეს ინდოევრ. **dheugh-* "ძლიერება" (ვებსტერი, 1957). ამ პარალელის წარმოდგენა ჩვენ გვესახება შესაძლებლად. მის სასარგებლოდ სემანტიკური და ბერიობრივი მსგავსება მეტყველებს. ინდოევროპულ *g-*ს ქართველურში, როგორც წესი, /*ɛ*/ შეესაბამება, ხოლო ინდოევროპული კბილისმიერების ფარდად ხშირად ქართველურში აფრიკატები გვევლინება.

8. **მეღ-* ქართ. მეღა/მეღია : მეგრ. მაღ- ლაბ. მეღ- – ი. ე. **(s)mēlo-*; გოთ. *smals*, ძვ. ირლ. *míl* "პატარა ცხოველი" (კლიმოვი, 1994, 124)

9. ქართ. აჩუა, აჩუ! შდრ. ი.-ე. **ačua*, (კლიმოვი, 1994, გვ. 171). ინდოევრ.-თან კავშირი ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ შენიშნა (ლლონგი, 1988, გვ. 16). სანსკრ. *asva*, ავესტ. *aspa*, ლიტვ. *asva*; მომდინარეობს ი.-ე. **ek्सo-* (პოკორნი, 1959, გვ. 301).

ამრიგად, ცხოველების აღმნიშვნელ 17 საერთო-ქართველურ ლექსიკურ ერთეულს ეძღვნება ინდოევროპული პარალელი.

მცნარეთა სემანტიკური ველიდან გ. მეღიქიშვილს განხილული აქვს პური, ქერი, ფიჭვი, რკო/გრკო, ღვისო, ვენახი;

ლანდშაფტის აღმნიშვნელ ლექსემათაგან – გორა, მთა, **უღღ-*-ი, ვაკე, მერე/მერეხი, ბლვა, ქვიშა, მლამი, **წუმბ-* "წუმპე", **დიგა*, რუ, რიონი (მეღიქიშვილი, 221-225). საინტერესოა ამ სემანტიკურ წრესთან დაკავშირებით ჰიდრონიმი მტკვარის ეტიმოლოგია, რომელიც ო. გამყრელიძემ შემოგვთავაბა. ეს სიტყვა მას მიაჩნია პრე-ფიქს-სუფიქსურ მიმღებურ ფორმად: მ-ტკვ-არ-ი, რომელშიც გამოიყოფა **ტკ-უ-*/ტკ-უ- ძირი. ეს ძირი პარალელს პოულობს ინდოევროპულ **tekʷ-* გმხურ ძირში, რომლის მნიშვნელობაა "დინება, სწრაფი მოძრაობა" (გამყრელიძე, 2002, გვ. 21-25). ამას გარდა შესაძლებელი დავამატოთ გ. კლიმოვის მიერ გამოვლენილი პარალელები: **დილომ-დილუაბ-* "შავი მიწა" : იე **dheghom-* (კლიმოვი, 1994, 51); **ლი-* "შლამი" : იე **lei-* (კლიმოვი, 1994, 121); **ღრმა-* : იე **r(u)ghma* "ხარო, ორმო" (კლიმოვი, 1994, 152);

სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკიდან – გეერდი, კბილი, ფუძე, სისხლი; გ. კლიმოვი ამას უმატებს *ო(θ)პე : იე *ombh- "ჭიპი" (კლიმოვი, 1994, 127); *ქუსლ- : იე *kurs- "ქუსლი" (კლიმოვი, 1994, 147).

რიცხვითი სახელებიდან – პირველი, ექვსი, შვიდი; რიცხვით სახელთ ეს პარალელები, უკვე ფრანც ბოშს ჰქონდა გამოვლენილი. მოგვიანებით გ. კლიმოვმა გაამახვილა უერადლება რიცხვით სახელზე *ოთხ-. ეს დაკავშირებაც უკვე არის მოცემული ფრანც ბოშთან (ბოში, 1847, გვ. 37). გიორგი კლიმოვმა გააცოცხლა იგი და სრული დამაჯერებლობა შესძინა მას. ეს ფორმა პარალელს ჰქონებს ინდოევროპულ ფუძეში *okto- "რვა", რომელიც ორობითი რიცხვის მარკერს შეიცავს და ამდენად ეტიმოლოგიურად "ორჯერ თოხია" (კლიმოვი, 1977; 1994, გვ. 59-63). საინგერესოა, რომ საერთო-ქართველურში ინდოევროპულისგან განსხვავებით ეს ფორმა წარმოდგენილი ამოსავალი სემანტიკით – "თოხი". ორივე წინარეგნაში ფორმები წარმოდგენილია საკუთარი ფონოფაქტიური წესების შესაბამისად: ქართველურში დეცესიური კომპლექსით: -თხ-, ხოლო ინდოევროპულში – აქცესიურით: -kt- (მელიქიშვილი, 2009, 143).

განსაკუთრებით საინგერესოა საერთო-ქართველური *ქართუორმის ინდოევროპული პარალელები, რომელიც გ. მელიქიშვილს აქვს წარმოდგენილი.

*ქართ- არქეტიპი შემდეგი შესატყვისი ფორმების საფუძველზე აღდგება: ქართ. ქართ-ლი, ქართ-ულ-ი, ქართ-ე-ლ-ი : მეგრ. ქორთუ : ლაბ. ქორთ-უ "ქართველი" : სვ. ქარ- "თბილისი".

ამ ფორმისთვის ეგიმოლოგიურ საფუძვლად გ. მელიქიშვილს მიაჩნია სემანტიკა: "შემოტყობილი, შემოზღუდული ადგილი". მართლაც, ქართული ენის დასავლურ კილოებში (იმერულში, გურულში) დასტურდება სიტყვა ქართა მნიშვნელობით "მოღობილი ადგილი საქონლის დასამწყვდევად". გ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ "ქართული წყაროების მიხედვით "ქართლი" უნდა ყოფილიყო ქართლის მეფეების რებიძენციის, დიდი გალავანშემორტყმული ციხე-სიმაგრის თავდაპირველი ადგილი. ქართლის ცხოვრების მიხედვით "ქართლი" ერქვა იმ ადგილს, სადაც დაემკიდრა ქართველთა დეგენდარული მამამთავარი ქართლოსი". ქართლის ასეთ ეტიმოლოგიას მხარს უჭერს ინდოევროპული მასალა, რომელშიც *gherdh-ნიშნავს "გარშემორტყმას, შემოღობგას" (პოკორნი, 444): ბჟ. ინდ. grdh- "სახლი, სავანე", ალბ. garth- "ღობე", ფრიგ. gordum- "ქალაქი, ხეთ. gurta- "ციხე-სიმაგრე", გოთ. garda "საქონლის შემოღობილი ადგილი", gards "სახლი", ბჟ. ისლ. gardr- "ღობე, ებო", ბჟ. სალვ. grad-

"ციხე-სიმაგრე, ქალაქი, ბადი", რუს. *ogorod* "ბადი", *gorod* "ქალაქი". . . როგორც ვხედავთ, ინდოევროპულ სამყაროში ეს ტერმინი ისეთ-სავე გადასელებს ამჟღავნებს, როგორსაც ქართულში. საიმ მივყე-ვართ ამ ქართველურ-ინდოევროპულ ლექსიკურ შეხვედრას? მცირე აზისაკენ (ფრიგიული, პელასგური, ხეთური) თუ ჩრდილოეთისკენ (ბალტურ-სლავურ-გერმანული), სადაც ასევე ჩვენ წინ იშლება ამ ტერმინის ფართო და მრავალმხრივი გავრცელების სურათი? სემან-ტიკურად ამ უკანასკნელთან უფრო მეტი სიახლოეს ჩანს (მცირე აზიაში ეს ტერმინი თითქოს უკვე მარტოოდენ "ციხე-ქალაქის მნიშვნელობისა მოჩანს)" (მცლიერშვილი, 1965, გვ. 240).

წარმოვადგენთ კიდევ ერთი სემანტიკური ჯგუფის მასალას, რომელსაც ჩვენ მოვუყარეთ თავი: **წვნის, ქსოვის, ლოდვის** აღმ-ნიშვნელ ქართველურ-ინდოევროპულ პარალელებს. ამ სემანტიკურ ველში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა პარალელები. ვფიქრობთ, ეს ლექსიკური ჯგუფი წინარე ენათა კულტურულ-სამეცენაციო ცხოვრებისა და მათი ერთობისა თუ ურთიერთობის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მატარებელია.

ბმის, კვანძვის, ქსოვის, წვნის აღმნიშვნელი სემანტიკური ველი საკმათლ დიფერენცირებულად არის წარმოდგენილი როგორც ქართველურ, ისე ინდოევროპულ ფუძე ენაში. როგორც ჩანს, ეს საქმიანობა ფუძე-ენათა დონეზე განვითარებული და დიფერენცირებული იყო, სავარაუდოა, შესაბამისი ლექსიკის დიფერენცირებას იწვევდა მასალის და ფუნქციის განსხვავება.

ვლინდება ინდოევროპულ-ქართველური დაკავშირებების სამი ჯგუფი. ჩვენ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

I. საერთო-ქართველურში შეიძლება გამოვყოთ "შეკვრის, გადაბმის, წვნის, ქსოვის" აღმნიშვნელი ფორმები, რომელთაც ფონეტიკური სიახლოეს აქვთ — ყველა შეიცავს /ბ/ ფონემას. ესენია:

1. ქართვ. *ბ-/ბ-ამ- : ინდოევრ. "ბმა"

ქართ. ბ- ვ-ა-ბ-ამ, ბ-ბ-ა : მეგრ. ბ-უმ-აფ-ა : ლაბ. ვო-ვ-ო-ბ-უ-ამ : სვ. ლო-ბ-ემ;

შესატყვისობა გვაქვს როგორც მირის, ისე ფუძის დონეზე: ქართ. ბამ- : მეგრ.ლაბ. ბუმ- და სვ. ბემ- შესატყვისი ფუძეებია (ფენრიხი, სარჯველაძე, 88-89).

2. ქართვ. (ქართ-მეგრ) *ბენ-/ბინ-/ბნ- "შეკვრა, შებნევა"

ქართ. ბნ- შებნევა : მეგრ. ბინ- ბინ-უ-ა "შეკვრა, შებნევა" (ფენრიხი, სარჯველაძე, 102).

3. ქართვ. *ბანდ- "მსხვილად წვნა, ქსოვა"

ქართ. ბანდ-ვ-ა : მეგრ. ბონდ- "დაწნული" : სვ. ბანდ- "კერვა" ლი-ბანდ-ე "დაკერება" (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 93).

4. ქართ. განური *ბანდღ- "ქსელვა"

ქართ. ბანდღ- "ობობის ქსელი, დაქსელვა" : მეფრ. ბონდღ- id. დაკავშირება ეკუთვნის ს. ქლენგს. გაზიარებულია ფენრიხისა და სარჯველაძის მიერ. (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 93-4).

5. საერთო-ქართვ. *ბადე- "ბადე"

ქართ. ბად-ე "ბადე, ობობას ქსელი"

სულხან-საბა: "ბადედ ითქმის ქსელი დედაბარდლისა" : ლაბ. ბოდ-ა : სვ. ბად-/ბად- "ბადე, ობობას ქსელი" (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 91).

საერთო-ინდოევროპულშიც რამდენიმე ძირი და ფუძე დასტურდება ამავე სემანტიკისა და /bh/ ფონემის შემცველი:

1. *bheidh- „შეკვრა, წვნა“ (პოკორნი, 117)
2. *bhidh- „დაწწული“ (პოკორნი, 153)
3. *bhendh- „შეკვრა“ (პოკორნი, 127)
4. *bher- „წვნა, ქსოვა“ (პოკორნი, 137)
5. *bhrū- "ქსოვილი" (პოკორნი, 137)
6. *bhasko- „კონა, შეკრული“ (პოკორნი, 111)

ვფიქრობთ, ფონოსემანტიკური სიახლოვე ფორმათა როგორც ქართველურ, ისე ინდოევროპულ ენათა ჯგუფში საფუძველს გვაძლევს მათი ურთიერთკავშირი ვივარაულოთ და ისინი ერთი ძირი-დან ნაწარმოებ ფორმებად მივიჩნიოთ. ქართველურში ვხედავთ -b-, -d-, -n-, -nd- დაბოლოებებს; ინდოევროპულში - -dh-, -ndh-, -r-, -sko ბოლოკიდურ ელემენტებს. საინტერესოა, რომ ძირი ელემენტარული სახით, *b-, რომელიც წარმოებების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ, ქართველურშია დადასტურებული.

ამ ფორმათაგან ერთმანეთთან შესაბლებელია დავაკავშიროთ შემდეგი ერთეულები:

1. ქართვ. *ბანდ- "მსხვილად წვნა, ქსოვა" (ქართველური ფორმები იხ. გემოთ).

ინდოევრ. *bhendh- "შეკვრა" ინდოარიული *band-

ძ. ინდ. badhnati/bandhati "კრავს", bandayati id. ავ. banda, გოთ. Bandi, bindan, ძ. ისლ. binda, ძ. ბ. გერმ. bintan, თრაკ. bend-, ბერძ. pentheros (Pokorny, 127).

2. ამავე ინდოევროპულ ფორმასთან აკავშირებს გ. კლიმოვი ქართულ-განური ერთიანობის დონეზე აღდგენილ *ბანდღ- ფორმას. (კლიმოვი, 1994, გვ. 94-95).

ქართვ. *ბანდი-ის ინდოევრ. *bhendh-თან დაკავშირება პირველად შემთავაზებულია ილიჩ-სვიტიჩის მიერ (ილიჩ-სვიტიჩი, 1971, 194). იგი გაზიარებულია გ. კლიმოვის მიერ (კლიმოვი, 1994, გვ. 93-94).

მისი აბრით, ქართველური ფორმა ინდო-ირანულ ფორმასთან იჩენს სიხლოვეს და ამ ენობრივ წრესთან შეიძლება მისი დაკავშირება. თუმცა, ზემოთ წარმოდგენილი გერმანიკული, თრაკიული, ბერმნული ფორმები საერთო-ინდოევროპულ ღონებები აღგვადგენინებს მსგავს ფორმას. ინდო-არიულთან ქართველურ ფორმას გახმოვანება აახლოვებს. გ. კლიმოვი ქართველურ არქეტის ქართულ-ბანური ერთობის ხანას უკავშირდება და ამ დონეზე ინდოირანულიდან სესხება მას შესაძლებლად მიაჩნია, რადგან თანამედროვე კვლევებმა ინდო-ირანული ენობრივი წრის გამოყოფის პროცესი დროის სიღრმეში გადაიგანებს. კლიმოვი მიუთითებს მაირპოფერისა და კამენჭებრის თვალსაზრისს ჩვ. წელთაღრიცხვებამდე II ათას-წლეულის პირველ ნახევარში წინა აბიაში ინდოარიულთა გავრცელების შესახებ (კლიმოვი, 1994, გვ. 95).

ჩვენ ვუიქრობთ, რომ შესაბამისი ფორმების დადასტურება სხვა ენობრივ წრეებში, მაგ. გერმანიკულში და სხვაგანაც, ამას გარდა, ქართველურ ენებში მრავალი სემანტიკურ/ფორმალური დერივაცის არსებობა (ბლანდვა, ბანდლვა, ბადვ), შესაბამისი ძირისა *b- და მარცივი უუძის *bēn-/bən-/b- არსებობა გენეტურად საერთო მასალაბე შეიძლება მიუთითებდნენ. შესაძლებელია, წარმოებისათვის ამოსავლად ქართველურსა და ინდოევროპულში *b- ფონემის შემცველი მარცივი ძირი მივიჩნიოთ. ღოგორც ქართველური, ისე ინდოევროპული ფორმები *bānd-/ *bāndl-, *bhendh- აგებულებით უუძებების შთაბეჭდილებას უფრო ახდენენ, ვიდრე ძირებისას.

ფორმათა ამ ჯგუფებიდან ერთმანეთს კიდევ შეიძლება დავუკავშიროთ:

3. საერთო-ქართვ. *ბადე- "ბადე" (იხ. ზემოთ. ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 91) და ინდოევროპული *bheidh- *bhidh- „დაწეული“ (პოკორინი, 127);

ორივე შემთხვევაში ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს "ნაჭსოვი, დაწეული".

II. საინგერესოა ინდოევროპული **nebh- "ქსოვა, წვნა, აქეთიქით მოძრაობა, ფუთფუთი" არქეტი, ძვ. ინდ. *ubhnati* "კრავს", *ur-na-vabhi-h* "ობობა", ბერმბ. *hyphe-* "ქსოვა", ძვ. 8. გერმ. *webbi* "ქსოვილი", *weban* "ქსოვა, წვნა, რთვა", ანგ-საქს. *wefan*, *webb*, ფოქ. *wær-* "ქსოვა" (Pokorny, 114), რომელთანაც სამი განსხვავებული ქართველური ფორმა შეიძლება დავაკავშიროთ:

1. საერთო-ქართვ. *ობობა-

გიორგი კლიმოვი აღვენს შესატყვისობებს ქართველურ ენებს შორის და კითხვის ნიშნით აღადგენს საერთო-ქართველურ ღონებებს:

ქართ. ობობა : მეგრ. ბორბო-ლ-ია : ლაბ. ბობო-ნჭვა : სვან. ოფოფა, ტოფოფა (კლიმოვი, 1998, 145).

ფორმბა აშეარად რედუპლიცირებულია. შესაძლებლად გვესახება ამ ფორმის საფუძვლად მყოფი ძირი წარმოვადგინოთ როგორც *ობ-. ეს ძირი კი შესატყვისს პოულობს ინდოევროპულ ძირთან **nebh-*"ქსოვა, წვნა, აქეთ-აქით მოძრაობა, ფუთიფუთი".

2. საერთო-ქართვ. *ღუებ-/ღობ- : ინდოევროპული (*H*)*nebh-* (კლიმოვი, 1994, გვ. 72-73).

ქართ. ღობ- ღობ-ე, ღობავს : მეგრ. ღობ- ღობ-ერ-ი, ღობ-უ-ა : ლაბ. ღობ- "ღობე" (წული), ო-ღობ-უ "ღობვა" : სვ. ღობ-/ღუებ-/ღბ- "სკა". (ფეხრიხი, სარჯველაძე, 2000, 513). გ. კლიმოვი აკავშირებს ინდოევროპულ *nebh-* ან (*H*)*nebh-* ფორმასთან მნიშვნელობით "წვნა, ქსოვა" ; გ. კლიმოვს ეკუთვნის საინტერესო დაკვირვება, რომ ინდოევროპულ ძირებს *w/ū* ანლაუტით ქართველურში ღუ შეესაბამება. ეს მას საფუძველს აძლევს ინდოევროპულ ფორმებში თავკიადური ლარინგალი აღადგინოს.

3. საერთო-ქართვ. *ღუედ- : ინდოევროპული (*H*)*ned-* "შეკვრა, მიბმა" (კლიმოვი, 1994, გვ. 74-75).

ქართ. ღვედ- : მეგრ. ღვედ- : ლაბ. ღვედ- : სვ. ღუედ-

ქართველურ-ინდოევროპული მასალა პირველად შეაპირისპირა გ. ჯაუკიანმა. დაკავშირება გამიარებულია გ. კლიმოვის მიერ.

გვ. ინდ. *vadhra* "ტყავის ღვედი", გვ. ირლ. *sedan* "შესაბმელი" კიმრ. *gwedd-* "ღღელი", გვ. ბ. გერმ. *vetan* "მიბმა, ჟღელში შებმა" (პოკორნი, 1116).

ქართველურში ორი შესატყვისი აღმოაჩნდა ინდოევროპული ფორმის ანლაუტის ն-ს.

ეს შეიძლება აიხსნას ან პოზიციურად, ან მიმართების განსხვებული ხასიათით.

III. არსებობს კიდევ ერთი საინტერესო პარალელი ამ სემანტიკურ ჯგუფში:

ქართ-გან. *თხაბ-/თხბ- (ფეხრიხი, სარჯველაძე, 2000, 245) : ინდოევროპული **tek-/teks-* "ქსოვა, წვნა" (Pokorný, 1058).

ქართ. თხაბ-/თხბ- თხბვა, თხბვლი, ნათხბენი : მეგრ. თხობ- თხობება : ლაბ. თხობ-/ნთხობ- თხობებუ "წვნა" ვითხობუ "ვიწნავ" თხობერი "ნაწნავი". ქართული ფორმა დასტურდება უკვე მველ ქართულში. მეგრულ-ლატურ ფორმებში გვაქვს ხმოვანთა შესატყვისობა. ქართველური და ინდოევროპული ფორმები პირველად ერთმანეთს დაუკავშირა გ. ჯაუკიანმა (ჯაუკიანი, 1967, გვ.75). მან ქართველური ფორმა შეუთანადა ინდოევროპულ **tek-*-ს "ქსოვა,

"წვნა". გ. კლიმოვმა ინდოევროპულ შესატყვისად არჩია ფორმა *teks- "ქსოვა, წვნა" (კლიმოვი, 1994, გვ. 114-116).

ძვ. ინდ. *taksati*, ოს. *taxun* "ქსოვა", *an-dax* "ძაფი", სომხ. *tekem* "ვწნავ", ლათ. *texere*, *texo*, *textor* ხეთ. *takš*, *takkeš-*, ძვ. სლავ. *tъkati* "ქსოვა". გ. კლიმოვი გახაბავს იმ საინტერესო ფაქტს, რომ ორივე ენათა წყებაში გაგქნას მნიშვნელობის განვითარება "თხზვა, თხბუ-ლება, ტექსტი".

დაბოლოს, საინტერესოა ქართული კვანძი, კვანძ-აფ-ს (შესაძლებელია მათთან გავაერთიანოთ კუნძი-ც და ეგებ კონა-, შე-კონ-ვა-ც) ფორმების მსგავსება გერმანიკულ ფორმებთან - გერმ. *Knoten* "კვანძი", ინგლ. *knot* "კვანძი", შვედ. *knut* id. ეს პარალელი სხვა რიგისაა: ქართველური ფორმა მხოლოდ ქართულში გეხვდება, ხოლო ინდოევროპული ფორმა გერმანიკულში ჩანს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველურ-ინდოევროპული ლექსიკური პარალელები მრავალრიცხვანია და ბევრ სემანტიკურ ჯგუფს მოიცავს. ჩვენ მათგან მხოლოდ ზოგიერთი წარმოვადგინეთ. საერთო ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფებად შესწავლა შესაძლებლობას მოვცემს ამ ფუძე ენათა მატარებელი ხალხების საცხოვისისა და კულტურულ-სამეცნიერებო ღონის შესახებ წარმოდგენა შევიქმნათ მათი ერთიანობისა თუ ინტენსიური კონტაქტის პერიოდისათვის.

ლიტერატურა

ბოპი, 1947 - Bopp Fr., Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstamms, Berlin.

გამყრელიძე, ივანოვი, 1984 – Т. В. Гамкрелидзе и В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тбилиси.

გამყრელიძე 2002 – თ. გამყრელიძე, "მტკვარი" პიდონიმის ეტიმოლოგიისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, 4.

გლეი, 1902 - А. Глейе, Арио-европейские, а в частности иллирийские элементы в грузинском языке, СМОМПК, т. XXXI, 4.

გეორგივი, 1958 - В. Георгиев., Исследования по сравнительно-историческому языкознанию, Москва.

გოხენბერგი, 1959 - L.W. Eichenberg, Etymologien vorindogermanischen Wörter aus orientalischen Sprachen, Freiburg.

კლიმოვი, 1962 - Г. А. Климов, Из опыта работы над сравнительно-историческим словарем карельских языков, ВЯ, 3.

კლიმოვი, 1964 - Г. А. Климов, Этимологический словарь карельских языков, Москва.

- ქლიმოვი, 1994 - Г. А. Климов, Древнейшие индоевропеизмы картвельских языков, Москва.
- ლაფონი, 1934 - R. Lafon, Mots Méditerranéens en Géorgien et dans quelques autres langues caucasiennes, Revue des Études Anciennes, XXXVI, Paris.
- მელიქიშვილი გ. 1965 – გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი.
- მელიქიშვილი ი. 2002 – ი. მელიქიშვილი, ენათა კონტაქტების ოეორია და ქართველურ-ინდოევროპული გენეტური ურთიერთმიმართების საკითხები, კრებული: ქართველი ერის ეთნოგენეზი, თბილისი.
- მელიქიშვილი ი. 2009 – ი. მელიქიშვილი, ძირის სტრუქტურათა ტიპოლოგია და საერთო-ქართველური ძირი, თბილისი, 2009.
- პოკორნი, 1959 – J. Pokorny, Indogermanisches etymologisches Wörterbuch, Bern.
- პოლაკი, 1946 - V. Polak, K problemu lexikalních shod mezi jazyky kavkazskymi a jazyky slovanskymi LF, 70.
- ტაგლიანი, 1926 - C. Tagliavini, Beiträge zur Etymologie und Semantik mit besonderer Berücksichtigung der kaukasischen Sprachen, Caucasica, 3.
- ფოგტი, 1938 - H. Vogt, Armenien et Caucasicus du Sud, Nosk Tidskrift for Sprogvidenskap, IX.
- წერეთელი, 1959 – M. Tsereteli, Das Schumerische und Georgische, RK, N. S. VI-VII, N32-33.

Irine Melikishvili

INDO-EUROPEAN LEXICAL PARALLELS IN THE WORKS OF GIORGI MELIKISHVILI

In his work "About the Problem of Ancient Population of Georgia, Caucasus and Near East", Tbilisi, 1965 Giorgi Melikishvili discusses the problem of the ethnical identification of the archeological culture of "Mtkvari-Arax" on the bases of the linguistic data of lexical parallels between the Common-Kartvelian and Common-Indo-European. The data is presented as semantic classes of animals, plants, landscape, parts of body, numerals etc. In the article the possibility of widening of the semantic classes of the lexical parallels is shown and the class of parallels denoting "knitting, weaving, binding, sowing" is added.

კონსტანტინე ფიცხულაური

ქვ.წ. II-ი ათასწლეულების 6030ლიგაცია სამხრეთ
ქავების მიმდევადი

სახელმწიფო ბრიობის სათავეების ძიების პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია საქართველოს ისტორიოგრაფიაში. უკანასკნელ დრომდე ამ მიმართულებით მუშაობისას ძირითადად ძველაღმოსავლური, ბერძნული, რომაული და ძველი ქართული წერილობითი წყაროებით ხელმძღვანელობდნენ [მელიქიშვილი, 1989; გიორგაძე, 2001, 6-20; მუსხელიშვილი, 2001, 4-5; ლორთქიშვილი, 2001, 31-97; ლორთქიშვილი, 2001, 136-141; 2007, 148-152; ყორანაშვილი, 2001, 98-134; 2002, 103-189].

ბოლო წლებში ივრის ბეგანზე (სურ. 1), არქეოლოგიური და გერვების, საფელიტური და აეროფოტოგადაღებების დეშიფრაციის შედეგად გამოვლინდა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების პროფოქალაქური და სახლებების მთვლი სისტემა, რომლის სტაციონარული არქეოლოგიური შესწავლა, ვფიქრობ, მეტ სიცხადეს შეიტანს ამ პრობლემის მეცნიერულ დამტკავებაში.

ამ საფუძველზე შესაძლოა კარდინალურად შეიცვალოს კავკასიის ტერიტორიაზე უძველესი სახელმწიფოების აღმოცენებისა და განვითარების კვლევის პერსპექტივა, ერთ ბლოკში გაერთიანდეს იგი წინააბითურ ცივილიზაციებთან და სრულიად ახლებურად დააყენოს ამ რეგიონში სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოყალიბების პრობლემა.

კავკასიური კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი საფუძველია შიდა, მდიდარი ბუნებრივი რესურსები და ამ მყარ საძირკველზე აღმოცენებული საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა.

ამასთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში კავკასიური კულტურის წინსელის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს გარე სამყაროსთან აქტიური კონტაქტები და განსაკუთრებით კი ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან მეტობლობა.

კავკასია, ორ ბლვას შორის მდებარე ხმელეთის ეს ვიწრო ბოლო, ორი სამყაროს – ევროპისა და აზიის ერთ-ერთი ძირითადი დამაკავშირებელი რეგოლი და, ბუნებრივია, აქ გამავალი სატრანზიტო გზებით იგი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაშია ჩართული, ისტორიის ყველა საფეხურზე.

მთაგორიან კავკასიაში ეს გზები მიემართება ამ თვალსაზრისით ყველაბევრ მოსახურებელი მარშრუტებით, უმთავრესად მდინარეთა ხეობებით. გეოგრაფიული გარემოთი განპირობებული, მთათა შორის გამავალი ეს მაგისტრალები ტრადიციული და სტაბილური იყო, თუმცა, როგორც თვით კავკასიაში, ისე გარე სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ და კონომიკურ პროცესებთან კავშირში ისინი ხან აქტიურად იყო დაგვიროველი, ხან კი სრულიად წყვეტდა ფუნქციონირებას. ამაზე დამაჯერებლად მიგვითითებს არქეოლოგიურ ძეგლთა განლაგების ტოპოგრაფია, რომელიც ამ გზების გასწვრივ ფიქსირდება.

სამხრეთ კავკასიაში ამგვარ ძირითად არტერიებს წარმოადგენდა მდინარეების – მტკვრის, რიონისა და არაქსის დაბლობები და ის ხეობები, რომლებიც დიდი კავკასიონის ქედის უმთავრეს – ჯვრის და მამისონის უღელტეხილებს უკავშირდება. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით გამოყენებული იყო შავი და კასპიის ზღვების სანაპირო ბოლებიც.

სრულიად ცხადია, რომ ამ ძირითადი საგზაო მაგისტრალების პარალელურად, სამხრეთ კავკასიაში არსებობდა მათი განშტოებებიც, ასევე მდინარეთა ხეობების გაყოლებით, რომლებიც ბუნებრივ რესურსებთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ ამა თუ იმ კუთხის ადგილობრივი კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაში და სიცოცხლისუნარიანობას მატებდნენ ძირითად საგრანტიფო არტერიებს.

როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის ამგვარი, ბუნებრივი პირობებით მდიდარ რეგიონზე გამავალი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები შიდა საგზაო მაგისტრალი უნდა ყოფილიყო, მდინარე მტკვრის პარალელურად, ივრის ხეობის გაყოლებითაც (იხ. სურ. 1), რომელიც საუკუნეების განმავლობაში მეტნა კლები აქტიურობით ფუნქციონირებდა. ჩვენ ხელთ არსებულ, ძალიან ნაკლებ ფაქტობრივ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, მის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს დღეს არსებული ტექნიკური შესაძლებლობებით – კერძოდ, სატელიტური და აეროფოტო მასალების დეშიფრირების შედეგად მიღებული ინფორმაციაც. ამ მონაცემებით ივრისპირებში და მთლიანად ივრის ზეგანზე, მიმდებარე მტკვრის დაბლობის ჩათვლით, დაფიქსირდა ეპოქალურად მკვეთრად ცვალებადი რაოდენობის არქეოლოგიური ძეგლები. მისი ერთი ნაწილი, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება და მრავალი ღირსშესანიშნავი თავისებურებით

გამოირჩევა.¹ კერძოდ, ივრის ბეგანზე, ყოველი 3-4 კილომეტრის მანძილზე განუენილია მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემით დაცული ამ დროის დიდი დასახლებები, რომლებიც, როგორც წესი, ორი ნაწილისაგან შედგება. მთის თხემზე განლაგებულია ციფადელი, რომელიც რამდენიმე მძლავრი გალავნით და თავდაცვითი თხრილით არის გარშემორტყმული. უშეაღლო მათ გაგრძელებას მთის ფერდობზე კი წარმოადგენს ტერასებად დაგეგმარებული საცხოვრებელი კვარტალები, რომლებიც ასევე მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით არის დაცული (სურ. 2,3,4,5,6). იშვიათად, მაგრამ მაინც, არის რამდენიმე შემთხვევა განსაკუთრებით მძლავრი თავდაცვითი სისტემით გამაგრებული ამ დროის ნამოსახლარების აღმოჩენისა ივრის ბეგნის ვაკობ ადგილებში – კერძოდ, დიდი შირაქის ველზე. აქაც ისინი ორწილადია – ციფადელი და მისი გარე დასახლება. თუმცა, ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს მათი განსაკუთრებით მომზრდილი მასშტაბები (სურ. 5).

ივრის ბეგანზე ამ დროის დიდი დასახლებების ირგვლივ უმეტესწილად გვხვდება მცირე დასახლებებიც. ისინი თითქმის ყოველთვის კომპაქტურ ჯგუფებად არის განლაგებული და, ვყიქრობ, მათი გააზრება კომპლექსურად, ერთობლიობაშია აუცილებელი. ეს სრულიად რეალურად მეტვენება, რადგან ერთი აეროფოტოს დეშიფრირების მიხედვით, ნაბარლების მთიანეთში, რამდენიმე ასეთი დასახლების ირგვლივ თითქოს ერთი, საერთო გალავნის არსებობაც კი ფიქსირდება. თუმცა, სრულიად აშკარად, ამ შემთხვევაშიც ყელა ცალკეულ მცირე დასახლებას ირგვლივ დიდი დასახლებების მსგავსი დავდაცვითი ნაგებობები ზღუდავს.

აერო და სატელიფურ გადაღების კარგად იკითხება, რომ დიდი დასახლებების უმეტესი ნაწილი წინასწარ შედგენილი პროექტის მიხედვით, ერთდროულად ჩანს აგებული. ამაზე მიგვითთებს გალავნის შიგნით განლაგებული სათავსოების მწყობრი გეგმარება და თვით თავდაცვითი ნაგებობები, რომლებიც ერთიან, რელიეფთან კარგად შერწყმულ, მძლავრ საფორტიფიკაციო სისტემას წარმოადგენს (სურ. 2-7).

დიდი დასახლებების დამცავ გალავნებში ჩართულია კარიბჭეები, რომლებიც საგანგებოდა გამაგრებული მძლავრი თოხკუთხი

¹ არსებობს რიგი მინიშნება, რომ ივრის ბეგანზე გავრცელებული ძვ.წ. II ათასწლეულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების კულტურის ძეგლები ერთ ბლოკშია განსახილებული მეტობელი რეგიონების და განსაკუთრებით მდინარე მტკვრის შეა დინების დაბლობის არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, როგორც მოგადად – შინაარსობრივიად, ისე კონკრეტულად – სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

კოშკებით. ამასთან ერთად, ციტადელის საფორტიფიკაციო სისტემაში სხვადასხვა გაღავნის კარიბჭე ერთიმეტორის მიმართ ერთ ხაზე არასოდეს არ არის განლაგებული, რათა მომხდურს მაქსიმალურად დიდი სიძნელეები შექმნოდა ციტადელის ცენტრალურ ნაწილში შესაღწევად. ამავე მიზნით, რიგ შემთხვევაში, გარე კარიბჭე ციტადელს უკავშირდება საგანგებო, ვიწრო, ორი მხრიდან მდლავრი გაღანით დაცული დერეფნით.

ამგვარად, ამ დასახლებების თავდაცვითი ნაგებობების გეგმარების ჩემთვის ცნობილი თითქმის ყველა დეფალი წინააბიური ქალაქების თავდაცვითი სისტემის იდენტურია [Hoofdstuk, 1947; Bittel, Naumann, 1952].

ეს თანაბრად შექება ივრის ზეგანზე დაფიქსირებული ამ დროის ყველა დასახლების საფორტიფიკაციო ნაგებობების სამშენებლო ტექნიკისაც. ეს არის ქვის მოზრდილი ბლოკების მშრალი წყობით ნაგებ, 4-5 მეტრის სიგანის საძირკველზე ამოყვანილი, დიდი ხის მორების ბადური, პორიზონტალურად განლაგებული დაფენებები, რომელთა ღია დანართით ამგვარად აგებული გაღავნის შიდა და გარე მხარე, როგორც ჩანს, იფარებოდა წნული სარ-ლასტით და შემდეგ ილესებოდა თიხის სქელი ფენით. ამ კონსტრუქციის აღდგენა შესაძლებელი გახდა დედოფლისწყაროსთან "ტახტიფერდას" ძვ.წ. XVII-XVI საუკუნეების ნაციხარის გათხრების დროს. აღნიშნული ძეგლი მიწისძვრისა და მდლავრი ხანძრის შედეგად ჩანს განადგურებული, რის გამოც მისი გაღავნისა და ოთხკუთხი კოშკების მშენებლობის ამგვარი წყობა კარგად ფიქსირდება დამწვარი ძელებისა და სხვა ბევრი მონაცემის მიხედვით. მხოლოდ ამ აღმოჩენის შედევგად გახდა შესაძლებელი იმის ახსნა, თუ რაგომიყო ივრის ზეგანზე ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის ნამოსახლართა ციტადელების ირგვლივ არსებული გაღავნების ქვის საძირკვლები დაფარული წვრილი ქვა-ღორლის სქელი ფენით. ქვის საძირკვლებზე ამგვარი ყრილები გვხვდება ივრის ზეგნის თითქმის ყველა დასახლების ციტადელის და ხშირად ქვედა დასახლების ორგვლივაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ დამცავი ნაგებობების მშენებლობის ეს ტექნიკა, ისევე როგორც მთელ წინა აზიაში (Naumann, 1971), ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში ივრის ზეგანზეც ტრადიციულია. დამცავი კედლების ამგვარი კონსტრუქციის არსებობა ივრის ზეგანზე კარგად დაადასტურა ძვ.წ. XII-XI სს. უდაბნოს ქალაქერი ტიპის დასახლებების გათხრებმაც [Pitskhelauri, 2002; Korfmann, Picxelauri, Bertram, Kastl, 2003]. არსებითია, რომ იყი

სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიურ ძეგლები მოგვიანებითაც გვხვდება.

სატელიფური და აეროფოტოგადაღებების დეშიფრირება ხშირად საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ამ დასახლებების წყალმომარაგების საკმაოდ რთული სისტემაც, რომელიც როგორც ჩანს, მთის თხემზე არსებულ ციფრულს საიდუმლო გვირაბებით აკავშირებდა წყლის რესურსებთან. აღნიშნული დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა საკმაოდ რთულია და დიდ საინჟინრო ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვდა. იგი, ისევე როგორც ამ დროისათვის გრანიტობული თავდაცვითი სისტემების დაგეგმარება და მშენებლობა, უაღრესად შრომაგევად სამუშაოებთან არის დაკავშირებული, რაც მძლავრი და სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომი საზოგადოების მიერ ადამიანთა მნიშვნელოვანი მასების კარგ ორგანიზაციაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ივრის ბეგანზე, გარდა ნამთსახლართა კარგად გააზრებული ტოპოგრაფიული განლაგებისა და ერთიმეორის მსგავსი სამშენებლო ტექნიკით ნაგები, მწყობრად დაგეგმარებული მძლავრი საფორტიფიკაციით და საცხოვრებელი კვარტალების ერთიანი ხასიათისა, გამოირჩევა დახვეწილი ტექნოლოგიით დამზადებული კერამიკული და ბრინჯაოს ნაწარმის იდენტურობითაც.

ივრის ბეგანზე განსაკუთრებული სიმრავლით იქცევს ყურადღებას ამ დროის ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი – მახვილები, სატევრები, სხვადასხვა ზომის და დანიშნულების შუბისპირები, ცულები, ისრისპირები და სხვ. [Picchelauri, 1997. Taf. 11-26; 37-46, 47 (627-630), 51-61, 62(955-957), 72-86, 99-102], (სურ. 7).

თუ ამ დროის შესწავლილი სამარხების მიხედვით ვიმსჯელებთ, თითქმის ყველა მამაკაცი, თავის სამოქალაქო საქმიანობასთან ერთად, ერთდროულად მეომარიც იყო, რადგან, როგორც წესი, საომარი იარაღის თანხლებით არის დაკრძალული. ამ შემთხვევაში კი ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საბოგადოებას, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო მრავალრიცხოვანი და ძლიერი ლაშქრის შეკრება.

ამ დროის საბრძოლო იარაღის საჩამომსხმელო ტექნიკა და კონსტრუქცია, თავისი მაღალი დონით და დახვეწილობით, გამორჩეულია მთელ გარე სამყაროში.

ჩვენ თემაგიასთან დაკავშირებით აუცილებელია შევჩერდეთ ბრინჯაოს ე.წ. ბოლოკვეთილ მახვილებზე [Picchelauri, 1997, Taf. 37-44; Pizchelauri, 1984, Abb. 45, 46, 55-58, 63], (სურ. 8). მას აქვს ლი-

თონის ძლიერი ტარი, განიერი და გრძელი სამუშაო პირი კი ორ-პირლესილია, ბოლოში მომრგვალებული ან წაკვეთილი, რომელიც საგანგებოდ არის გამსხვილებული და დამძიმებული, რაც მას გან-საკუთრებულ საჩეს ფუნქციას ანიჭებს. ამ მახვილების მოზრდილი ზომები და სიმძიმე გვაფიქრებინებს, რომ ისინი მხოლოდ მხე-დროსთვის იყო გათვალისწინებული და კონკრეტულად ცხენდაცხენ საჩენი დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ასევე, ღრმა ანალიზის შედე-გად არის ჩამოყალიბებული მათი თანადროული, ივრისა და ალაზ-ნის ბერთ დინებისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს მოკლე მახ-ვილების ყველა დეტალი. მათი საბრძოლო პირის ბოლო ასევე გამსხვილებულია, დამძიმებული და საჩეს ფუნქციას აფარებს, მა-გრამ ისინი, როგორც ჩანს, ფეხსანი მეომრებისთვის არის გან-კუთვნილი და, შესაბამისად, ორჯერ უფრო მოკლეა და მსუბუქი [Picchelauri, 1997, Taf. 45, 46(610-620)], (სურ. 7).

ბრინჯაოს გრძელი ბოლოკეთილი მახვილების დიდი რაოდე-ნობა და მათი მხოლოდ ცხენდაცხენ სახმარი დანიშნულება, ცხადია, მიგვახიშნებს, რომ ივრის ბეგნის თანადროულ საბოგადოებას შეეძლო ომის შემთხვევაში ლაშქარში ჰყოლოდა საკმაოდ მრავა-ლოიცხოვანი ცხენოსანთა შეიარაღებული ერთეულებიც უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციონალური დაგვირთვით. ამის დასტური უნ-და იყოს ისიც, რომ ივრის ბეგნის ძეგლებზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ბრინჯაოს და რკინის ლაგმები. კერძოდ, ამ დანიშნულების ნივთები მელაპანის ომის დათავის ტაბარში ათეულობით არის შენაწირი დიდ ჯგუ-ფებად [Picchelauri, 1997, Taf. 92; Pizchelauri, 1984, Abb. 53,54], (სურ. 7), რაც ამ პერიოდში ცხენოსნობის განსაკუთრებულ განვითარე-ბაზე მიგვითითებს.

ივრის ბეგნის ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების საბოგადოების მნიშვნელოვან სოციალურ დაწინაურებაზე და დიდ სამხედრო პოტენციალზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ, როგორც ჩანს, მათ სამხედრო აღ-ჭურვილობაში ჰქონდათ საბრძოლო ეტლებიც, რაც სამხედრო შენა-ერთეულში რეგულარული ნაწილების არსებობასც არ უნდა გამო-რიცხავდეს. ამაზე კონკრეტულად მიგვითითებს დედოფლისწყა-როსთან, მთა გოხებზე, სამლოცველოზე აღმოჩენილი საბრძოლო ეფლის ბრინჯაოს ცხენებშებმული მოდელი [Pizchelauri, 1984, Abb. 62], (სურ. 10), რომელიც თანმხლები მასალის მიხედვით კარგად თა-რიღ-დება ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით. არსებითია, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში საბრძოლო ეტლი უკვე ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებიდან ჩნდება, როდესაც მთელ ამ რე-

გიორგი, ივრის ბეგნის ჩათვლით, ჯერ კიდევ ერთიანი კულტურის არსებობადა დაღვენილი [ფილხელაური, 1973, 148, 161, 163, 164; ფილხელაური კ.კ., 2005]. ამას გვიდასტურებს სევანისპირეთში, ლჭაშენის სამარხებში საბრძოლო ეტლების ბრინჯაოს მოდელების აღმოჩენა [Мнацаканян, 1960, рис. 5,7; Деведжян, 1981, рис. 6; Esayan, 1990, Abb. 4,5], (ც.ერ. 9).

თუ ყოველივე ბემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, არ უნდა გამოირიცხოს, რომ ძვწ. II ათასწლეულის ბოლოს და უფრო კი ძვწ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში არსებობდა საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ჰქონდა საფორტიფიკაციო ნაგებობებით სიმედოდ გამაგრებული დასახლებები და საჭიროების შემთხვევაში ბრძოლის წინ შეეძლო შეეკრიბა კარგად შეიარაღებული ლაშქარი ქვეითი, ცხენოსახი და საბრძოლო ეტლების ქვეგანაყოფებით და ევექტური წინააღმდეგობა გაეწია საუკეთესოდ შეიარაღებული საჯარისო ნაწილების შემოსევისათვის.

მე დასაშვებად მიმაჩნია ვიფიქროთ, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, სწორედ ამგვარი ძალა აღვდგა წინ ურარტუს ძლიერ სამხედრო შენართებს და შეაჩერა მისი წინსვლა ჩრდილოეთით. ამაზე შეიძლება მიგვითოთებდეს ის, რომ სევანის ტბის მიდამოები ურარტული კულტურის ძეგლების ჩრდილოეთით გავრცელების მკვეთრი საზღვარია. უფრო ღრმად კი სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მთლიან თითო-თოროლა ურარტული ნივთის აღმოჩენაა დაღასტურებული [ფიცხელაური, 1965, ფაბ. XIV(3); ფიცხელაური, 1973, გვ. 164; Kossak, 1983, Abb. 29,30; Погребова, 1967], რაც, არ არის გამორიცხული, სამხედრო ნადავლს წარმოადგინდა.

მაგრამ, ცხადია, ყოველივე ამასთან ერთად, პირველ რიგში აუცილებელია იმ ეკონომიკური საფუძვლების ძიება, რაც ამ, ჩემს მიერ დასაშვებად მიჩნეული ცივილიზაციის ჩამოყალიბების მირთადი საფუძველი შეიძლება ყოველიყო.

ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნა სამხრეთ კავკასიაში ეს ის ეპოქაა, როდესაც საბოგადოება ეუფლება რეინის წარმოებას. მეცნიერებაში მიღებული თებაა, რომ აღნიშნული სიახლე მეტალურგიულ წარმოებაში ძირულების განვითარების ტექნიკს, რის გამოც მას რევოლუციურ როლს ანიჭებენ ადამიანის საზოგადოების წინსვლის მროւესში. ამგარად, საერთო აღიარებით, საბოგადოება, რომელსაც ათვისებული ჰქონდა რეინის წარმოება ამ ადრეულ პერიოდში, კონსომიკურად გამორჩეულად ძლიერი

უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად, დაწინაურებული სოციალური წყობა პქონოდა.

როგორც ჩანს, ივრის ბეგანზე მცხოვრებ საბოგადოებას განვითარების ამ ეტაპების დასაუფლებლად ყველა წინაპირობა ჰქონდა.

ამ რეგიონში საგანგებოდ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ იგი მდიდარია უმაღლესი ხარისხის, იმ დროისათვის საკმარისი რაოდენობის რეკინის მაღნით [გელიაშვილი, 1988]. არქეოლოგიურმა დაზეოვნებმა კი ისიც დაადასტურა, რომ აღიმნული მადანგამოვლინებები ინგენსიურად მუშავდებოდა უკვე ძვ.წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე. ამაზე მიგვითოთებს აქ არსებული რეკინის მაღნის მომპოვებელი არაერთი ძველი და აკარიერი და რეკინის გადამამუშავებელი მრავალი სახელოსნო.

ამგვარად, მთუხედვად იმისა, რომ ჯერჯერობით ამ რეგიონიდან რეკინის არტეფაქტები ნაკლებადა ცნობილი, შეიძლება დავუშვათ, რომ ივრის ბეგანზე ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე არსებული ცივილიზაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური საფუძველი და განვითარების წარმმართველი ძალა რეკინის მეტალურგიული წარმოება იყო. არ უნდა გამოირიცხოს, რომ იგი განსაკუთრებული სოციალური დაწინაურების ბერკეტადაც ქვეულიყო.

ამგვარად, ყოველივე ეს – ა) ნამოსახლართა წინასწარი პროექტით აგება და მკაცრი, მთლიანი სისტემური გეგმარება; ბ) ერთიმეორისაგან მკვეთრად გამოყოფილი შიდა ციხე-ციფალელი და მის გარეთ საცხოვრებელი დასახლება; გ) ერთიანი დიდი ტრადიციების მქონე, მაღალგანვითარებული სამშენებლო ტექნიკით ნაგები მმდავრი საფორტიფიკაციით ნაგებობები, რომლებიც უახლოეს პარალელებს წინა აგიას ცივილიზაციების ძეგლებთან პოულობს; დ) დახვეწილი ტექნოლოგიით დამზადებული და უმაღლესი თვისებების მქონე საომარი იარაღით აღჭურვილი ქვეთი, ცხენოსანი და საბრძოლო ეტლების სამხედრო შენაერთები, რაც ივრის ბეგნის საბოგადოების უდიდეს სამხედრო პოტენციალზე მეტყველებს; ე) სასარგებლო წიაღისეულის და გეოკლიმატური პირობების საფუძველზე განვითარების უმაღლეს დონეზე ასული საწარმოო ძალები და საშუალებები – სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები, მეთუნეობა, ბრინჯაოს და რეკინის მეტალურგია და ლითონდამუშავება და სხვ. ამის აშკარა დასტური უნდა იყოს ივრის ბეგანზე დასახლებებიდან განცალკევებით არსებული სამეთუნეო და ლითონდამუშავების დიდი სახელოსნო კომპლექსების გამოვლენა (ხირსა, ქვემო ქედი), სასოფლო-სამურნეო დანიშნულების სხვადასხვა სახის საწარმოო იარაღის მრავლად აღმოჩენა, რომელთა შორის განსა-

კუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნედლეულის დასამუშავებელ ხელსაწყოებს; ვ) ივრის ბეგნის მდებარეობა კავკასიაზე გამავალ ერთ-ერთ ძირითად საცრანიშიგო საგზაო მაგისტრალზე, რაც უდიდესი ფაქტორია აღნიშნული რეგიონის გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით კი ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან დასაკავშირებლად და იქიდან მომდინარე პროგრესული იმპულსების მისაღებად; გ) საბოგადოების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებები დაფუძნებული ერთიანი იდეოლოგიური პრინციპების არსებობა, რასაც სამოსახლოებიდან მოშორებით მდებარე დიდი სამლოცველოები გვიდასტურებს [Pizchelauri, 1984], სადაც მთავარი ადგილი ეკავა ნაყოფიერებისა და ომის დვთაებისადმი მიძღვნილ კულტმსახურების; თ) რკინის მეტალურგიის და ლითონდამუშავების უპირატესი განვითარება, რაც საბოგადოების ეკონომიკური და სოციალური წინსვლის ძირითადი მასტიმულირებელი შეიძლება გამხდარიყო; ი) სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის მთასა და ბარში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ნამოსახლარებისა და სამაროვნების განსაკუთრებით ხშირი ქსელის არსებობა, რაც წინა პერიოდებში არ შეინიშნებოდა – რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ამ ეპოქაში მოსახლეობის მნიშვნელოვან დემოგრაფიულ აუთეტიქტაბე უნდა მიგვითითებდეს, რაც, ცხადია, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესთან და პოლიტიკურ სფაბილურობასთან.

ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნულთან შესაბამისობაში იყო თანადროული საბოგადოების განვითარების სოციალური დონეები, რომელიც, სავარაუდოა, წინა საფუძულებებს ბევრად უსწრებდა წინ.

ვფიქრობ, ყოველივე ამასთან ერთად, ჩემ ვარაუდს – ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნის ახლო ხანებში სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მძღავრი პოლიტიკური გაერთიანების შესაძლო არსებობის შესახებ, რაც მე აღრეც მქონდა შენიშნული [ფიცხელაური, 1973, გვ. 164], მეტ დამაჯერებლობას შეძენს მტკვრის მარჯვენა ნაპირებზე, ივრის ბეგნის მოპირდაპირედ, ყარაბაღის მთიანეთის წინა ზოლში, სოფ. ბორსუნდუსა და სოფ. სარიჩობანის მახლობლად, ამ დროით დათარიღებული მდიდრული ყორდანული სამარხების აღმოჩენა [Джакафаров, 1986, 1993]. აქ დიდ დასაკრძალავ დარბაზებში, ივრის ბეგნის იდენტურ მრავალრიცხვან ადგილობრივ და იმპორტულ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, აღმოჩნდა მთავარი მიცვალებულისათვის შეწირული არაერთი ადამიანი და შეკაბმული ცხენები, რაც აღნიშნულ სამარხებში დაკრძალული პიროვნების არა მარტო ქონებრივ გამორჩეულობაბე, არამედ უმაღლეს სოციალურ სფატუსბეც უნდა მიუთითებდეს თანადროულ საბოგადოებაში.

ყოველივე ეს, ერთობლიობაში, თითქოს ქმნის იმის რეალურ საფუძველს, რათა ვივარაუდოთ, რომ არქეოლოგიურ ძეგლთა ეს კომპლექსი სოციალურად საქმაოდ დაწინაურებულ საზოგადოებას ეკუთვნოდა.

ვფიქრობ, ახლად მოშველიებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, მეფი სიცხადით შეიძლება საუბარი ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში და უფრო ადრეს, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ქართული ეთნოსის არსებობის შესახებ.

ამ საკითხზე მსჯელობისას მე ყურადღება მინდა გავამახვილო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი წერილობითი წყაროს, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხბულების – "ცხოვრება ქართულთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა"-ს იმ ნაწილზე [ლეონტი მროველი, 1955, 3-11], სადაც იგი, როგორც ფიქრობენ, მის ხელთ არსებულ ძველ წყაროებზე დაყრდნობით, ზოგადად კავკასიის და კერძოდ, ქართველ ტომთა შესახებ წინაკლასობრივი ეპოქის სანდო ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის [ჯავახიშვილი, 1945, 183; კეკელიძე, 1923, 54; ცერეტელი, 1941; ლორთქიფანიძე, 1966, 11; ჭილაშვილი, 1958, 5-14, 19 და რუკა; ყორანაშვილი, 2002, 180, 294].

დ. მუსხელიშვილმა ეს ცნობები კონკრეტულად ძვ.წ. IV-III საუკუნეების ვითარების ამსახველად მიიჩნია [მუსხელიშვილი, 1966]. მეც მქონდა შესაძლებლობა გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი, სადაც აღნიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების ერთი ნაწილი უფრო ძველ ეპოქას მივაკუთვნებ და ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულის თუ არა, ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის ამბების ამსახველად მაინც ჩავთვალე [ფიცხელაური, 1973, 196-197].

ამ გადაწყვეტილების მისაღებად ჩემი ძირითადი არგუმენტი იყო აღნიშნულ წერილობით წყაროში მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების, კერძოდ, ქართველ ტომთა განსახვლების საზღვრების დამთხვევა კონკრეტული პერიოდის არქეოლოგიური კულტურების განვრცობის ფარგლებთან.

ამქამად ამ მტკიცებულების თითქოს მეფი საფუძველი ეძინება და შესაძლებლობა გვეძლევა ამ ცნობების ერთი ნაწილი უფრო ძველ ეპოქასაც კი დავუკავშიროთ.

როგორც ცნობილია, აღნიშნული წერილობითი წყარო საქართველოს ისტორიის უძველესი ეპოქის გადმოცემას იწყებს ბიბლიური პერსონაჟით თარგამოსით, რომელმაც თავისი წილი ქვეყანა – კავკასია რვა შვილს გაუყო – პაოსს, ქართლოსს, ბარდოსს, მოვაკანს,

ლექს, ჰეროსს, კავკასს და ეგროსს [მროველი, 1955, 4]. ამ რვა შვილს შორის ერთ-ერთი იყო ქართველთა მამამთავარი ქართლოსი, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისმა შეუძლებ ქართლოსის კუთვნილი ქვეყანა მის ხეთ შვილს – მცხოვრის, გარდაბოსს, კახოსს, კუხოსს და გაჩიოსს შორის გაანაწილა [მროველი, 1955, 8-9].

აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ წერილობით წყაროში მითითებული როგორც ქართლოსის, ისე მისი ძმის ჰეროსის და ქართლოსის მთამომავლების კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები, რომელიც წყაროში სკრუპულობურად არის აღწერილი, ემთხვევა არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილი, გარკვეული პერიოდების არქეოლოგიური კულტურებისა და მათი ლოკალური ვარიაციების გავრცელების საზღვრებს¹.

კერძოდ, ჩემ ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით, სრულიად უეჭველია, რომ ქართლოსისა და მისი ძმის ჰეროსის წილი ქვეყნების საზღვრები ერთად, ემთხვევა შეაბრინჯაოს ხანის – ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის თრიალეთური კულტურის [Кушнарева, 1983; 1993, 98-171, სურ. 33(1); ჯაფარიძე, 2003, 165-172; გოგაძე, 1972; Puturidze, 2003, 112; Мартirosyan, 1964, 74; ჯაფარიძე, 1969, 9-13; კუჭინ, 1949, 16,34-35] და მასთან გენეტიკურად დაკავშირებული მისი მომდევნო დროის – გვიანბრინჯაოს ხანის აღრეული საფეხურის ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის გავრცელების საზღვრების [კ. ფიცხელაური, 1973, 163, 164; კ.კ. ფიცხელაური, 2005], როდესაც ეს კულტურები მეტნაკლებად ერთიანი სახით არის წარმოდგნილი, ცხადია, გარკვეული შიდა ნიუანსებით.

როგორც დავინახეთ, წერილობითი წყაროს მიხედვით, ქართლოსის წილი ქვეყანა მისი გარდაცვალების შემდეგ ნაწვრდება. ამასთან დაკავშიროებით განსაკუთრებით არსებითია ის, რომ წერილობითი ცნობების მსგავსად, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვითაც, იმავე ტერიტორიაზე, განვითარების შემდგომ საფეხურებზე იწყება ერთიანი ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის დანაწევრება. ჯერ გვიანბრინჯაოს ხანის II პერიოდში, ძვ.წ. XIII საუკუნეში მდინარე მტკვრის შეა დინების დაბლობში, დღევანდელი

¹ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მხარეში ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ერთნაირი სისრულით არ არის შესწავლილი, რის გამოც კვლევის ამ ეფაპზე მე შემოვიფრგდე წერილობითი წყაროს მონაცემებისა და არქეოლოგიური კვლევის შედეგების მხოლოდ ნაწილობრივი შეჯერებით. ამ მბეჭდით ჩემი მხედველობის სფეროდან შეგნებულად გამოვტოვე წერილობითი წყაროს მიხედვით ქართლოსის შვილების – გარდაბოსისა და გაჩიოსის წილებებით ტერიტორიაზე.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჩნდება ე.წ. ფოთლისებური სატევრისპირების კულტურა², რომლის გავრცელების არეალიც თითქმის ზუსტად ემთხვევა წერილობით წყაროში დადასტურებულ, ქართლოსის ერთ-ერთი შეიძლის მცხეთოსის წილი ქვეყნის განვრცობის საზღვრებს. ქართლოსის მმის ჰეროსის კუთვნილ ტერიტორიაზე კი ამ დროს მრავალი თავისებური ნიშნით გამორჩეული, წინარე ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის ფესვებზე აღმოცენებული ბრინჯაოს შედგენილებრიანი სატევრების და მახვილების კულტურა გამოიყოფა, რომელიც მოიცავს არა მარტო ჰეროსის წილი ქვეყნის ფარგლებს, არამედ მთლიანად იორალაზნის ორმდინარეთს, დასავლეთით მდინარე არაგვამდე და სამხრეთით მტკვრამდე.

განვითარების შემდგომ საფეხურზე, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში კი ამ რეგიონში არქეოლოგიური კულტურის სეგმენტაციის უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს, რომლის შეჯერება წერილობით წყაროს მონაცემებთან საკმაოდ მყარ საფუძვლად შეიძლება შეიგიჩნიოთ იმ საზოგადოების ეთნიბაციაზე მსჯელობისათვის, რომელსაც არქეოლოგიურ მასალათა ეს ჯგუფები ეკუთვნოდა.

ეს მონაცემები შემდეგია. პირველი და უმთავრესი ის არის, რომ მტკვრის შეა დინების დაბლობში, რომელიც ქართლოსის ერთ-ერთი შეიძლის მცხეთოსის წილი ქვეყანაა და სადაც გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე, დაახლოებით ძვ.წ. XIII საუკუნეში, ამ

² აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამ კულტურის უმთავრესი არტეფაქტი – ბრინჯაოს ფოთლისებური საფეხრისპირი, და არა მხოლოდ ის, ადგილობრივ ფესვებზე არ ჩანს აღმოცენებული. მისი წინარე ხანის სატევრები, როგორც სამხრეთ კავკასიის მთელ ცენტრალურ ნაწილში, ისევე ამ რეგიონში, სულ სხვა ტიპისაა – ბრინჯაოსტარიანია და განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე დგის. ამასთან ერთად, საყურადღილოა ისიც, რომ ფოთლისებური საფეხრისპირის შემდგომი დროის ივივე დანიშნულების არაღი იმავე ტერიტორიაზე დამტკრალურად განსხვავებია მისაც. ეს კედავ ბრინჯაოსტარიანი საფეხვერია, რომელებიც ძველი ადგილობრივი კულტურის ტრადიციებზე ჩანს განვითარებული. ამგვარად, ფოთლისებური საფეხრისპირები, რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანის II საფეხურის არქეოლოგიური მასალებისთვის არის დამხასიათებელი, ამ რეგიონში სრულად უცხო სხეული ჩანს და დროის მხოლოდ მოკლე მონაცემებში არსებობს. რამდენადაც მოკლონებული არ უნდა იყოს, მას უახლოესი პარალელები ექვებნება დასავლეთ ევროპულ თანადროულ მასალებთან როგორც ზოგადად ფორმით, ისე ცალკეული დეტალების მიხედვითაც კი. ვფიქრობ, შემდგომში ამას განსაკუთრებული ყერადღება უნდა მიექცეს და ეს დისონანის ადგილობრივი კულტურის განვითარებაში საგანგებო განსჯის საგნად უნდა იქცეს, მთაცმეტებ, რომ ამ გამოქის არქეოლოგიური მასალის კვლევა-ძიებისას, სამხრეთ კავკასიის ვეროპასათან კავშირურთობის გაძლიერებას საკმაოდ რეალურ საფუძველს უძებნიან [კ. ფიცელაური, 2008].

მხარისათვის უცხო არტეფაქტების შემცველი კ.წ. ფოთლისებური სა-
ტევრისპირების კულტურა იყო გავრცელებული, ძვ.წ. II ათასწლეუ-
ლის დასასრულსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში, სფაბილუ-
რად ძველ საზღვრებში, ამ მხარისათვის დამახასიათებელი ხდება
თავისებური არტეფაქტების მთელი ბლოკი, რომელიც გენეტიკურად
ძველ, გვიანბრინჯაოს ხანის აღრეული საფეხურის ცენტრალურა-
მიერკავკასიური კულტურის ტრადიციებს აგრძელებს, მის ფესვებზე
ჩანს აღმოცენებული და განვითარებული. აქ უაღრესად მნიშვნე-
ლოვანია ის, რომ, როგორც შევნიშნეთ, ამ ჯგუფის მასალების
განვრცობის საზღვრები, ისევე როგორც მასზე ქრონოლოგიურად
უწინარესი ბრინჯაოს ფოთლისებურპირიანი სატევრების კულტუ-
რის ბლოკისა, ზუსტად თავსდება წერილობით წყაროში მოცემული
ქართლოსის შვილის – მცხეოლის წილი ქვეყნის საზღვრებში. ბუ-
ნებრივია, მაგრეთიალური კულტურის გავრცელების ამდენად მყარი
საზღვრების არსებობა განვითარების საკმაოდ დიდი მონაკვეთის
განმავლობაში და მისი დამთხვევა წერილობით წყაროში მოცემუ-
ლი ერთ-ერთი ქართული ტომის თუ მოსახლეობის განსაზღვრული
ჯგუფის განსახლების საზღვრებთან, ამ მონაცემთა ურთიერთდა-
კავშირებას აუყიდებელს ხდის.

ასევე ნიშანდობლივია, რომ ამავე ეპოქაში, იორ-ალაბნის ორმ-
დინარეთში, დასავლეთით არაგვის ხეობამდე, სამხრეთით კი
მტკვრის დაბლობის ჩათვლით და შესაძლოა უფრო სამხრეთითაც,
სადაც გვიანბრინჯაოს ხანის II საფეხურზე ძვ.წ. XIII საუკუნეში,
შედგენილგარიანი ბრინჯაოს სატევრ-მახვილების კულტურა იყო
გავრცელებული, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. I
ათასწლეულის დასაწყისში, მისი განვითარების საფუძველზე ჩნდე-
ბა მრავალი თავისებურებით გამორჩეული, მაგრამ აშკარად მაინც
ერთ ფუძეზე აღმოცენებული არქეოლოგიური მასალების სამი ჯგუ-
ფი, რომელთა განვრცობის საზღვრები თითქმის ზუსტად ემთხვევა
წერილობით წყაროში მოცემულ – ერთ შემთხვევაში პეროსის
კუთვნილი ტერიტორიის საზღვრებს, მეორე შემთხვევაში კი ქარ-
თლოსის ორი შვილის კახოსისა და კეხოსის კუთვნილი ტერიტო-
რიების ფარგლებს.

წემის აბრით, ჩამოთვლილი ფაქტობრივი მონაცემები საფუძ-
ველს მაღლენს, შესაძლოა რამდენიმე წინასწარული, მაგრამ ვუი-
ქრობ, მაინც საკმაოდ სარწმუნო მოსაზღვების კონსტატაციისათ-
ვის.

1. წერილობით წყაროში ხაზგასმულია ჰეროსის, ქართლოსის
და ბუნებრივია ქართლოსის და მისი შთამომავლობის უ-
რთიერთ ნათესაური კავშირი. ამასთან დაკავშირებით, უაღრე-

სად მნიშვნელოვანია ის, რომ მათი განსახლების ტერიტორიაზე გავრცელებული არქეოლოგიური კულტურები და მათი შემაღლებილი ლოკალური ჯგუფები ძვწ. II ათასწლეულის დასწყისიდან მოკიდებული ერთ ფუძეებები აღმოცენებული, ერთიმეორის თანამიმდევრულ განვითარებას წარმოადგენს, ადამიანთა ერთი ჯგუფის თითქმის ათასწლოვანი ნააბრევის პროდუქტია, მრავალი თავისებურებით გამოიჩინება მთელი გარე სამყაროსგან და ამ საკმაოდ ვრცელი პერიოდის განმავლობაში ერთიმეორებით მჭიდროდ დაკავშირებულ, მრავალი საერთო ნიშნის მატარებელ კონგლომერატის სახეს ინარჩუნებს. ამდენად, წერილობითი წყაროს მონაცემები და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ამ თვალთახედვით ერთიმეორებით სრულ ჰარმონიაშია.

2. საგულისხმოა ისიც, რომ, ისევე როგორც წერილობით წყაროში, ქართლოსის დროს არსებული ერთიანობა, როგორც ჩანს, იშლება მისი გარდაცვალების შემდეგ და მისი წილი ქვეყნის ტერიტორიაზე ცალ-ცალკე რეგიონში მისი შეიღები იწყებენ გამგებლობას, ზუსტად ასევე არქეოლოგიური მასალების მიხედვითაც, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის აღრეულ საფეხურზე, ძვწ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ძვწ. XIV ს ჩათვლით, ამ რეგიონში ერთიანი კულტურაა, შემდგომ კი ძვწ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვწ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში ეს ერთიანობა იშლება, წინა საფეხურთან გვნეტიკურად დაკავშირებულ ცალკეულ ლოკალურ ჯგუფებად. ამგვარად, ამ მხრივაც წერილობით წყაროში აღწერილი ამბები ბუსტად ემთხვევა ამ რეგიონის არქეოლოგიური კულტურის განვითარების ეფაკებს.
3. არქეოლოგიური კულტურების შესატნობად და მათი ეთნო-კულტურული არსის განსაზღვრისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის აუცილებელი ფაქტიც, რომ ჩვენს მიერ განხილულ წერილობით წყაროში მოცემული ჰქონდას და ქართლოსის წილი ქვეყნების საბაზო ები ემთხვევა ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ ძვწ. II ათასწლეულის პირველი ნახევრისა და შუა ხანების კულტურათა განვრცობის საზღვრებს, ხოლო განვითარების მომდევნო საფეხურზე, ერთიანი არქეოლოგიური კულტურის ჯგუფებად დანაწევრების შემდგომ, ძვწ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვწ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში, ქართლოსის შთამომავალთა კუთვნილი მიწების საბაზო ების.

4. ცხადია, ერთდროულად ამდენი დამთხვევა წერილობით წყაროში მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტობრივი მასალისა და არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კულტურების განვრცობის საზღვრებისა, მრავლისმეტყველია და, ბუნებრივია, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ეს კი, ცხადია, იძლევა იმის იმედს, რომ შესაძლოა საკმაოდ დამაჯერებლად დათარილდეს წერილობით წყაროში მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები. კერძოდ, ქართლოსისა და ჰეროსის კუთვნილი მიწა-წყლის საზღვრების რეალური არსებობა შეესაბამოს ძვწ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს ძვწ. XIV საუკუნის ჩათვლით. ქართლოსის შვილებთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების თარიღი კი განისაზღვროს ძვწ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვწ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით.
5. ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმებულის საფუძველზე უკვე ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ სარწმუნო საყრდენი შეიქმნას სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვწ. II ათასწლეულისა და ძვწ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების არქეოლოგიური კულტურების ეთნიზაციისათვის.
- ამ პრობლემაზე სარწმუნო მსჯელობისათვის აუცილებელი ფაქტობრივი მასალის არსებობაზე უკვე გვაქვს სხვა ავტორიტეტული მითითებებიც [მელიქიშვილი, 1965, 103; მუსხელიშვილი, 2002, 6,7].
- ვფიქრობ, ყოველივე ეს საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გამოყოფილი ძვწ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ძვწ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ცივილიზაცია პროტეკტორულის სახელწოდებით მოვისწიოთ.
- ამგვარად, მე შევეცადე ჩამომეყალიბებინა ჩემი შეხედულება კავკასიაში დღემდე უცნობი ცივილიზაციის არსებობის შესახებ, გარკვეული ეთნოგენეტური ატრიბუციით, რათა ნათელი გამეხადა რამდენად აუცილებელია ამ მიმართულებით კელევის გაგრძელება – დამატებითი მასალის მოძიება და მისი ამ ფონზე გააჩრება.
- მე შორსა ვარ იმ აბრისაგან, რომ ჩემ დასკვნებს, კვლევის ამ ეფაპზე, რამდენადმე მტკიცებითი ფორმა მიეცეს, თუმცა არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ იგი ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოსაა.
- ვიმეორებ, ჩემთვის მთავარია დასმული პრობლემა ფუნდამენტური კვლევის საგნად იქცეს, რაც შეიძლება ფართო მასშტაბით, რადგან მისმა შედეგებმა შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კავკასიის უძველესი წარსულის ერთი მონაკვეთის ახლებულ გააჩრებაში.

იმედია, სამეცნიერო სამოგადოება დაინტერესდება ჩემი წინადაღებით, საჭიროდ მიიჩნევს ამ მიმართულებით კვლევის გაფართოებას დას და აქციურ მონაწილეობს მიიღებს მის განხორციელებაში.

მითითებული ლიტერატურა

- გ. გ ი თ გ ა ძ ე (2001), დაიავნი-დიაუხი: არაქართველური სამყარო? კრებულში – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, თბილისი.
- გ თ გ ა ძ ე (1972), თრიალეთის ყორდანული კულტურის პერიოდიბაცია და გენებისი, თბილისი.
- კ კ კ ე ლ ი ძ ე (1923), ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფილისი.
- ლ თ რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (1966), აღრეფნდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი.
- ლ თ რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (2001), იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთში. კრებულში – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, თბილისი.
- მ გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი (1988), წინასწარი მონაცემები დავით გარეჯის უდაბნოს რეკინის მაღანგამოვლინების შესახებ. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII, "გარეჯი", თბილისი.
- მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი (1965), საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი.
- ლ მ რ თ ვ ე ლ ი (1955), ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბილისი.
- დ მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (1966), ცხე-ქალაქი უჯარმა, თბილისი.
- დ მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (2001), რედაქტორისაგან. კრებულში – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, თბილისი.
- დ მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (2002), ქართველთა ეთნოგენების პრობლემისათვის. კრებულში – ქართველი ხალხის ეთნოგენები, თბილისი.
- კ ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი (1965), იორ-ალამნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბილისი.
- კ ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი (1973), აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბილისი.

- პ. პ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი (2005), ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა, თბილისი.
- პ. პ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი (2008), სამხრეთ კავკასია, ჩრდილო შავიბლისპირეთი და ევროპა ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში, არქეოლოგიურ კულტურათა კონტაქტების დინამიკა, თბილისი (იბეჭდება).
- ლ. ჭ ი ლ ა მ ვ ი ლ ი (1958), ქალაქი რუსთავი, თბილისი.
- ო ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (1945), ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი.
- ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე (1969), არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი.
- ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე (2003), საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბილისი.
- გ. ყ თ რ ა ხ ა შ ვ ი ლ ი (2001), ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის საკითხი. კრებულში – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, თბილისი.
- გ. ყ თ რ ა ხ ა შ ვ ი ლ ი (2002), საქართველოს ძველი ისტორიის მრობლები, თბილისი.
- С. დ ე ვ ე ჯ ა ნ (1981), Лори-Берд I. Результаты раскопок 1969-1973 гг. Ереван.
- Г. დ ჯ ა ფ ა რ ი ვ (1986), Борсуылу – погребение племенного вождя, Баку.
- Г. დ ჯ ა ფ ა რ ი ვ (1993), Курган эпохи бронзы вблизи Сарычобана, Советская археология, № 4, Москва.
- Б. А. კ უ ფ თ ი ნ (1949), Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси.
- К. ხ. კ უ შ ნ ა რ ე ვ ა (1983), К проблеме выделения археологических культур периода средней бронзы на Южном Кавказе. Краткие сообщения Института археологии (Средняя Азия и Кавказ), 176, Москва.
- К. ხ. კ უ შ ნ ა რ ე ვ ა (1993), Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э. Этапы культурного и социально-экономического развития, Санкт-Петербург.
- А. მ ა რ თ ი რ ი ც ა ნ (1964), Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван.
- Г. მ ე ლ ი კ ი შ ვ ი ლ ი (1989), Древнейшие раннефеодальные государства и племенные союзы Западной Грузии, очерки истории Грузии, I, Тбилиси.

- A. М на ц а к а н я н (1960), Древние повозки из курганов бронзового века на побережье оз. Севан, Советская археология, № 2, Москва.
- M. Н. П о г р е б о в а (1967), Урартские мечи из Закавказья, Советская археология, № 2, Москва.
- Г. Ц е р е т е л и (1941), Армазская билингва, Тбилиси.
- K. B i t t e l und R. Naumann (1952), Bogazkoy-Hattusa. Ergebnisse der Ausgrabungen des Deutschen Archäologischen Instituts und der Deutschen Orientgesellschaft in den Jahren 1931-1939. Architektur. Topographie. Landeskunde in Siedlungsgeschichte, Stuttgart.
- S. E s a y a n (1990), Schutzwaffen aus Armenien. Beiträge zur Allgemeinen und Vergleichenden Archäologie, Band 9-10, Mainz am Rhein.
- E. H o o f d s t u k (1947). Der Hethitische Vestingbouwkunde. Kermomenten der Antieke Beschaving en Haar Moderne Beleiving, Leiden.
- G. K o s s a k (1983), Tli Grab 85. Bemerkungen zum Beginn des skythenzeitlichen Formenkreises im Kaukasus. Beiträge zur Allgemeinen und Vergleichenden Archäologie, Band 5, München.
- M. L o r d k i p a n i d z e (2007), The Problem of the Origin and Continuity of Statehood in Georgia. In: Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 175, no. 3. Tbilisi.
- M. K o r f m a n n, K. P i c x e l a u r i, J. B e r t r a m, G. K a s t l (2003), Erster Vorbericht zu den Vermessung und Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ost-Georgien) 2000-2004, Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 35-36, Berlin.
- R. N a u m a n n (1971), Architektur Kleinasiens von ihrem Anfängen bis zum Ende der bethitischen Zeit. Tübingen.
- K. P i z c h e l a u r i (1984), Jungbronzezeitliche bis ältereisenzeitliche Heiligtümmer in Ost-Georgien. Materialen zur Allgemeinen und Vergleichenden Archäologie, Band 12, München.
- K. P i c c h e l a u r i (1997), Waffen der Bronzezeit aus Ost-Georgien. Espelkamp.
- K. P i t s k h e l a u r i (2002), South Caucasian Ancient Civilisation in Gareji Desert (Udabno), Festschrift für M. Korfmann, Mauerschau, Band 2, Remshald-Crunbach.
- M. P u t u r i d z e (2003). Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age. Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond, Los Angeles.

სურათების აღწერილობა

1. რუკა, სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. II-I ათასწლეულების ცილინდრის გავრცელების საბლვრების მითითებით
2. ნაქალაქარი უდაბნო I, აეროფოტო
3. ნაქალაქარი უდაბნო II, III, აეროფოტო
4. შირაქის ველი, ორციგადელიანი ნაქალაქარი, აეროფოტო
5. ნაბარლები I, ნაქალაქარი, აეროფოტო
6. წიწმაგიანის ნაქალაქარი, აეროფოტო
7. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების საბრძოლო იარაღი ივრის ბეგნიდან
8. 9. ბრინჯაოს ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის მოდელები, მეომრებით ლჰამენის ყორდანებიდან
9. ბრინჯაოს ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის მოდელი გოხების სამლოცველოდან

Konstantine Pitskhelauri

SOUTH CAUCASIAN CIVILIZATION IN THE 2ND AND 1ST MILLENNIA B.C.

ლიბერალის არსებობა მოწმობს, რომ რომაულ სამყაროში "ბავშვებს" (liberi) შებითგანვე ვერ მიენიჭებოდათ თავიანთი საბოგადოებისათვის ნიშანდობლივი სრული უფლებები, რადგან, როგორც ბემოთ აღინიშნა, რომაელები ლიბერალის შემდევ ხდებოდნენ საკუთარი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქენი, საკუთარი ხალხის სრულუფლებიანი წევრები და ეს ტრადიცია უნდა ეფუძნებოდეს *h_ileudheros-ის¹² / "ხალხის, თავისუფალი მოქალაქეს" გაგებას იმ ნაბარდ თაობად, რომელსაც ბრდასრულობისას ენიჭებოდა სრულუფლებიანობა საკუთარი საზოგადოების ყოველგვარი სახის მოქალაქეობრივ აქტივობაში.¹³

2.4. ლიბერისა და ლიბერას საკითხის კვლევისას მიღებულ დასკვნას, რომელიც ძველი ბერძნული და რომაული მითოლოგიების ლინგვისტურ მიღომაზე დაფუძნებული შედარებითი შესწავლიდან გამომდინარეობს და ნახსენებ ღვთაებებს ბაკქოსისა და კორეს სინონიმებად არ განიხილავს, ამყარებს მონაცემები კიდევ ერთი ინდო-ევროპული, ვენტური, სამყაროდან. ჩვენამდე მოაღწია ძვ. წ. მესამე საუკუნის (Conway, Whatmough, Johnson 1933: 160) ვენეტურმა ბრინჯაოს ჭურჭელმა ვენეტური დამწერლობით შესრულებული შემდეგი წარწერით:¹⁴

kra·e-hk· χo·l-tano·s zoto lo·u·zera·h kaneh (Conway 1930: 287 შმდ.)

წარწერის პირველი ორი სიტყვა, დგას ნომინატივუსში და ღვთაებისადმი ამ ჭურჭლის შემწირველის ვინაობას შეიცავს. სიტყვა zoto ნიშნავს: "მიართვა, უძღვნა". kaneh-ის მნიშვნელობა დაუზუსტებელია, თუმცა, სავარაუდოდ, წარმოადგენს სიტყვა louzerah-ის განსაზღვრებას, ეპითეტს, და ეთანხმება მას ბრუნვაში. Louzerah არის ჩვენთვის საინტერესო სიტყვა დაგივუსში და წარმოადგენს ნაყოფიერების, მცენარეთა ბრდის ქალღმერთის სახელს, ვისაც ბრინჯაოს ჭურჭელი უძღვნეს. საყურადღებო ის, რომ ღმერთის ეს სახელი (Louzera), თანამდეროვე ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებაში გაზიარებული შეხედულებით, კომპარატივისტიკის მეთოდთა სრული

გარიშგასაწევ გარემოებას, რომ liberi აღნიშნავდა მოგარდებს არა სოციალური მდგრადრეობის, არამედ ასაკის თვალსაზრისით.

¹² *h_ileudheros ნაწარმოებია ამოსავალ *h_ileudh- ბმნურ ფუძეებ -ero სუფიქსის დართვით და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: "ხალხის, ხალხის კუთხილი, ხალხისეული, (ხალხში გაწევრიანებული)" (Vaan 2008: 338).

¹³ მოგარდები ანუ liberi ლიბერალის დროს ხდებოდნენ მოქალაქეები, თავისუფალი პიროვნებები ანუ cives (Sabbatucci 1988: 105 შმდ.). ამ მხრივ საყურადღებოა, რომ სტიუარტ მანი ყალ-ყალე ვეთავაზობს სიტყვებს *leudhis "ხალხი" და *leudheros "თავისუფალი" და ამ უკანასკნელს, ენობრივ მონაცემთა მეტი გათვალისწინებით, აღადგენს მნიშვნელობათ: "თავისუფალი, აქტიური; აქტივობა, თავისუფლება".

¹⁴ ჭურჭელი აღმოჩნდა იტალიაში, ვენეტოს რეგიონის ქალაქ ჰიევი დი კაღლორეში.

დაცვით შექსაბამება როგორც ძველ ბერძნულ სიტყვას՝ *Ελεύθερα*, ასევე ლათინურ *Liber / Libera*-ს და მათს დარად მომდინარეობს საერთო-ინდო-ეკროპული თავისუფლების და ხალხის აღმნიშვნელი ფუძიდან *h₁leudheros. ვენტური z შექსაბამება საერთო-ინდო-ეკროპულ *dh₂-s*. აღნიშნული ბერათშესატყვისობა ვლინდება შემდეგ მაგალითშიც: ვენტური *uzeroφos* : ლათინური *uber* : ძველი ბერძნული ოს्थარ : ინგლისური *udder* (Conway, Whatmough, Johnson 1933: 159).

3.1. ლიბერისა და ლიბერას სახით საქმე გვაქვს არა ძველი ბერძნულიდან რომაულ სამყაროში შესულ დვთაებებთან (როგორც ეს მოხდა, მაგალითად, აპოლონისა და ბაკქოსის შემთხვევაში), არამედ, ლინგვისტურ მიდგომაზე დაფუძნებული შედარებითი მითოლოგიის მეთოდების გამოყენებით, სულ მცირე, უშუალოდ საერთო-ინდო-ეკროპული ენის შემდგომ წარმოქმნილი A და B დიალექტურ წრეთა მქონე ენის¹⁵ დონეზე აღდგენად და ამ ენობრივი სამყაროდან, ელინურსა და ვენეცურთან ერთად, რომაულ სამყაროში ნამემკვიდრევ ღმერთებთან (West 2007: 145). ამასთან, ლიბერი და ლიბერა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ვეგეტაციის ღმერთებად, არამედ, როგორც მათი სახელის და დღესასწაულის ანალიზი მოწმობს, საერთოდ, ზრდის (მცენარეთა და ადამიანთა) ღმერთებად.

4.1. აქ მოცემული დასკვნა საინტერესო შედარების საფუძველს იძლევა ქართველური ენის მონაცემებთან ორ სხვადასხვა ენობრივ სამყაროში თავისუფლების ხარისხის განსაზღვრის და მათი ურთიერთშეპირისაპირების თვალსაზრისით, რამდენადაც ქართველურ სამყაროში ერთმანეთთან დაკავშირებულია ცნებები "თავისუფლება" და "მეუე, მეუფე, უფალი", ინდო-ეკროპულ სამყაროში კი, როგორც ზემოთ წარმოჩნდა, – "თავისუფლება" და "ხალხი", თუმცა ამ საინტერესო საკითხის შესწავლა ახალი თემის საგანია და სცილდება ლიბერისა და ლიბერას არსის კვლევის ფარგლებს.

ბიბლიოგრაფია

1. ქურდიანი, მ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი, 2007
2. Beard, M., North, J. and Price, S., *Religions of Rome, vol. I (A History)*, Cambridge, 1998

¹⁵ იხ. ქურდიანი 2007: 608.


3. Bellardi, G. (ed.), *Le Orazioni di M. Tullio Cicerone*, Vol. I, Torino, 1978
4. Benveniste É., *Le vocabulaire des institutions indo-européennes*, Vol. I. *Économie, parenté, société*, Paris, 1969
5. Buck, C., *A Dictionary of Selected Synonyms in the Principal Indo-European Languages*, Chicago, 1949
6. Conway, R. S., "Sull' *Iscrizione Veneta* (di xo · l · tano · s ·) *Trovata in Cadore*", *Studi Etruschi*, vol. 4, 1930, 287-289
7. Conway, R. S., Whatmough, J., Johnson, S. E., *The Prae-Italic Dialects of Italy*, vol. I, London, 1933
8. Degrassi, A. (ed.), *Inscriptiones Italiae*, Vol. XIII – *Fasti et Elo-gia, Fasciculus II – Fasti Anni Numani et Iuliani, accedunt Fer-rialia, Menologia Rustica, Parapegmata*, Roma, 1963
9. Gamkrelidze, Th., Ivanov, V. V., *Indo-European and the Indo-Europeans, Part I (the Text)*, English version by Johanna Ni-chols, Berlin - New York, 1995
10. Latte, K., *Römische Religionsgeschichte*, München, 1960
11. Mallory, J. P. and Adams, D. Q. (eds.), *Encyclopedia of Indo-European Culture*, London and Chicago, 1997
12. Mallory, J. P. and Adams, D. Q., *The Oxford Introduction to the Proto-Indo-European and the Proto-Indo-European World*, New York, 2006
13. Mann, S., *An Indo-European Comparative Dictionary*, Hamburg, 1984/87
14. Pokorny, J., *Indogermanisches etymologisches Wörterbuch, Band I*, Bern und München, 1959
15. Ribbeck, O. (ed.), *Tragicorum Romanorum Fragmenta*, Hilde-sheim, 1962
16. Rousselle, R., "Liber-Dionysus in Early Roman Drama", *The Classical Journal*, Vol. 82, No. 3 (Feb. Mar.), 1987, 193-198
17. Sabbatucci, D., *La religione di Roma antica dal calendario festivo all' ordine cosmico*, Milano, 1988
18. Scullard, H. H., *Festivals and Ceremonies of the Roman Republic*, London, 1981
19. Smith, W. (ed.), *A Dictionary of Greek and Roman Mythology*, vol. II, London, 2007
20. Steinby, E. M. (ed.), *Lexikon Topographicum Urbis Romae*, vol. I, A-C, Roma, 1993
21. Usener, H., *Götternamen, Versuch einer Lehre von der religiösen Begriffsbildung*, Bonn, 1929

22. Vaan, M. de, *Etymological Dictionary of Latin and the other Italic Languages*, Leiden, 2008
23. West, M. L., *Indo-European Poetry and Myth*, New York, 2007

Nikoloz Shamugia

ABOUT THE ESSENCE OF LIBER AND LIBERA IN ROMAN MYTHOLOGY

The method of approach to the issue of Liber and Libera, which considers the gods as the Roman equivalents of Greek Bacchus and Kore, leaves the question of the original essence and meaning of the divinities unsettled. The identification of Liber with Dionysus may well be expounded by the contacts between the Greek colonists and the Latin inhabitants in South Italy, and conceivably by certain literary interests of some Roman poets. We may take issue with the classicists considering Liber originally as being non-Italic, inasmuch as the evidence of Cicero about the existence of the traditional Italic cult of the god seems well-substantiated with the conclusions obtained from the linguistic approach to Indo-European comparative mythology, which examines Greek Ελέύθερα, Latin Liber and Venetic Louzera side by side. The names of these divinities mean "free" and, according to the accepted view offered by Émile Benveniste, derive from the Common-Indo-European verbal root *h₁leudh- "grow, increase" with the following semantic development: *h₁leudh- "grow, increase" → *h₁leudheros "people, freeman" → *h₁leudheros "free" → Lat. liberi "children" and Liber. Pursuant to the widespread opinion, *h₁leudheros, more particularly, denoted the progeny of the ancestral founders of the tribe which was granted by birth with the full rights inherent in the community (e.g., that that person was "free"). This explanation is based on the fact that in some Indo-European languages we attest derivatives from the verbal root *h₁leudh- indicating the increasing stature of plants or of humans (Lat. liberi "children" [the rising generation], Liber "god of fertility and vegetation", etc.). Taking into consideration the fact that Liber's festival, the Liberalia, which appears in the old calendars on the 17th of March, was the day when Roman boys became adults and citizens with full rights, it is sensible to assume that the essential meaning of the gods' name, "freedom", should not be understood simply as a phenomenon opposite to "slavery". The suggestion of examining on the one hand the words "children" and "plant" (hence: Lat. liberi "children", Old Irish lus "plant"), and on the other "people, freeman" (hence: Lat. Liber, Libera, Liberalia) as the cognates deriving from the verbal root *h₁leudh- separately does not seem to be unreasonable:



The Liberalia testifies: In the Roman world *liberi* could not have been endowed by birth with the full rights inherent in their community, due to the fact that it was after the Liberalia that Romans became fully enfranchised members of their country, *cives* with full rights, and this tradition should be founded on the more specific definition of *h₁leudheros "people, freeman" as adults, as the raised generation, which was empowered with full rights to participate in all activities of its society. Viewed in this way, it is particularly worthy of attention that Stuart Mann offers the words *leudhis "tribe, people" and *leudheros "free" separately and the latter is reconstructed by him as meaning "active, free; action, freedom, abandon".

The tenable conclusion to be drawn from the linguistic approach to the comparative study of Liber, Libera, Ελεύθερα and Louzera is that the images of these gods can be traced back to Late Common-Indo-European, and that, in the Roman mythology, Liber and Libera were inherited from Late Common-Indo-European consisting conditionally of A and B dialects. Besides it, we have to consider Liber and Libera as the divinities presiding not only over vegetation, but by and large over the growth of both plants and human beings.

ჯემალ შარაშენიძე

შუმერის სახელმწიფო მეურნეობის GEME₂ პატეგორიის
მუშახელის სოციალური მდგრადიზარის
გარკვევისათვის

მხედველობაში გვყავს ურის მესამე დინასტიის დროინდელი (ძვ.წ. 2132-2024 წწ.) შემერის სახელმწიფო მეურნეობაში დასაქმებული ქალთა წრე, რომლის წარმომადგენელთა აღსანიშნავადაც შემერულენოვანი იურიდიული და სამეურნეო დოკუმენტები იყენებენ ტერმინს *geme₂*. მისი შესაბამისი იდეოგრამის SAL-KUR, სიტყვასიტყვით "ქალი უცხო ქვეყნიდან" გრაფიკულ-სემანტიკური ანალიზი უნდა მიუთითობდეს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ტერმინის (SAL-KUR=geme₂)¹ თავდაპირველი მნიშვნელობა, მოსალოდნელია, იყო "ტყვე ქალი"² მოგვიანებით, საკუთრივ კი ურის მესამე დინასტიის ეპოქაში, აღნიშნულმა ტერმინმა შეიძინა უფრო ფართე მნიშვნელობა – იგი გულისხმობდა სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე პირებს, კერძოდ, როგორც დამოკიდებულ, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, დაახლოებით ყმური სტატუსის მქონეებს, ასევე თავისუფლებსაც.

ძირითადად დამოკიდებულის, იგივე ყმური სტატუსის მქონე ქალები იგულისხმებიან იურიდიულ დოკუმენტებში დადასტურებული *geme₂* ტერმინის ქვეშ.³ მათ გვერდით ირ დამოკიდებული მამაკაცი, ყმა⁴ ტერმინით მოხსენებული მამაკაცების მსგავსად გემებსაც გააჩნდათ ფერდალური ტიპის საბოგადოებისათვის ჩვეული დაქვემდებარებული პირებისათვის – ყმებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი უფლება, კერძოდ, საკუთრებისა და ქორწინების უფლება; ისინი წარმოადგენდნენ სამართლის სუბიექტებსა და არა სამართლის ობიექტებს და ა.შ.

რაც შექხება სამეურნეო შინაარსის დოკუმენტებს, მათში ტერმინი *geme₂* გამოყენებულია ბოგადად მუშა ქალის აღსანიშნავად. თუ ტერმინის შინაარსს იურიდიული თვალსაზრისით მივუდგებით, დავინახავთ, რომ იგი მოცემულ შემთხვევაში სრულიადაც არ გუ-

¹ შარაშენიძე ჯ., შემერული სილაბარიუმი, თბ., 2008, 125.

² Falkenstein A., Die neusumerischen Gerichtsurkunden, I, München, 1956, 1956; Вайман АА, Обозначение рабов и рабын в протошумерской письменности, ВДИ, 1974, № 2, 138-141.

³ Falkenstein A., op. cit., №№ 35, 37, 50, 54, 68, 71, 85, 166, 175, 193, 198, 211.

⁴ მათ შესახებ დაწვრთლებით იხ. შარაშენიძე ჯ., ირ კატეგორიის ხალხი შემერულ საბოგადოებაში, "ანალები", 2000, № 1, 7-14.

ლისხმობს მონა ქალს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი თვლის.⁵ აღნიშნული მოსაბრების საწინააღმდეგოს ჩვენების მიზნით განვიხილოთ შუმერის სახელმწიფო მეურნეობის შეშა ქალთა პერსონალის შემადგენელი ჯგუფები ცალკ-ცალკე.

მეურნეობაში დასაქმებულ მეშა ქალთა შორის გარკვეულ ადგილს იკავებდნენ შუმერის მებობელი ქვეწებიდან დეპორტირებული მოსახლეობის (nam-ra-ak) წარმომადგენელი ქალები.⁶ დეპორტირებულთა შორის, გასაგები მიზებების გამო, ყოველთვის ჭარბობდნენ ქალები და ბავშვები.⁷ მათ ჯერ ათავსებდნენ სპეციალურ ბანაკებში, საიდანაც მოგვიანებით ანაწილებდნენ სახელმწიფო მეურნეობის ფილიალებსა⁸ და კერძო პირებზე.

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ძველაღმოსავლურ ქვეწებში, თითქმის ყველგან, დეპორტირებულებს ჩვეულებრივ გადაჯერებულნენ არა მონებად,⁹ არამედ ყმური ტიპის მოსახლეობად – მათ სხამდნენ მიწაზე, სადაც ისინი სახელმწიფოსა თუ კერძო პირისაგან მფლობელობა-სარგებლობის უფლებით გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე აწყობდნენ საკუთარ მეურნეობებს; მოგვიანებით კი იწყებდნენ მიწის მესაკუთრეებისათვის ყმური ტიპის მოსახლეობისათვის დამახასიათებული ვალდებულებების შესრულებას – იხდიდნენ ნაფურალურ გადასახადებსა და შრომით ბეგარას. ასე იყო ეს ასურეთში,¹⁰ ურარტუში,¹¹ ხეთების სამეფოში¹² და თვით შუმერ-

⁵ Дьяконов И.М., Первые деспотии в Двуречье, История древнего Востока, I, Москва, 1983, 271 გვ.

⁶ MOS XVI, 159 V 7; UET III 1, 1763:9; Ник., II, 329 IV 6. ასევე დეპორტირებული ქალები იგულისხმებიან ამ ეპოქის დროინდელ სხვა დოკუმენტებში მოხსენებულ დეპორტირებულთა შორისას: TCL V, 6039 VIII 10; STA, 2 III 18; YOS IV, 67=BGŠ, 1:6; GDD, 342:16; UET IX, 10, ჟკ. 2, TIM, 11:4; BIN III, 321:3, TCL II, 5546; TrD, 86; ITT II 1, 4690.

⁷ დეპორტირებულთა შორის კაცების ნაკლებ რაოდენობაზე მათ შესახებ არსებული ცნობების სიმცირეც მათწევალებს (იხ. ITT III 2, 6175:1-6).

⁸ Струве В.В., Лагерь военнопленных женщин в Шумере конца III тысячелетия до н.э., ВДИ, 1952, № 3, 12-25; ГХДШ, 280-281.

⁹ Gelb I.J., From Freedom to Slavery, წიგნი: Gesellschaftsklassen im Alten Zweistromland und in den angrenzenden Gebieten. – XVIII Rencontre assyriologique internationale, München, 29. Juni bis 3. July 1970, München, 1972, 87.

¹⁰ Дьяконов И.М., К вопросу о судьбе пленных в Ассирии и Урарту, ВДИ, 1952, № 1, 90-100.

¹¹ Меликишвили Г.А., К вопросу о царских хозяйствах и рабах-пленниках в Урарту, ВДИ, 1953, № 1, 22-29.

¹² Гиоргадзе Г.Г., Очерки по социальному-экономической истории Хеттского государства, Тб., 1973, 75 გვ.; ზინოვი. Einige Bemerkungen zum hethitischen Texte KUB 48, 105, წიგნი: Societies and Languages of the Ancient Near East, Warminster, 1982, 110 გვ.

შიაც.¹³ სწორედ ამ ტიპის მუშახელად წარმოგვიდგენია ჩვენ შუმერულ სამეურნეო დოკუმენტებში მოხსენებული დეპორტირებული მოსახლეობა საერთოდ და გემე-ქალები კერძოდ.

შუმერის სახელმწიფო მეურნეობის მუშა ქალთა შორის გვხვდებიან შემოწირულებიც (a-ru-a-me).¹⁴ ანიშნული ეპოქის დროინდელ შუმერში ტაძრებისა და სახელმწიფო მეურნეობისათვის ადამიანთა შეწირვის პრაქტიკის ფართოდ გავრცელების შედეგად მეურნეობის მუშახელის რიცხვი გარკვეული რაოდენობით იცხებოდა კიდევ. შემოწირულთა შორის დოკუმენტებში კაცებთან ერთად ისესენიებიან შემოწირული ქალებიც (gemez-a-ru-a).¹⁵

თუ რა სტატუსით მოღიან ისინი სახელმწიფო (და საცამრო) მეურნეობაში, ზუსტად არ ვიცით; ამის გარკვევისათვის პირდაპირი დოკუმენტები ცნობები არ გაუვაჩნია. შეიძლება უკველად მივიჩნიოთ მხოლოდ ის, რომ შემოწირულები ძირითადად¹⁶ მდიდრები იყვნენ, რომლებსაც შეეძლოთ შეწირათ საკუთარი ყმები.¹⁷

¹³ Gelb I.J., Terms for Slaves in Ancient Mesopotamia, წიგნში: Societies and Languages of the Ancient Near East, Warminster, 1982, 77, 91-92.

¹⁴ დაწერილებით შემოწირულთა შესახებ იხ. შარაშენიძე ჯ., შეწირულობის ინსტიტუტი შემოწმის, "შარაშენიძე ისტორიას... სერია", 1997, № 1-4, 118-134.

¹⁵ HLC III, 141,374 III 4-14; MVN VII, 275:3. ქალთა შეწირვის შესახებ ცნობები სათანადო ტერმინის gemez-a-ru-a- მითითების გარეშე ქვედებით შემდეგ დოკუმენტებში: MOS XVI, 146 V 5; 150 I 10,12, II 9 და შემდეგი; 158 II 8, III 22 და შემდეგი; 159 VI 2 და შემდეგი; 162 II 21, IV 12; 163 I 10, II 15; AB XXV, 59:65; UET III 1, 1438 III 4; AI, A II 28-VII 1; B 26 და შემდეგი; SADI, 9 III 7; CT X, 14313 II 25; TCL V, 6039 VI 3-5; STA, 10 I 13; HLC II, 88-89,92 VI 14; NAT, 166:2 და შემდეგი; WMAH I, 175 VI 30; 176 I 11 და შემდეგი; 277 II 14 და შემდეგი; TEL, 109:2; RTC, 399 VII 9,16,18, X 18 და შემდეგი; MVN VI, 276:6,12,ქ. 7; 308:2 და შემდეგი; 322:2 და შემდეგი; 494:2 და შემდეგი; 530:3 და შემდეგი.

¹⁶ შეიძლება გვევლებად ზოგჯერ გვევლინებოდენ დარიბებიც (იხ. Gelb I.J., The Arua Institution, RA, 66 (1972), 9). მათ შეეძლოთ შეწირათ მხოლოდ თავიანთი ცოლები და შვილები, რაც თავისითვად თვთოშეწირვა იყო. წმენის გარდა ამისაკენ მათ, უპევლია, უძინებედა მატერიალური დანიტერქსიასაც; შეიძლება მრიობის გასამარჯველი ეძლეოდათ მეურნეობაში ნამუშევარი დღეების ანგარიშით. გარდა ამისა მათ მეურნეობაში მუშაობის სანაცვლოდ, შესაძლებელია, სარგებლობაში გადაცემოდათ მაწის ნაკვეთებიც (ამაზე დოკუმენტების არაპირდაბორი ცნობები მოყიოთებები). ჩვენს მეტ გემოთ მოხსენებული შემოწირული ქალების ერთი ნაწილი მაინც თუ დარიბთა ცოლები ან ქალიშვილები იყვნენ (შემოწირულთა შესახებ ბუსტი ცნობები არ გაგვაჩნია), მაშინ ისინი უკველად თავისუფალ პირებად უნდა მივიჩნიოთ – თვითშეწირვა შეიძლებოდა მხოლოდ თავისუფალ პირს განეხორციელებინა.

¹⁷ ხაგბაშით გვინდა აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც ძეველადმოსავლური საბოგადოებები, მათ შეინის, რა თქმა უნდა, შუმერულიც, სამართლიანდ განიხილება ფეოდალური ტაპის სამოგადოებად (ამის შესახებ ვრცლადა საუბარი გორგი მელიქიშვილის წიგნში: "ეგველეს კლასობრივ საბოგადოებათა სცენიურუ-

აქედან გამომდინარე, შემოწირული ქალების უმეტესობა შეიძლება მივიჩნიოთ სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით ყმური სტატუსის მქონე პირებად.

მეურნეობაში მომუშავე ქალები ზოგჯერ იხსენიებიან ამგვარად: PN *geme₂* PN=Ama-tu *geme₂* *Lugal-he₂-gal₂* "ამათუ, გემე ლუგალ-ხეგალისა".¹⁸

ვფიქრობთ, არ გვმართებს დაქვება იმაში, რომ მსგავს კონტექსტში მოხსენებული მუშა ქალები საკუთარი სახელებით მითითებულ კერძო პირთა პირად დამოკიდებულებაში მყოფი ქალები იყვნენ.

როგორ უნდა მოხვედრილიყვენ ისინი სახელმწიფო მეურნეობაში? უნდა ვითიქროთ, რომ მსგავს შემთხვევებში ნაგულისხმევი ქალები მეურნეობაზე მიმაგრებული მუდმივი მუშახელის ბოგიერთი წარმომადგენლის შემცვლელის როლში გამოღიან. დადასტურებულია შემთხვევები იმისა, რომ მეურნეობის მუდმივი მუშა, მეურნეობაზე მუდმივად მიმაგრებული პირი ზოგჯერ სამუშაოზე გარკვეული დროით თავის შემცვლელად აგზავნიდა ოჯახის წევრს ან თავის ოჯახზე დამოკიდებულ პირს. გემოთ მოყვანილ კონტექსტებში მოხსენებული ქალები სახელმწიფო მსგავსი წესით მოხვედრილები უნდა ყოფილიყვნენ. მათი პატრონების სახელების მოხსენიერება კი აისხება იმით, რომ მეურნეობის ადმინისტრაცია, ალბათ, ამით არკვევდა, თუ რომელი გემე რომელი პირის შემცვლელი იყო. ასეთ შემთხვევებში მრომის გასამრჯელო გაიცემოდა შემცვლელის გამომგბარნ პირზე და არა უშუალოდ სამუშაოს შემსრულებელზე – ჩვენ შემთხვევაში, მოხსენებულ გემებზე.

ჩვენს მიერ გემოთ განხილულ მუშა ქალთა ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ, ვფიქრობთ, ვერც ერთ შემთხვევაში დაბეჭითებით ერთ ვიტყვით, რომ ისინი მაინცადამაინც მონის სტატუსით მუშაობნენ მეურნეობაში, როგორც ამას ბოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს (იხ. აქვე, შენიშვნა 5). შესადარებელი მასალის მოხმობით, დოკუმენტების არაპირდაპირი მონაცემებისა და თეორიული გააზრების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინებით შეგ-

ეკონომიკური წყობის პრობლემა", თბ., 2003), იქ სხვა ტიპის დაქვემდებარებული მოსახლეობა (არსებითი რაოდენობით), გარდა ყმური ტიპისა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს ძველაღმოსავლურ სამოგადოებებში შესამჩნევი რაოდენობით მონური ტიპის მწარმოებელი ფენის შესაძლო არსებობის დაშვებაც კი.

¹⁸ შედარეთ: YOS IV, 188:14; CT X, 19067:11; STA, 10 III 7-8 და შემდეგი; ITT V, 68674; MOS XVI, 150 I 1-2; HLC II, 88-89,92 II 4-5 და შემდეგი; CTC, 54 I 10-11 და II 1-5.

ვიძლია უფრო თავდაჯერებულად ვამტკიცოთ მათ მიმართ დამოკიდებული პირის, კერძოდ, ყმური სტატუსის არსებობა.

შემერის სახელმწიფო მეურნეობის მუშა ქალთა განხილული ჯგუფების გარდა ღოკუმენტებში არა ერთი შემთხვევაა დადასტურებული იმისა, რომ *geme₂* ტერმინის ქვეშ იგულისხმებიან იური-დიულად თავისუფალი ქალები. განვიხილოთ ნაგულისხმევი შემთხვევებიც.

ეჭეს არ იწვევს ის გარემოება, რომ სამეურნეო ღოკუმენტებში საკმაოდ ხშირად მოხსენებული ტერმინი *lu₂-hun-ga₂-me* "დაქირავებული ხალხი" გულისხმობდა თავისუფალ პირებს. სახელმწიფო მეურნეობის ადმინისტრაცია სამეურნეო წლის ყველა სეზონზე საკმაოდ ფართო მასშტაბით მიმართავდა თავისუფალი მეთემების დაქირავებას მეურნეობის მუშახელის რაოდენობის გაზრდის მიზნით.¹⁹ უფრო მეტად მამაკაცებს ქირაობდნენ, მაგრამ არის დადასტურებული მუშა ქალთა (*geme₂*) დაქირავების შემთხვევებიც.²⁰ მათთან, როგორც თავისუფალ პირებთან, მეურნეობის ადმინისტრაცია აფორმებდა სათანადო ხელშეკრულებას, რის მიხედვითაც ხდებოდა დროის გარკვეულ მონაკვეთში განსაბამერული სამუშაოს შესრულება და ადმინისტრაციის მიერ სამუშაო ქირის (a₂) გაცემაც. მეურნეობის მუდმივი მუშახელის დღიურ ანაბდეურებასთან (2 ლიფრ მარცვალთან) შედარებით დაქირავებულთა გასამრჯელო შეადგენდა 2-3-ჯერ მეტს – დღეში 5-6 ლიფრ მარცვალს.

ასე, რომ ყველა მონაცემის მიხედვით მეურნეობის ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული ქალები ისევე, როგორც საერთოდ დაქირავებული ხალხი, იური-დიულად თავისუფალ პირებს წარმოადგენდნენ.

უმცველია, თავისუფალთა წრეს ეკუთხნოდნენ ღოკუმენტებში *geme₂* ტერმინით მოხსენებული გათხოვილი ქალებიც. ცნობილი გარემოებაა, რომ შუმერული სამართალი ცნობდა მხოლოდ თავისუფალ (და ნახევრად თავისუფალ) პირთა ქორწინებას. წყაროებში მარტო თავისუფლები იხსნიებიან მეუღლებად (dam). აქედან გამომდინარე სწორი ვიქებით, თუ ღოკუმენტებში მოხსენებულ ყველა იმ გემეს, რომელიც "მეუღლედ" მოიხსენიება,²¹ თავისუფალ პირად მივიჩნევთ.²²

¹⁹ დაქირავებული მუშახელის შესახებ დაწვრილებით იხ. შარაშენიძე ჯ.მ., Наёмная рабочая сила в государственном хозяйстве эпохи III династии Ура, კავკასიურ-ხმლობმოსაცვლელი კრებული, VI, თბ., 1980, გვ. 32-47.

²⁰ MVN VI, 141:11-12, კვ. 1-3.

²¹ CT VII, 18395:17-უ.3 (¹⁷Geme₂-⁴Sul-pa-e₃, უ.1. ¹dam Si-du ²Geme₂-³se-ku₃-ga ³dam Lugal-^{gi}gigir-re "გემეშულფარ მეუღლე სიღახი (და) გემეშექეგა, მეუღლე ლუგალგა-

შემერში და საერთოდ მველ აღმოსავლეთში იურიდიულად თავისუფალ პირებიდან ითვლებოდნენ ისინიც, რომლებიც დოკუმენტებში მამის სახელით მოიხსენიებოდნენ.²³ მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ეს პირი კაცი იყო თუ ქალი. ცნობილი გარემოებაა, რომ სახელმწიფო მეურნეობის მუშა ქალთა გარკვეული ნაწილი იხსენიება დედის სახელით, რაც შეიძლება იყოს მოწმობა იმისა (თუმცა არა ყოველთვის), რომ ასეთი ქალები დამოკიდებული (ყმური) წარმომავლობისა ყოფილიყო, მაგრამ მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, არა ერთი იხსენიება მამის სახელით.²⁴ არ გვმართებს დაეჭვება იმაში, რომ ამ უკანასკნელთა სახით ჩვენ საქმე გვქონდეს თავისუფალთა ქორწინების შედეგად დაბადებულ პირებთან. აქედან გამომდინარე, ისინი დაბადებით თავისუფალ ადამიანებს წარმოადგნენენ.

ყოველივე გემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, არასწორი იქნება იმის დაშვება, რომ ურის მესამე დინასტიის დროინდელი სახელმწიფო მეურნეობის მუშა ქალები, რომლებიც იხსენიებიან ტერმინით *geme₂*, მონებად მივიჩნიოთ. აღნიშნული მუშახელის ჯგუფები, ჩანს, შედგებოდა ყმურ დამოკიდებულებაში მყოფი პირებისა და ქვეყნის მოსახლეობის თავისუფალთა ფენის წარმომადგენლებისაგან.²⁵

გირგსი"; მითითებული დოკუმენტის კოლოფონში ეს ქალები მოიხსენიებიან როგორც *geme₂-uš-bar-me* "ფეიქარი ქალები", სტრიქონი: უკ. 10); STA, 10 VIII 6-7 ("Geme₂-Šul-pa-ε₃ ⁷dam Ur-ša₂-ga "გემეშულფა", მექლე ურშაგასი"; მსგავსი ცნობები იხ. იმავე დოკუმენტში, IX 11, 19-20, XI 6-7; ყველა ეს გათხოვილი ქალი იმავე დოკუმენტის კოლოფონში (XII 1-3) იხსენიება ტერმინით *geme₂*; ანალოგიური ცნობები იხ. MVN VI, 423:11-უკ. 10).

²² ამავე ეპოქის რამდენიმე იურიდიული დოკუმენტის მონაცემებით დასტურდება, რომ ქორწინების უფლება ჰქონდათ ყმურ დამოკიდებულებაში მყოფ მამაკაცებსაც, რომლებიც ჩვეულებრივ წარმონით მოიხსენიებიან (მათ შესახებ ცნობები იხ. ჩვენს ნაშრომში, რომელიც მითითებულია აქვე მე-3 შენიშვნაში). მათ ცოლებს კი ჩვეულებრივ *dam* "მექლე" ტერმინი მიემართებათ (იხ. NG II, 44:1-3; RVU, 53:1-7).

²³ Falkenstein A., დასახ. ნაშრ., გვ. 83, შენიშვნა 8 და გვ. 87, შენიშვნა 6. იხ. აგრეთვე: იაკინი ვ. ა. , კ პრობლემე ფორმ კავშირის ზოგიერთ სახელმწიფო კურსების შემთხვევაში, VII, თ. 1984, 58.

²⁴ CT VII, 18395, უკ. 5; STA, 10 VIII 9-10, 13-14, IX 13-14, 17-18, 22-23.

²⁵ სხაფიაში გამოყენებული შემოკლებების შესახებ იხ. შარაშენიძე ჯ. მ., ფორმების ეკსპლუატაცია რაციонаლური კრებული, VII, თ. 1986, 159-166.

Jemal Sharashenidze

**FOR FINDING OUT SOCIAL CONDITION OF GEME₂
CATEGORY OF WORKERS OF SUMER STATE ECONOMY**

In the article are discussed the questions of social status of worker women in Sumer state economy. It is stated that the like status of serfs of feudal epoch had the women, members of group mentioned by term *geme₂*, who were staffed from the representatives of population deported from the neighboring countries or from women donated from private persons. Legal, free persons were the hired people and the women who were mentioned in the documentations by father's name or were married and were named "wives".

ითამარ გინგერი

თელ ავიზის უნივერსიტეტი

306 093696 ქაშქები?

ხეთები, თავიანთი ისტორიის ხუთასი წლის მანძილზე, ბევრ მრისხანე მტერს შებრძოლებიან, მაგრამ არავინ იყო ისეთი შეუპოვარი და მოუხელოვებელი, როგორც ქაშქები – ტომები პონტოს რეგიონიდან. ხეთების რჩეული და კარგად ორგანიზებული ლაშქრის ყველა შცდელობა მოეგერიებინათ ისინი და ეფუქტურად გაემაგრებინათ სამეფოს დაუცველი ჩრდილოეთი საზღვარი მარცხით მთავრდებოდა, ქაშქები გამუდმებით თავს ესხმოდნენ ხეთების ტრიფორიას, აოხრებდნენ სასაზღვრო ქალაქებსა და საკულტო ადგილებს. ქაშქებმა მიაყენეს, ალბათ, საბოლოო დამაქცეველი დარტყმა ხეთების დედაქალაქ ხათუსას. ეს, რა თქმა უნდა, "კოლონიური" თვალთახედვაა, ასახული ხეთურ წყაროებსა და ხეთოლოგიურ გამოკვლევებში, რომლებშიც ქაშქები წარმოგვიდგებიან "აგრესიულ" და "ბარბაროს" უძლეველ ჩრდილოელ მტრად. შედარებით გვიანდელი "პოსტ-კოლონიური" თვალსაზრისით, რომელიც პოპულარულია უახლეს გამოკვლევებში, ქაშქები განსახილველი არიან როგორც ხეთების მხრიდან აგრესიისა და მათი ტრადიციული საცხოვრისის დაკავებისას შევიწროებული მსხვერპლი (Glatz/Matthews 2005: 49). ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ტექსტურური ცნობა ჩვენამდე მოღწეულია ხეთების მხრიდან და ამ დაბაბულ ურთიერთობაში მეორე მხას ვერ გვაწვდეს.

ხეთური წყაროები ქაშქების შესახებ შეგროვილი და განხილული იქნა პირველად 1965 წელს აინარ ფონ შულერის მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში Die Kaškäer. ამ ფუძმდებლურ გამოკვლევაში (და 1976-80 წლებში RIA-ში გამოქვეყნებულ მის რეზიუმეში) ცნობილ გერმანელ მეცნიერს მოაქვს მირითადი წყაროების – ხელშეკრულებების, აღმინისტრაციული სიების, ლოცვების, რიტუალების, სამისნო და, რა თქმა უნდა, ისტორიული შინაარსის ტექსტების თარგმანები. მათი მონაცემები შესაბამისად აისახა ცალკეულ თავებში, რომლებიც ეხება ქაშქების ისტორიას, პოლიტიკურ ორგანიზაციას, ეკონომიკას, რელიგიას და ონომასტიკას.

ფონ შულერის ეს მონუმენტური ნაშრომი რჩება ქაშქების შემდგომი კვლევის ძირითადი იარაღად, მაგრამ, ცხადია, მომდევნო 40 წლის კვლევებმა მრავალი ახალი ფაქტი გამოავლინეს და აუცილებელია ფონ შულერის ბოგიერთი დასკვნის გადამოწმება. ახალ აღმოჩენათა შორის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი იყო მაშათ

ჰუიუქის ტექსტები, გამოქვეყნებული თურქი მეცნიერის – სედათ ალფის მიერ 1991 წელს. ეს დოკუმენტები – ძირითადად, წერილები და აგრეთვე ცალკეული აღმინისტრაციული სიები – გვთავაზობენ ხეთების სასამართლო ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების და ქაშქების ტომების მიერ შექმნილ საფრთხესთან მისი მუდმივი ბრძოლის ცოცხალ სურათს. ათასობით ფირფიგა აღმოჩნდა აგრეთვე ორთა-ქო/საფინანსებიც, მაშათის აღმოსავლეთით. ისინი, ალბათ, მსგავს ინფორმაციას შეიცავენ, მაგრამ დღემდე ამ დოკუმენტების მხოლოდ მცირე რაოდენობაა გამოქვეყნებული. სამოცდაათიან წლებში აქ წარმოებულმა არქეოლოგიურმა დაზვერვითმა სამუშაოებმა (Dinçol/Yakar 1974; Yakar/Dinçol 1974) დიდად სრულყვეს ჩვენი წარმოდგენა ამ შორეულ რეგიონში არსებულ დასახლებათა ისტორიაზე. იგივე ითქმის პაფლაგონიის, ძველი ფალა-თუმანის დღევან-დელ გათხრებზე (Glatz/Matthews 2005). თუმცა, სხვადასხვა ადგი-ლის საფუძვლიანი არქეოლოგიური შესწავლის გარეშე, ეს მონაცე-მები არასაკმარისია. იმედა, რომ თმაადაჩ/ვეზირქოფრუში, შე-საძლია ძველ ნერიქში, უკანასკნელ ხანებში დაწყებული არქეო-ლოგიური გათხრები მნიშვნელოვან ინფორმაციას გამოავლენენ.¹ მაგრამ აქაც, ჩვენ საქმე გვაქვს დიდ ტერიტორიასთან, რომელიც, ძირითადად, ალბათ, ხეთებით იყო დასახლებული და ქაშქების პრობლემის გარკვევაში მისი წვლილი საგარაუდოდ შემოფარ-გლელი იქნება ნგრევის ფენების დათარიღებით.

დღემდე გამიარებული მოსამართების თანახმად, ქაშქები ჩრდი-ლოეთ ანაგოლიაში ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ ხეთების ძველი სა-მეფოს პერიოდში. ეს მოსამართება დამყარებულია მე-13 საუკუნის ისტორიულ ცნობებზე, რომლებიც შეეხება ჩრდილოეთის ქალაქების – თილიურასა და ნერიქის დაკარგვას ხეთების მეფე სანთილის დროს.

"ქალაქი თილიურა ხანთილის დროიდან უკაცრიელი იყო და მა-მაჩქმა მურსილიმ ის ხელახლა დაასახლა (KUB 21.29 I 11-13)."

"იმ დროიდან მოყოლებული მათ (ე.ი. ქაშქებმა) დაიწყეს მტრუ-ლი მოქმედებანი და ხანთილიმ ააშენა ავანპოსტი მათ წინააღმდეგ. წინათ, ლაბარნამ და ხათუსილიმ არ გადააღავინეს მათ მდინარე ქუმესმახა (იქნე, II 2 შტდ.)."²

¹ წინასწარ შედეგებისთვის იხ. <http://www.nerik.de/links/links.php>

² მდინარე ქუმესმახა, ალბათ, გასაიგივებულია ირისთან/იქშილ ირმაკთან (Forlanini 1992: 302), თუმცა გამოთქმულია განსხვავებული მოსამართების მის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით (del Monte/Tischler 1978: 535; Ünal 2005: 728).

პირველი დიდი მეფების, ლაბარნასა და ხათუსილის ხევება გვაფიქრებინებს, რომ ხანთილი ამ და მომდევნო პასაჟებშიც ხან-თილი პირველია, ე.ი. მურსილი I-ის სიძე და მკვლელი.

"ქალაქი ხერიქი, რომელიც ხანთილის ღროვანიდან მოყოლებული დანგრეული იყო, მე აღვაშენე (ხათ. III 46'-48')."

"ქალაქი ხერიქი ხანთილის ღროვანის დაანგრიერებული [ქალაქი] უკაცრიელი იყო ოთხასი წლის მანძილზე" (KUB 25.21 III 2-5; von Schuler 1965: 186).

როგორც ჩანს, ხათუსილი III და თუთხალია IV, რომლებმაც დი-დი ენერგია შეაღიერა ნერიქის აღდგენას და მის დიდ საკულტო ცენტრად გადაქცევას, მყარად იცავდნენ ქაშქების მიერ ნერიქის აღების თარიღს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სტერეოტიპული რიცხვი – 400 (ან შესაძლოა 500) წლი ძალიან სცილდება რეალობას.

ეს გვიანდელი ხეთური საისტორიოგრაფიო ტრადიცია ჯერ კი-დევ ფონ შულერმა დააყენა ეჭვეჭვეშ (1976-80: 461 შმდ.), ხოლო ახ-ლახანს მთლიანად უარყო იორგ კლინგერმა (2002), რომელიც ნე-რიქის ექსპერიამში ფილოლოგად მსახურობს. ორივენი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ძვ.წ. მე-17 – მე-16 საუკუნეების ძველხეთური წყა-როები საერთოდ არ ახსენებენ ქაშქებს მიუხედავად იმისა, რომ ხეთების რამდენიმე მეფეს, სახელფობრ ხათუსილი I-ს შავ ზღვამ-დევ ულაშქრია.

მხოლოდ მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება ცნობები ხეთების ტერიტორიაზე ქაშქების შემოსევების შესახებ. თუთხალიას ანალებიდან (CTH 142) – იგულისხმება, ალათ, თუთხალია I, ახალი სამეფოს დამფუძნებელი (Klinger 2002: 446 შმდ.) – ვიგებთ იმის შე-სახებ, რომ "მტერმა ქაშქებმა" შეუფიერ ხათის, ისარგებლეს რა იმით, რომ მეფე სალაშქროდ დასავლეთ ანაფოლიაში, ასუებაში იყო წასული. თავის ქვეყანაში დაბრუნებისას თუთხალიამ მაინც მოახ-ერხა ქვეყნიდან მტრის განდევნა, მაგრამ მის მემკვიდრეს – არნუ-ვანდა I-ს ქაშქებმა დიდი ტერიტორია წაართვეს. ამის შესახებ მოთქმაში ის თავის ცნობილ ლოცვაში მზის ქალდმერთისადმი (CTH 375; Singer 2002: 40 შმდ.). არნუვანდასა და აშმუნიქალის სამე-ფო წყვილი განსაკურებით დარღობს ქაშქების მიერ ხეთების ტა-ძრების, კერძოდ კი ნერიქის წმინდა ქალაქის, დარბევის გამო. მა-შათის კორესპონდენცია, რომელიც სავარაუდოდ მომდევნო თაო-ბით თარიღდება (თუთხალია II/III), დეტალურად აღწერს უბარმა-ზარ სირთულეებს, რომლებსაც აწყდებიან ადგილობრივი ხეთი მმართველები საბდერის და სასაბდერო ქალაქების დაცვისას. ჩვენ შევიტობთ ხეთების ქალაქების და სოფლების მოსახლეობის ქაშქე-ბის შემოსევებისგან თავდაცვითი ღონისძიებების შესახებ, მაგრამ

იმავლოულად მატულობს ცნობები ქაშქა მებრძოლების მასობრივად შეპყრობისა და კაპიტულაციის შესახებ, მათი დაბრმავებისა და შესაბაობები გამწესების შესახებ (Hoffner 2002). ამარნას წერილებიდან პირველად შევიტყობთ ქაშქების ეგვიპტეში ჩაყვანის შესახებ, როგორც ჩანს, ჯარში მათ გასაწვევად. ასეთი ფაქტები მატულობს სუფილულიუმა I-ის და მისი ნიჭიერი მემკვიდრების ჩრდილოეთის მხარეში წარმატებული ლამქრობების შეღეგად.³ დაბოლოს, ხეთების ყველაზე დიდ გამარჯვება ქაშქების ფრონტები იყო ნერიქის წმინდა ქალაქის გათავისუფლება, რითიც თავი მოაქვს ხათუსილი III-ს.

ხეთურ-ქაშქური ურთიერთობების ეს მოკლე დახასიათება აღძრავს საინტერესო შეკითხვებს, რომლებიც შეეხებიან ქაშქური ტომების ბუნებასა და მათ პირველად გამოჩენას ანაგოლიურ ორბიტაზე. თუ, მართლაც, მათი გამოჩენა ხანთილის დროს და მანამდეც ემყარებოდა გვიანდელ ხეთურ იმპერიაში შეთხბულ ამბებს, ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ისინი ახალმოსულები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც ჩრდილოეთ ანაგოლიაში პირველად მეორე ათას-წლეულის მეორე ნახევარში უნდა შეეღწიათ (Klinger 2002: 451).⁴ ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ეწინააღმდეგება შეხედულებას ქაშქების როგორც ანაგოლიის ავტოქტონურ მოსახლეობაზე (შდრ. ფონ შულერის ეჭვები ამასთან დაკავშირებით, von Schuler 1976-80: 463). ჩვენ მოვგიანებით დავუბრუნდებით ქაშქების წარმოშობის საკვანძო საკითხს მას მერე, რაც მოკლედ მიმოვიზილავთ ანაგოლიაში ქაშქების ყოფნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ასევექტებს.

შესაბამისი არქეოლოგიური გამოკვლევების გარეშე (რის შესახებაც იხ. Yakar 2000: 295 შმდ.), ბევრის თქმა არ შეიძლება ქაშქების სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზაციაზე. ბოგადად, შეიძლება წარმოვიდგინოთ ბინადარ მწყემსთა თემები, რომლებიც სეპონურად იცვლიდნენ სადგომს. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გამთარში ისინი ცხოვრობდნენ შედარებით დაბალ მთიაწინა დასახლებებში, გაფულებში კი ადიოდნენ თავის ჯოგებთან ერთად მთის ბანაკებში. (ib.: 300 f.). ისინი, ჩვეულებრივ მხელად მისადგომი იყო ხეთების არმიისთვის, რომელიც, როგორც წესი, გაფულის თვეებში ასრულებდა სამხედრო ოპერაციებს. ქაშქების ტომობრივი ორგანიზაცია,

³ სხვათა შორის, ქაშქა ეგვიპტურ წყაროებში გადმოცემულია შ თანხმოვნით (Kük), განსხვავებით სხვა ხეთური სახელებისგან, რომლებიც, როგორც წესი, ს ან მისი მსგავსი თანხმოვნით გადმოიცემა (von Schuler 1965: 87, შენ. 17)

⁴ შდრ. აგრეთვე Yakar 2000: 29, 299, რომელიც ქაშქური ტომების მოსელას ჩრდილოეთ ანაგოლიაში ათარიღებს ძეწ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით.

რომელსაც არ ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლება, დამატებით სირთულეს უქმნიდა ხეთებს ეფუქტიანი კონტროლის განსახორციელებლად. ისინი დებდნენ საგულდაგულოდ შემუშავებულ ვასალურ ხელშეკრულებებს ტომების ერთ ჯგუფთან, მაგრამ იმავე ღროს დაუცველი იყვნენ სხვა ჯგუფების თავდასხმებისგან. სწორედ ასეთი მდგომარეობის გამოთ გამოთქმული წუხილი არნუვანდა-აშმუნიქალის ლოცვაში, სადაც ღმერთების წინაშე დაგმობილია მოღალატე ქაშქების "უკულტურო" საქციელი.

მურსილი II-ის ანალიზში სხვათა შორის ჩართული კომენტარიდან ბევრს ვიგებთ ქაშქების პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, ხეთების თვალით დანახულზე მაინც. თავისი მეფობის მე-7 წელს მურსილიმ ლაშქრობა მოაწყო ქაშქების ერთი მმართველის, სახელად ფიხუნიას, წინააღმდეგ, რომელიც მამამისის დროს გამუდმებით თავს ესხმოდა ხეთების "გემო ქვეყანას".

"ეს ფიხუნია", ამბობს მურსილი, "არ მართავდა ქაშქერად. მაშინ, როდესაც ქაშქებთან მმართველობა არ იყო ერთი კაცის ხელში, ეს ფიხუნია მართავდა მეფერად, რაც მოულოდნელი იყო. მე, "მე" წავედო, გავუგზავნე შიკრიკი და შევუთვალე: "დამიბრუნე ჩემი ქვეშევრდომები, რომლებიც შენ შეიძყარი და ქაშქას ქვეყანაში წაიყვანე". ფიხუნიამ კი უკან გამომიგავნა (შიკრიკი) და მომწერა შემდეგი: "მე შენ არაფერს დაგიბირუნებ. და თუ შენ მე შემომიტევ, მე შენ ჩემს ტერიტორიაზე არ შეგებრძოლები. შენს ტერიტორიაზე შეგებრძოლები!" (AM 88 შმდ.; del Monte 1993: 69 შმდ.).

შემდგომ მურსილი დაამარცხებს ფიხუნიას და დატყვევებულს წამიყვანს ხათუსაში. ამის შემდეგ ის იღაშერებს აციხაიასას ქვეყნისკენ, ქაშქების ტერიტორიის აღმოსავლეთით. ამ ფრაგმენტიდან ჩანს, ომ ზოგიერთი ქაშქერი თემი სახელმწიფობრიობის ჩამოყალიბების ბლურბლიგე იდგა "მეფერი მმართველობით", რომელიც ხეთების "დიდი მეფის" შესაბამისი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სხვა ხეთური კომენტარი გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ქაშქების საოჯახო მეურნეობაზე. თავის ლოცვაში არინას მზის ქალდმერთისადმი მურსილი II ახასიათებს ქაშქებს როგორც "მეღორეებს და სელის მბეჭდელებს" (Singer 2002: 52). შეიცავს თუ არა ეს კომენტარი დამცირების განმრახვას? როგორც წესი, ხეთურ ტექსტებში ვერ ვხვდებით შეურაცხმყველ სიტყვებს ან უხამს გამოთქმებს სხვა ეთნიკური ელემენტების, მათ შორის მტრის, დასახასიათებლად.

თუ არის რამე საერთო ამ ორ საქმიანობას შორის, მხოლოდ ის, რომ ორივეს ქალები ეწეოდნენ (Collins 2006: 157). რამდენადაც ძალიან ხშირად ხეთური რიტუალები მამაკაცობის შენარჩუნების

სურვილით არის გამსჭვალული, მტრის დახასიათება ქალური საქმიანობით შეიძლება მართლაც მისი დაკნინების იშვიათი შემთხვევა იყოს.

ქალების როლი ქსოვაში და ქსოვილების დამზადებაში უნივერსალურია და ძველი ანაგოლიისთვისაც შეიძლება ჩვეულებრივი რამ ყოფილიყო. სელი (linum) – მცენარე შეიძლებოდა სხვა მიზნოთაც გამოყენებინათ, მაგალითად სელის თესლის ზეთის გამოსახლებად მისი საჭმელში სახმარად, გასანათებლად ან ეტლების შესაბეთად (Glaz/Matthews 2005: 57). სელი ნაპოვნია იქიზთეფეში, შავი ზღვის სანაპიროზე, ხალკოლითიდან მოყოლებული შეა ბრინჯაოს ხანის ჩათვლით.

ღორები არ არიან იოლად გადასაადგილებელი ცხოველები და მათ ჩვეულებრივ ქალები უვლიან სოფლებში, ხოლო კაცები ცხვრის ფარასა და ნახირს მიერკებიან მთებში გაფეხლის საძოვრებზე. ეს შესაძლოა დამატებითი მინიშნება იყოს ქაშქური მოსახლეობის ძირითადად ბინადარ ბუნებაზე, მსგავსად იაილას შემთხვევისა, რაც ტიპიურია პონტოს რეგიონისათვის მთელი ისტორიის მანძილზე (Glatz/Matthews 2005: 57). ხეთების საზოგადოებაში ღორების მოხმარება მეტად შემცირდება იყო და ჩვეულებრივ სპეციალური სარიცხალო მიზნებით იფარგლებოდა (Collins 2006). ტექსტების საფუძველზე გამოთქმულ ამ დაკვირვებას თითქოს მხარს უჭერს ბოლაბერის/ხათუსას ფაუნის ნაშთების ანალიზიც (von den Driesch/Pöllath 2003). ღორების წილი შინაურ ცხოველებში ბუნებრივიანი გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ადრე რკინის ხანამდე ორჯერ მეტად იზრდება (2.4%-დან 5.4%-მდე). ახლა, თუ ვივარაუდებთ, რომ ქაშქას ტომებმა აქტიური როლი ითამაშეს ხათუსას დაცემაში და ხელახლა მის ნაწილობრივ დასახლებაში ადრე რკინის ხანაში (ამ დასკვნას თითქოს მხარს უჭერს აგრეთვე ტიპიური ხელით ნაკეთი უხეში კერამიკაც), ღორების ნაშთების რიცხვის ზრდა, ხოლო მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ნაშთების რიცხვის შემცირება, მართლაც, შეიძლება ამაგრებდეს ასეთ დასკვნას.

ქაშქასთან დაკავშირებით მასალის და სოციალური ასპექტების ამ მოკლე მიმოხილვიდან გადავიდეთ ახლა უფრო სულიერ სფეროებზე. ქაშქური წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, ერთადერთი ჩვენთვის გამოსადევი წყარო არის საკუთარი სახელები – ადგლის, ადამიანების და ღვთაებათა სახელები. მართლაც, ეს მეთოდი გამოიყენა გრიგოლ გიორგაძეზ ჯერ კიდევ 1961 წელს და ხელახლა მიუბრუნდა მას 2000 წლის მონოგრაფიაში. მან ყურადღება მიაქცია გარკვეულ სუფიქსებს, რომლებიც ტიპიურია ჩრდილოეთი მხარის ტოპონიმებისთვის და, შეიძლება, ქაშქურ დასახლებებს ეკუთვნოდნენ

(2000: 34 შმდ.). თუ დაბოლოებები – -iya და -uwa არ არის საკმარისად იდიოსინკრეტული, სუფიქსი -ška-ს ლინგვისტური ღირებულება უფრო დიდი ჩანს: მაგ., თათიშქა, ღუდუშქა, მუნიშგა, ქარიქურიშგა, ციანთეშქა და, რა თქმა უნდა, თავად სახელწოდება ქაშქა. სხვა ელემენტი, რომელიც ასევე ხშირია ჩრდილოურ ტოპონიმებში, ეს არის -ura (გაციურა, თილიურა, ურაუნა და სხვ), რომელიც ხათურად, აღბათ, ნიშნავს "წყაროს, შადრევანს" (HW 318; Ünal 2005: 726; შდრ. Soysal 2004: 863 შმდ).⁵ ჩრდილოური ტოპონიმებისთვის კიდევ დამახასიათებელი არის უქონლობა ფუძისუელი -a ხმოვნისა, რომელიც მიბმული იქნებოდა სახელთა კონსონანტურ დაბოლოებაზე, მაგ. Nericik, Hakmiš/Hakpiš, Zikmar, Kakšat და სხვ. (Forlanini 1984: 259, შენ. 62) და სიხშირე შედგენილი სახელებისა, რომელთაგან ბოგიერთი შეიცავს გათორმაგებულ ელემენტს – ხაშხათათა, თახანთათიფა, ქაფაგაფა (მთა), ქადუდუფა, თარითარა, თაშთარეშა და სხვ. (von Schuler 1965: 94 შმდ).

ადამიანების სახელებთან დაკავშირებით, ცხადია, უნდა გავაცნობიეროთ საფრთხე, რაც ახლავს საკითხისთვის მნიშვნელოვანი სახელების სის შედგენას. პირველ რიგში, ვინ არის "ქაშქა"? მხოლოდ რამდენიმე ტექსტშია მკაფიოდ განსაზღვრული ბოგიერთი პირის ქაშქებისადმი კუთვნილება. მეორეც, ცნობილია, რომ ადამიანების საკუთარი სახელები მობილურია, ადვილად იცვლება "სასურველი" ან "მოდური" სახელების გავლენით. გეხვდება აგრეთვე სხვადასხვა ჰიბრიდული სახელი, შედგენილი სხვადასხვა ლინგვისტური ელემენტისგან. ქაშქაილის (Laroche 1966: შენ. 535) გვერდით, რომელშიც გამოიყოფა ტიპიური სუფიქსი -ili, ვხვდებით სახელ ქაშქაილუს (იქვე: შენ. 536), რომელიც აქადიზირებულ სახელს ჰგავს და ქაშქამუკას (იქვე: შენ. 537), ტიპიური ლუკიური სუფიქსით. ყველანი ისინი ქაშქები იყენებ, თუ არა? და თუ არა, რომელია მათგან ქაშქა? ამ არსებითი სირთულეების მიუხედავად, შეიძლება შევნიშნოთ პროცენტულად დიდი რაოდენობა -ili და

-alli-გ დაბოლოებული სახელებისა (von Schuler 1965: 91 შმდ.), რომლებიც ჩვეულებრივ პროტო-ხათურად მიიჩნევა. ფაქტობრივად, იგივე შეიძლება დავასკვნათ ტოპონიმების ან სხვა სიტყვების შემთხვევაშიც ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ჯერ კიდევ გიორგამებ შენიშნა (2000: 60), ქაშქურ და ხათურ ონომასტიკას შორის არის მნიშვნელოვანი თანხვედრები. სანახავია, იგივე

⁵ ის უნდა განვახსვავოთ ლუკიური ელემენტისგან უა/i- "დიდი" და ხერიტული ელემენტისგან უა/i- (Laroche 1976-77: 284 შმდ.), რომელიც, შესაძლოა, გამოიყოფა სამხრეთ-აღმოსავლეთი ტოპონიმებში: ათალურა, ილანცურა და სხვ.

შეიძლება ითქვას თუ არა ქაშქერ თეონიმებზე იმ პირობით, რომ შეგვიძლია ზოგიერთი მათგანის იდენტიფიკაცია.

ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი რიტუალიდან ჩანს, რომ ქაშქების ღვთაებები განიხილებოდნენ როგორც ცალკე ერთობა, მართლაცად მტრული კოჰორტა, დაპირისპირებული ხათის ქვეყნის ღმერთებისადმი. ტექსტი KUB 4.1 (von Schuler 1985: 168 შმდ.; Klinger 2005: 350 შმდ.) იწყება შემდეგი განცხადებით: "როდესაც ისინი ასრულებენ რიტუალს მტრის ქვეყნის საზღვარზე" (I. 1). შემდეგ დეტალურად არის წარმოდგენილი რიტუალის უშუალო მიზანი: "ქაშქებმა დაიპყრეს ხეთური ღმერთების – ცითხარის, არინას მზის ქალღმერთის, ნერიქის ავდრის ღმერთის, ავდრის ღმერთის, მფარველი ღმერთის და თელიფინუს – ქვეყნები (I 24-27) – და ახლა ისინი ამაყობენ თავისი ხელისუფლებითა და ძალით, თან ჩირქს ცხებენ ღმერთებს." (I 16-18). ღმერთ ცითხარის, რომელიც განიხილებოდა ქაშქას მიერ დაკავებული ქვეყნების მთავარ ღმერთად, მოუხმობენ, რათა მან ცის სასამართლობელი ბრალდებები წაუყენოს ქაშქას ღმერთებს. სხვათა შორის, ამ ღვთაებას, რომელიც წარმომადით ჩრდილოეთის ქალაქ ცითხარადან არის, თაყვანს სცემდნენ ცხვრის ტყავისგან დამზადებული ^{KUŠ}kuršა- ფორმით. ეს არის გაურკვეველი საგანი, რომელიც შედარებულია ბერძნების "ოქროს სწმისთან". ცითხარის საბრალდებო აქტი უნიკალურია ხეთურ ღიტერატურაში და იმსახურებს, რომ სრულად მოვიგანოთ (II 1-24; ANET 354 შმდ.; von Schuler 1965: 171 შმდ.):

"ქაშქას ქვეყნის ღმერთებო, ჩვენ (ამ) შეკრებაზე მოგიხმეთ. თქვენ უნდა ჭამოთ, სვათ და მოისმინოთ ბრალდებები, რომლებსაც წაგიყენებთ. ხათის ქვეყნის ღმერთებს თქვენთვის, ქაშქას ქვეყნის ღმერთებისთვის, არაფერი წაუროთმევიათ და არც გარალი მოუკენებით.

მაგრამ თქვენ, ქაშქას ქვეყნის ღმერთებო, ატეხეთ ჩხუბი, ხათის ღმერთები ქვეყნიდან განდევნეთ და მათი ქვეყანა მიისაკუთრეთ.

ქაშქას კაცებმა ასევე ატეხეთ ჩხუბი. თქვენ წაართვით ხათის კაცებს მათი ქალაქები, განდევნეთ ისინი თავიანთი მინდვრებიდან, მდელოებიდან და ვენახებიდან.

ხათის ქვეყნის ღმერთები და ხალხი მოითხოვენ სისხლიან შურისძიებას. ხათის ღმერთების [შურისძიება] და [ხათის] კაცების შურისძიება თქვენ, [ქაშქას] ღმერთებსა და კაცებს, [დაგატყდებათ(?)]."

გაგრძელება დაკარგველია. ტექსტის შემორჩენილ მომდევნო ნაწილში ცითხარიას წარმომადგენელი ქურუმის სიტყვა უკვე დასრულებულია. ქურუმი უბრუნდება ხათის ღმერთებს, სწირავს მათ

ქონს და პურს და უსრულებს მსხვერპლშესხურებას. შემდეგ იღებს საკულტო ჭურჭელს, რომელიც რიცხალში გამოიყენეს და ყველანი სამხედრო ბანაკში ბრუნდებიან. ახლა ყველაფური მზად არის მომავალი ბრძოლისთვის.

ეს უნიკალური სარიტუალო ტექსტი ცის და მიწიერი სამყაროს სიმეტრიული აღქმის საუკეთესო ნიმუშს წარმოგვიღებულს. ნებისმიერ უსამართლობას, ჩადენილს ადამიანებს შორის, აქვს სარკული გამოსახულება ცაგე ღმერთებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ მისი გამოსწორებაც, თუ ის მათი ნებით მოხდა. ამგვარი მსოფლადქმის ბუნებრივი შედეგი გამოხატვულებას პოლობს კარგად შემუშავებულ ხეთურ სახელმწიფო ხელშეკრულებებში, რომლებშიც დაპირისპირებულ მხარეთა ღმერთები ერთად გამოდიან მოკვდავთა შორის მიღწეული შეთანხმების მოწმების როლში. ქაშქასთან დადებული ხელშეკრულებების კორპუსი (CTH 137-140; von Schuler 1965: 109 შმდ.; Neu 1983; Klinger 2005: 355 შმდ.), რომელიც ძირითადად თარიღდება მე-15 საუკუნის ბოლოთი, განსხვავდება ჩვეულებრივი ხეთური ხელშეკრულებებისგან ფორმით და შინაარსით. ქაშქური მხარის პროტაგონისტი არ არის მეფე, როგორც ჩვეულებრივ სირიულ ან ანატოლიურ მონარქიებში. ეს უფრო მეტად ტომის ბელადთა ჯგუფია ან ტომობრივი გაერთიანებაც კი. ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულებები ქაშქასთან პარალელს პოულობენ ხელშეკრულებებთან, რომლებიც დადებულია სოციალურ-პოლიტიკური განვითარებით ქაშქებთან მსგავს აღმოსავლეთ ანატოლიის პოლიტიკურ ერთულებთან. ესენია: ფარუკა, იშმერიგა და განსაკუთრებით აციხაიასა (Schwemer 2006: 246).

